საქართველოს რესპუბლიკა

ხუთშაბათი, 15 ივლისი, 2004 წელი. №162 (4891) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, აღდგენილია 1990 წელს. * ფასი 50 თეთრი

პრეზიდენტი

რატომ ვერ აღწევს ქართველი წარმატებას საქართველოში?

ვიდრე დიდ ბრიტანეთში პირველ ოფიციალურ ვიზიტად მყოფ საქართველოს პრეზიდენტის მიერ დასმულ ამ კითხვაზე მისსავე პასუხს გაგაცნობდეთ, ერთი პატარა პასაჟი გავიხსენოთ შესანიშნავი ქართული ფილმიდან — „თოჯინები იცინიან“: — რატომ იყო რევოლუციამდელი ბავშვი გონებაჩლუნგი? — კითხულობს სათამაშოების ფაბრიკის დირექტორი, და თავადვე უპასუხებს: — იმიტომ, რომ მას არ ჰქონდა სათამაშო.

— ქართველი, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა ამჟამად ინგლისში ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მომღერალ ქეთი მელუასთან დაკავშირებით, — უცხოეთში მუდამ აღწევს წარმატებას, შინ კი — ვერა. და ეს იმიტომ, რომ საქართველოს არ ჰყავდა კარგი მთავრობა. — ასეთია მიხეილ სააკაშვილის ვერდიქტი.

დიდ ბრიტანეთში ოფიციალური ვიზიტი, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი წარმატებულად მიიჩნევს, მისი აზრით, საგრძნობლად დაეხმარება ჩვენს ქვეყანას, ხელისუფლებასაც და ჩვენს მეწარმეებსაც წარმატებების მოპოვებაში. ამ ვიზიტისას დამყარებული პირადი კონტაქტები, პრეზიდენტის თქმით, ის გულთბილი შეხვედრა, რომელიც დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა მისთვის საკმაოდ არახელსაყრელი პოლიტიკური კლიმატის მიუხედავად, გაუმართა მიხეილ სააკაშვილს, ნიშნავს, რომ საქართველოს ღირსეულ პარტნიორად მიიჩნევენ, რომ ჩვენი ქვეყანა მარტო და პირისპირ არ დარჩება პრობლემებთან და, საჭიროებისას, მას მუდამ შეუძლია ჰქონდეს დასავლეთის სახელმწიფოების თანადგომის იმედი. ეს არის „ვარდების რევოლუციის“ დამსახურება.

რაც შეეხება ჩვენი მეწარმეებისთვის მატერიალურ მხარდაჭერას და საქართველოში ბრიტანული ინვესტიციების დაბანდების ზრდას, ამისთვის კარგი ნიადაგი შექმნა თუნდაც დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრისა და მისი ქართველი კოლეგის, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილის მიერ გუშინწინ ხელმოწერილმა შეთანხმებამ და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ხელმძღვანელთან ჟან ლუმიერთან ბატონ მიხეილ სააკაშვილის გუშინდელმა შეხვედრამ, რომელსაც უთუოდ მოჰყვება სასიკეთო პრაქტიკული შედეგები და ახალი ეკონომიკური პროექტების ხორცშესხმა.

ვიზიტის ბოლო დღის ბოლო შეხვედრა მიხეილ სააკაშვილს ქართველ სტუდენტებთან ჰქონდა.

თუმცა, მანამდეც იყო არაერთი თბილი და ამაღელვებელი შეხვედრა. თუნდაც ისეთი, როგორიც ვინოპოლისში — ლონდონის ღვინის მუზეუმში გაიმართა, სადაც მიხეილ სააკაშვილს ინგლისელთა მიერ შესრულებული ქართული სიმღერებითა და წარწერით — „საქართველო — ღვინისა და ვაზის სამშობლო“ შეხვდნენ...

საქართველოს დელეგაცია თბილისში გუშინ, გვიან ღამით დაბრუნდა.

საკუთარი ინფორმაცია.

ნომერში წაიკითხავთ:

ფერეიდნამდე არც ისე შორია...

მარტყოფის მიმდებარე ტერიტორიას, სადაც XVII საუკუნის დასაწყისში ქართველ-სპარსელთა ბრძოლები გაიმართა, აქაურები დღესაც ულევარს უწოდებენ, რადგან შაჰ-აბას I-ის ჯარი არა და არ ილეოდა. დამარცხებულები მშობლიური მიწიდან აჰყარეს, ირანში წაასხეს და საკმაოდ გამოფიტულ მიწაზე დაასახლეს...

მე-3-4 გვ.

შიდა ქართლისა და გურიის მხარეები ევროპული ინტეგრაციის გზაზე

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ ულოცავენ შიდა ქართლისა და გურიის მხარეებს ევროპის რეგიონთა ასამბლეაში გაწევრიანებას.

მე-2-5 გვ.

ტენდერები, განცხადებები, კონკურსები

„საქართველოს რესპუბლიკის“ ყოველ ნომერს თუ არ შეიძენთ, დროს ჩამორჩებით და ვერცერთ კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებთ!

მე-5-6-7 გვ.

დოკუმენტი

ზვიად გამსახურდიას მიმართ შეწყდა სისხლის სამართლის საქმე და სისხლის-სამართლებრივი დევნა

იხ. მე-3 გვ.

აქცია

დემონსტრანტებს რუსეთის საელჩოდან არავინ გამოხმაურებია!

აქციის მონაწილენი რუსეთის საელჩოსთან. თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

გუშინ რუსეთის საელჩოსთან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა შიდა ქართლში რუსეთის მორიგი პროვოკაციის წინააღმდეგ საპროტესტო აქცია მოაწყვეს.

სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი გიორგი კერვალიშვილი აღშფოთებას ვერ მალავდა სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენების გამო.

— კატეგორიულად მოვითხოვთ, რუსეთი არ ჩაერიოს საქართველოს საშინაო საქმეებში. რუსულმა ჯარებმა სასწრაფოდ უნდა დატოვონ ჩვენი ტერიტორიები, როგორც სამაჩაბლოში, ასევე აფხაზეთში. რაც ცხინვალის რეგიონში ხდება, ყველაფერ ამას რუსეთი აკეთებს, — თქვა გიორგი კერვალიშვილმა და დასძინა, რომ ორი დღის წინათ ასეთივე წერილობითი მოთხოვნებით მიუმართავთ რუსეთის საელჩოსთვის.

აქციაზე სიტყვით გამოვიდა კავკასიელ ხალხთა მეგობრობის კავშირის თავმჯდომარე მამუკა ნიშნიანიძე:

— რუსეთმა კოკოითის შეიარაღებული ფორმირებები სასწრაფოდ უნდა განაიარაღოს, რათა მოსალოდნელი სისხლისღვრა დროულად იქნეს აცილებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მასშტაბურ აქციებს მოვაწყობთ. ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ყურადღება ერთი წუთითაც არ უნდა მოადუნოს. ყველას მოვუწოდებთ კოკოითის ბრძანებას არ დაემორჩილონ. ჩვენ შეიძლება რუსეთის საელჩოს წინ თავიც კი დავიწვათ, — თქვა მამუკა ნიშნიანიძემ.

სრულიად საქართველოს ადამიანთა და პატიმართა უფლებების დაცვის ორგანიზაციის პრეზიდენტმა გიორგი ლაღიძემ ამ აქციას გამაფრთხილებელი უწოდა. — ყველას კარგად გვახსოვს აფხაზეთის ომში რუსეთის როლი. ჩვენ ათასობით ხალხის დარაზმვა შეგვიძლია, თუ ეს საჭირო იქნა.

აქციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს თავადაზნაურთა ლიგის თავმჯდომარე კონსტანტინე ჩოლოყაშვილი, რომელმაც მონაწილეთა აზრი გაიზიარა.

აქციის მონაწილეებმა, როგორც ორი დღის წინათ, ახლაც დაბეჯითებით მოითხოვეს რუსეთის საელჩოს წარმომადგენლებთან შეხვედრა, მაგრამ მათ ივლისის პაპანაქებაში თავი არ შეიწუხეს...

ნანა სულავა.

დიალოგი ბი-ბი-სისთან

მიხეილ სააკაშვილი: „ძველი იმპერიული ხრიკებით ვერაფერს გააწყობენ“

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იმყოფებოდა ლონდონში. ვიზიტის პროგრამის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტი შეხვდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ტონი ბლერს და დედოფალ ელისაბედ მეორეს.

გარდა ამისა, სააკაშვილი გამოვიდა ჯონ სმიტის მემორიალური ფონდის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე. ეს ფონდი შეიქმნა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში დემოკრატიისა და კანონიერების განვითარებისათვის ხელშეწყობის მიზნით.

ბი-ბი-სისათვის მიცემულ ინტერვიუში სააკაშვილმა ისაუბრა იმაზე, თუ რისი მიღწევა სურს ამ ვიზიტით.

მ. სააკაშვილი: ჩემი ძირითადი ამოცანაა ის, რომ ბრიტანელებს გავაცნო ჩემი პოზიცია. ვფიქრობ, რომ საქართველოს სწრაფვას გახდეს ნატოს წევრი და შემდგომში გაერთიანდეს ევროპის კავშირში, მხარს უჭერს დასავლეთი მთლიანად, და აქ, დიდ ბრიტანეთში, იმედი მაქვს, რომ ასეთი მხარდაჭერა კიდევ უფრო გაფართოვდება.

ბი-ბი-სი: მოლაპარაკების დროს უთუოდ წამოიჭრება სამხრეთ ოსეთის საკითხი. თქვენ აცხადებთ, რომ გსურთ მშვიდობიანი გზით გააერთიანოთ საქართველო. რუსეთი, თავის მხრივ, ამტკიცებს, რომ თქვენ გსურთ მკაცრი ღონისძიებების განხორციელებით მოახდინოთ უწესრიგობის პროვოცირება რეგიონში, რომელსაც სურს საქართველოსაგან გამოყოფა და, რომლის მოსახლეობის 80 პროცენტს რუსული პასპორტები აქვს.

იხ. მე-2 გვ.

ინფორმაცია

გმადლობთ, აზერბაიჯანელო ძმებო!

ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით თბილისში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა ნაწილმა საპროტესტო აქცია გამართა.

ისინი გუშინ აზერბაიჯანის ყოფილი პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის სახელობის ბაღში შეიკრიბნენ, თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების მოქმედებები დაგმეს და სეპარატიზმის აღკვეთა მოითხოვეს.

აქციის მონაწილეთა განცხადებით, საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები მზად არიან, ჩავიდნენ ცხინვალის რეგიონში და გვერდით დაუდგნენ ქართულ მოსახლეობას.

„ძირს სეპარატიზმი“, „გაუმარჯოს მშვიდობიან კავკასიას“ — ასეთი ლოზუნგები გამოფინეს აქციის მონაწილეებმა ჰეიდარ ალიევის სახელობის ბაღში.

ჯავის რაიონიდან შეიარაღებული პირები უნდა გავიდნენ!

მოსკოვში მიმდინარე შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაზე კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციაზე საუბრისას საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ მიუთითა, რომ ქართული მხარე ჯავის რაიონიდან შეიარაღებულ პირთა გაყვანას მოითხოვს.

კონფლიქტის ზონაში დაქირავებულთა ყოფნას და უკონტროლო მძიმე ტექნიკას ჩვენ ვერ დავუშვებთ, — აღნიშნა ხაინდრავამ. მისი თქმით, ქართული მხარე მზად არის „კომისიის ნებისმიერი შემადგენლობით შეამოწმოს კონფლიქტის ზონა და მიმდებარე ტერიტორია“.

მოსკოვში ჩამოვფრინდით, რათა მშვიდობა გარანტირებული გახდეს ამ რეგიონში. გასაღები მოსკოვის ხელშია, — განაცხადა ხაინდრავამ.

მან ჟურნალისტებს აცნობა, რომ ტელეფონით ესაუბრა ლონდონში ვიზიტად მყოფ საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, რომელმაც დაადასტურა საქართველოს განზრახვა — ყველა პრობლემა მშვიდობიანი გზით გადაწყდეს.

დღეს შეხვედრაზე ქართულმა მხარემ როკის გვირაბის კონტროლისა და კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციის საკითხები დასვა. როკის გვირაბის კონტროლის საკითხი ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია“, — განუცხადა ჟურნალისტებს შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარემ გოგა ხაინდრავამ.

გივი კობალაძის გათავისუფლებას მოითხოვენ

გუშინ ერგნეთის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ საგუშაგოსთან თავი მოიყარეს სოფელ ვანათსა და საცხენეთში მცხოვრებმა როგორც ოსი, ასევე ქართველი ეროვნების ქალებმა.

ისინი 10 დღის წინათ სოფელ ვანათიდან გატაცებული ქართველი სამხედრო მოსამსახურის გივი კობალაძის გათავისუფლებას ითხოვენ. აქციის მონაწილეები საგუშაგოსთან ელოდებოდნენ სამშვიდობო ძალების სარდალს, გენერალ სვიატოსლავ ნაბძოროვს და ამ მოთხოვნის მასთან და ოსური მხარის წარმომადგენლებთან დაყენებას აპირებდნენ. ნაბძოროვი გუშინ სამშვიდობოების დღეს აღნიშნავდა...

როგორც ქალბატონები აცხადებენ, გივი კობალაძე სრულიად უკანონოდაა დაკავებული და ამიტომ მის დაუყოვნებლივ, უპირობო გათავისუფლებას მოითხოვენ.

ინტერ-პრესი.

სასამართლო

პროცესი განახლდება

უზენაეს სასამართლოში დღეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის და 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში აბაშის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის თენგიზ კალანდაძის პროცესი განახლდება.

მესამე პირად სასამართლო პროცესზე დეპუტატი პაატა ქურდღოვანიძეა ჩართული. როგორც „ინტერ-პრესს“ კალანდაძის ადვოკატმა ლადო სანიკიძემ განუცხადა, ხვალინდელ პროცესზე გენერალური პროკურატურიდან წარმოდგენილი იქნება დოკუმენტი, რომელიც თენგიზ კალანდაძის მხარდამჭერი 103 საარჩევნო ბიულეტენის დატაცების ფაქტს ეხება.

მოსარჩელეთა ინფორმაციით, 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნებში კალანდაძემ „მრეწველთა“ კანდიდატს პაატა ქურდღოვანიძეს 150 ხმით მოუგო. ადვოკატის მტკიცებით, 103 ბიულეტენის დატაცების შემდეგ ქურდღოვანიძე აბაშის მაჟორიტარი დეპუტატი გახდა.

ბავშვები

ერთი ბავშვიც რომ გრძნობდეს თავს დაჩაგრულად, არ შეიძლება, ქვეყნის ხელისუფლებას მშვიდად ეძინოს

ბანაკი გამარჯვების პარკში. თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ამ ქვეყნად შემთხვევით არაფერი ხდება. ყოველივე უზენაეს ნებას ემორჩილება. ამიტომ მის მიერ შექმნილ სამყაროში ყველაფერი უფაქიზეს კავშირშია ერთმანეთთან. და ამ საერთო სახლში ყველას აქვს ერთი უფლება — იყოს ბედნიერი, მით უმეტეს, მომავალ თაობას.

სწორედ ეს დევიზი გასდევდა ამ ზეიმს ლეიტმოტივად, ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობამ რომ მოუწყო ბავშვებს.

რამდენიმე წლის წინათ, უფრო სწორად, როცა მთლად გაუსაძლისი ცხოვრება გვქონდა, მშვენიერ იდეას ჩაეყარა საფუძველი — ზაფხულში ქალაქად დარჩენილი ბავშვებისათვის ვაკის პარკში ბანაკი გაეხსნათ. ეს მშვენიერი ტრადიცია გრძელდება დღესაც.

და აი, ვაკე-საბურთალოს რაიონის მკვიდრი 55 მოსწავლე საზეიმო ხაზზე დადგა. თავიანთ საქმეები გადადეს და ბავშვებთან მოვიდნენ რაიონის გამგებელი **ავთანდილ დავითაძე,** გამგებლის მოადგილე სოციალურ საკითხებში **ნანა ლაცაბიძე,** ქალაქის განათლების სამსახურის უფროსის მოადგილე **ნინო ჩაჩავა,** მშობლები...

არაფერი არ სჯობია ქვეყნად, როცა ბავშვებს ერთმანეთი უყვართ, როცა ბავშვები ბედნიერები არიან.

მოსწავლეები **გეგა კალმახელიძე, გიორგი ჩიკვაიძე, გიორგი ლალიაშვილი, გიგა ჭილაძე** საზეიმო პატაკს აბარებენ ამ რაიონის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარეს, სამამულო ომის მონაწილეს ვალერიან რეკვავას, რომელიც დღეს, მიუხედავად თავისი 80 წლის იუბილისა, ისევ ქვეყნის სამსახურშია.

იხ. მე-2 გვ.

ინტერპანორამა



ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოპერატიულად შეიმუშავა სპეცგეგმა პალესტინის ლიდერის იასირ არაფატის სიკვდილის შემთხვევისთვის, — მას არ დაკრძალავენ იერუსალიმის ტაძართა წმიდა მთაზე. მხოლოდ იმის ნებას დართავენ, ახლომდებარე სოფელში მიუჩინონ სამუდამო განსასვენებელი.

იასირ არაფატი მძიმედ არის ავად...



საჭადრაკო სამყაროს ახალი გროსმაისტერი ჰყავს ლიბიის პრეზიდენტის მუამარ კადაფის სახით. ფიდემ ეს წოდება სიამოვნებით მიანიჭა ქვეყნის ლიდერს ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის უმაღლეს დონეზე ორგანიზებისთვის, როგორც ცნობილია, მსოფლიოს ახალი ჩემპიონი გახდა უზბეკი რუსტამ კასიმჟანოვი.

ყირიმის სამხრეთ სანაპიროზე სტიქია აბობოქრდა. როგორც უკრაინის ხელისუფლება იუწყება, საკურორტო ზონაში დროებით შეწყდა ელექტროენერგიის მიწოდება, განსაკუთრებით დაზარალდა გურზუფი და საერთაშორისო კულტურისა და დასვენების საბავშვო ცენტრი „არტეკი“.

◎ დიალოგი ბი-ბი-სისთან

მიხეილ სააკაშვილი: „ძველი იმპერიული ხრიკებით ვერაფერს გააწყობენ“

(პირველი გვერდიდან)

მ. ს. ამ ბოლო ხანებში რუსეთი სულ უფრო მეტად ცდილობს გაუსვას ხაზი თავის გავლენას, მაგრამ მოსკოვს აშფოთებს ნატოს გაფართოება აღმოსავლეთისაკენ. როგორც ჩანს, რუსები ცდილობენ განიმტკიცონ პოზიციები თავიანთი მეზობლების ხარჯზე. საქმე ის არის, რომ სამხრეთ ოსეთი ვიწრო ზოლია სასაზღვრო რაიონში, სადაც ამჟამად 8 ათასზე ნაკლები კაცი ცხოვრობს. რუსეთი ურიგებს თავის პასპორტებს ასეთი რაიონების მცხოვრებლებს და შემდეგ აცხადებს, რომ იქ გარკვეული უფლებები გააჩნია. ჩვენ ხელთ ვიგდეთ ტვირთი — რუსული რაკეტები, რომლებსაც სამხრეთ ოსეთში გზავნიდნენ. არა მგონია, რომ საქართველოს სჭირდებოდეს რუსული იარაღი.

გარდა ამისა, რუსეთი რეგიონში მოხალისეებსაც გზავნის. იმედი მაქვს, რომ ეს დირექტივა თვით პრეზიდენტ პუტინისგან არ მომდინარეობს. ჩვენ არ გაგვაჩნია იმის დამადასტურებელი არანაირი ფაქტი, რომ ეს ადამიანები უშუალოდ პუტინის ბრძანებებით მოქმედებენ. მაგრამ რუსი სამხედროები და რუსეთის სახელმწიფო სათათბირო ამტკიცებენ, რომ აქვთ უფლება ამ ტერიტორიაზე. სამიოდე დღის წინათ სახელმწიფო სათათბირომ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ხაზგასმულია, რომ ეს ტერიტორია იყო რუსეთის იმპერიის ნაწილი 1765 წლიდან. მაგრამ რუსეთის იმპერიაში ხომ შედიოდა ასევე პოლონეთი, ფინეთი, ბალტიის სახელმწიფოები და მთელი საქართველო. ახლა მოსკოვი ხელმძღვანელობს გადასინჯული დოქტრინით, რომლის მიხედვითაც მას აქვს უფლება აღადგინოს იმპერია, მაგრამ ეს ჩვენთვის მიუღებელია.

ბი-ბი-სი: ესე იგი, თქვენ მზად ხართ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში დაძაბულობის ესკალაციისათვის, რათა განამტკიცონ კონტროლი სამხრეთ ოსეთზე?

მ. ს.: არავითარ შემთხვევაში. ჩვენ ვცადეთ იქ ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება. ჩემთვის ყველაზე მთავარი იყო აღგვეკვეთა კონტრაბანდა, დავრწმუნებულიყავით იმაში, რომ საქართველო აკონტროლებს თავის საზღვრებს, იმ ტვირთების ნაკადს, რომელიც საზღვრის ორივე მხარეს მიემართება. რუსეთის პასპორტების მქონე ადამიანთა რიცხვი რეგიონში უმნიშვნელოა და ჩვენ ვცდილობთ მათთან კონტაქტების დამყარებას.

ბი-ბი-სი: თქვენ ამბობთ „უმნიშვნელოა“, მაგრამ იგი 80 პროცენტს შეადგენს.

მ. ს.: გეთანხმებით, მაგრამ, მაინც საქმე ეხება სულ რამდენიმე ათას კაცს, არა უმეტეს. ჩვენ ვუხდით მათ ქართულ პენსიებს, ვუგზავნით ეკონომიკურ დახმარებას. რუსეთი კი იქ გზავნის იარაღს, რაც აბსოლუტურად არაკონსტრუქციული საშუალებაა დაძაბულობის განმუხტვისათვის. ჩვენ ვცდილობთ მოსკოვთან გავმართოთ მოლაპარაკება. სხვათა შორის, მოლაპარაკება ორი დღის შემდეგ უნდა გაიმართოს.

ასეა თუ ისე, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საქართველომ შეძლო თავიდან აეცილებინა სამხედრო კონფრონტაცია და ეს მოხდა ჩვენი დიდი თავშეკავების, თვითდისციპლინის წყალობით. ჩვენ ვყალიბდებით ისეთ სახელმწიფოდ, რომელშიც დამყარებულია კანონის უზენაესობა. ჩვენ აბსოლუტურად არ გვჭირდება სამხედრო კონფლიქტი, განსაკუთრებით — რუსეთთან, მაგრამ ვაპირებთ მტკიცედ განვუცხადოთ მოსკოვს, რომ ვართ სუვერენული სახელმწიფო და ჩვენს სუვერენიტეტს პატივი უნდა სცენ. აქ ძველი იმპერიული ხრიკებით ვერაფერს გააწყობენ. იმედი მაქვს, რომ ჩვენ შევძლებთ გამოვნახოთ დაძაბულობის მშვიდობიანი გზით განმუხტვის საშუალება.

14 ივლისი, 2004 წელი.

◎ ცხელი თემა

ამით მსოფლიოა დაინტერესებული

ყბადაღებული ფორმულა „აფხაზეთისა და ცხინვალის გასაღები მოსკოვშია“, დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ შეიცვალა ფორმულით „საქართველოს პრობლემები საქართველოში წყდება“. საქართველო კვლავაც მზად არის რუსეთთან ითანამშრომლოს, თუმცა, არა საკუთარი ინტერესების ხარჯზე, — აცხადებს პრეზიდენტი სააკაშვილი. საქართველოს პრეზიდენტი არ მოერიდება საჯაროდ განაცხადოს ამის შესახებ, თუკი შიდა ქართლში განვითარებულ მოვლენებში პრეზიდენტ პუტინის კვალი გამოჩნდება. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პოზიციას დაიკავებს პრეზიდენტი პუტინი. ლონდონში ვიზიტად მყოფი მიხეილ სააკაშვილი კი საერთაშორისო ტრიბუნას კიდევ ერთხელ გამოიყენებს, რათა მსოფლიოს საზოგადოებრიობამ ე. წ. სამხრეთ ოსეთში განვითარებულ მოვლენებს სათანადო ყურადღება მიაპყროს.

პარლამენტარების აზრით, ჯერ ყველა პოლიტიკური საშუალება უნდა ვსინჯოთ, თუ ეს შესაძლებლობები ამოიწურა, რადიკალური ღონისძიებების განხორციელება მხოლოდ მაშინ შეიძლება.

დავით ზურაბიშვილი, საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წევრი: „რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალი ნაბდზოროვი, ფაქტობრივად, იმისათვის ჰყავთ რუსებს ცხინვალის რეგიონში მოვლინებული, რომ მან დაგეგმილი პროვოკაციები განახორციელოს, ქართული სამშვიდობო ძალები, ადგილობრივი ქართული მოსახლეობა შეავიწროვოს. ცნობილია, რომ ამ პიროვნებას საკუთარ პოსტზე მუშაობის ვადა უკვე ამოწურული აქვს, მაგრამ არ იწვევენ უკან, რადგან ის ძალიან კარგი შემსრულებელია.

იმპერიული რუსეთის დრო, დამპყრობლური პოლიტიკის დრო მსოფლიომ წარსულს ჩააბარა. ჩვენ ევროპის ქვეყნების, დასავლეთის ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებას უნდა მოვუხმოთ. მათ უნდა აიძულონ რუსეთი საქართველოსთან ურთიერთობაში აპრობირებულ ფორმებს მიმართოს, მის შინა საქმეებში ჩარევაზე უარი თქვან. სხვათა შორის, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ძალისმიერი მეთოდების გამოყენების უფლება არ გვექნება. საერთაშორისო ორგანიზაციები ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას ცნობენ იქ და მაშინ, სადაც სხვა მეთოდები, უბრალოდ, არ მუშაობს, იმ მიზნით, რომ სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორია და ხალხი ბლოკირებული არ იყოს“.

ზიქრია ჩიხრაძე, „მრეწველები ახლები“: „თვითაღიარებული ცხინვალის ხელისუფლება ერთადერთი მიზნით მოქმედებს: გვიბიძგოს ბრძოლისა და სისხლისღვრისკენ, იმისკენ, რომ ქართული მხრიდან ტყვია გავარდეს. რუსეთთან ურთიერთობის მომგვარებლის როლი მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობას უნდა დავაკისროთ. რუსეთს ანგარიშის გაწევა მხოლოდ იმის წინაშე შეუძლია, ვის ძალასა და პრიორიტეტს აღიარებს. რუსეთთან მკაცრი, მაგრამ თანამიმდევრული ურთიერთობის პოლიტიკა მხოლოდ ამ თარგზე უნდა მოიჭრას. ერთი რამ კი ცხადია, სანამ რუსეთის სამშვიდობო ძალები საქართველოს ტერიტორიაზე იდგებიან, რუსეთთან პარტნიორული ურთიერთობები ვერ გვექნება“.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, შეიარაღებული კონფრონტაციის დაწყებაში რუსეთის როგორც აღმასრულებელი, ასევე საკანონმდებლო ორგანოს გარკვეული ნაწილია დაინტერესებული. ამის დასტურია ის საგანგებო განცხადება, რომელიც რუსეთის დუმამ სამხრეთ ოსეთში შექმნილი ვითარების გამო მიიღო. სახელმწიფო დუმაში მოკალათებული სეპარატისტების ლობისტები გენერლები კოკოშინი, ნიკოლაევი, ალქსნისი, ჩეხოევი, ვაძაევი, გაზაევი, ფრაქცია „როდინა“ დიმიტრი როგოზინის თავკაცობით, ლიბერალ-დემოკრატიული ფრაქცია ვლადიმერ ჟირინოვსკისა და ალექსეი მიტროფანოვის ხელმძღვანელობით, „ედინაია როსიიდან“ ლუბოვ სლისკა, ალექსეი საველიევი და სხვები შექმნილ სიტუაციაში, როგორც ყოველთვის, ცეცხლზე ნავთს ასხამენ და საქართველოს თითს უქნევენ. ქართულ მხარეს ადანაშაულებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროც. ერთი სიტყვით, რუსეთის მძლავრი საინფორმაციო-პროპაგანდისტული მანქანა ოს სეპარატისტებს ექომაგება.

საქართველოს პარლამენტი მოუწოდებს რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობას სრულად გააცნობიეროს ის პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რომელიც რუსეთს, როგორც სამშვიდობო პროცესის მონაწილეს და საერთაშორისო თანამეგობრობის ამბიციურ წევრს ეკისრება, რუსეთმა უნდა გააკეთოს არჩევანი სეპარატიზმის, დიქტატურის, კრიმინალთა მხარდაჭერასა და ცივილიზებული ნორმების დაცვას შორის... მოვლენათა ანალოგიური განვითარების შემთხვევაში საქართველოს პარლამენტი საჭიროდ მიიჩნევს რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის მიერ რეგიონის დაუყოვნებლივ დატოვების საკითხი დაისვას, — ნათქვამია საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიმართვაში.

კულუარული ხმებით, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში საქართველოს მიმართ მწვავე განცხადებები კვლავაც გაკეთდება. კულუარებში იმასაც ამბობენ, რომ რუსეთი ამ კონფლიქტში აუცილებლად ჩაერევა. იგი ოსებისთვის სამხედრო დახმარების გაწევასაც არ მოერიდება. რუსეთის ინტერესებში შედის, საქართველოში მორიგი სისხლიანი კონფლიქტი განხორციელდეს, რათა მსოფლიოს აჩვენონ, რომ საქართველო არ არის მზად, იყოს დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომ დასავლეთს კავკასიაში დემოკრატიული ქვეყნის არსებობის ილუზია და იმედი არ შეიძლება ჰქონდეს. თუმცა, კულუარებში დამაიმედებელი პროგნოზებიც კეთდება. კერძოდ ის, რომ რუსეთი ცხინვალის ზონიდან წავა, ამით მსოფლიოა დაინტერესებული.

მზია გელენავა.

◎ ინფორმაცია

კოკოითი ერთსა და იმავე ტექნიკას „დაარბენინებს“

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი წუხელ გვიან ღამით მოულოდნელად გამოჩნდა ტყვიავის საგუშაგოზე და რამდენიმე კომენტარი გააკეთა. „ტყვიავის საგუშაგოზე მოსვლამდე, ჩემს თანმხლებ პირებთან ერთად, კონფლიქტის ზონის ტერიტორიაზე დაახლოებით 10 კმ-ის გავლა მომიხდა ფეხით. მე დავათვალიერე ის ადგილები, სადაც ედუარდ კოკოითი ნამდვილად არ მელოდა. უკმაყოფილო არ ვარ, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ქართული მხარე და ქართული ჯარი არ წამოეგება ოსური მხარის პროვოკაციაზე, რისი მცდელობაც არაერთხელ იყო. იმ შემთხვევაში, თუ პროვოკაცია იქნება, ჩვენ შეგვწევს უნარი, რომ საკადრისი პასუხი გავცეთ პროვოკატორებს“, — განაცხადა შს მინისტრმა.

ოქრუაშვილის თქმით, ოსური მხარე ეფექტის მოსახდენად ერთი და იგივე ტექნიკას „დაარბენინებს“, იმის წარმოდგენას ქმნის, რომ ისინი კარგად არიან შეიარაღებულები და თითქოსდა შესწევთ უნარი ქართულ მხარესთან შეიარაღებული დაპირისპირების შემთხვევაში შესაფერისი წინააღმდეგობა გაუწიონ მას.

დღეს სამხედრო წვრთნის დასკვნითი ფაზაა

ვაზიანის სამხედრო აეროდრომზე ხვალ ქართულ-ბრიტანული სამხედრო წვრთნების „ჯორჯიან ექსპრესს-2004“-ის დასკვნითი ფაზა ჩატარდება.

წვრთნების დასრულებასთან დაკავშირებით აეროდრომის ტერიტორიაზე ტერორისტთა აყვანის საჩვენებელი ოპერაცია გაიმართება. სცენარის მიხედვით, ერაყის ერთ-ერთ სოფელში ბოევიკები შეიჭრებიან, რომლებიც დაატყვევებენ და ტერორის პირობებში ამყოფებენ ადგილობრივ მოსახლეობას. ამავე დროს განხორციელდება ჟურნალისტების დარბევაც. სცენარის მიხედვით, გამოცხადდება განგაში, შტაბში შემუშავდება გეგმა და განხორციელდება სოფლის გათავისუფლების ოპერაცია. ამ პროცესში ნაჩვენები იქნება ქვეითი ჯარის მიერ საჭიროების შემთხვევაში გამოსაყენებელი ყველა სახის ოპერაციაც...

ინტერ-პრესი.

◎ სიკეთის მისია

ვინ წაგვიძღვება წინ?

საქართველოს ხელისუფლების მიერ გაჩაღებულ სამშვიდობო კამპანიას ცხინვალის რეგიონში თავის ხმას უერთებენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. გუშინ მათ კონფლიქტის ზონიდან „სამშვიდობოების“ გაყვანის მიზნით რუსეთის საელჩოსთან აქცია გამართეს.

თბილისში, ზედაზნის ოთხ ნომერში, კავკასიელ ხალხთა მეგობრობის კავშირმა (თავმჯდომარე **მამუკა ნიშნიანიძე**) თავისთან მიიწვია ე. წ. „ენჯეოები“, რომელთა შორისაც იყვნენ არასამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა გაერთიანება, სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაცია, სიკეთის მისია — კავკასიაში დემოკრატიის, ჰუმანიზმისა და მშვიდობისათვის, დედათა და ბავშვთა დაცვის ასოციაცია, ჰუმანიტარული ასოციაცია და სხვები, სულ ათი ორგანიზაცია.

გუშინვე მათი თაოსნობით შეიქმნა შიდა ქართლის საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნების ხელშემწყობი საზოგადოებრივი კომიტეტი.

კომიტეტის წევრებმა მიიღეს მიმართვა ოსი და ქართველი ხალხებისადმი. მოითხოვეს, რომ გადადგეს უღიარებელი სამხრეთ ოსეთის თვითმარქვია პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი.

რუსეთის სამშვიდობო ძალებმა შეასრულონ სამშვიდობო მისია, განაიარაღონ ოსური უკანონო სამხედრო ფორმირებები, ბანდიტური ჯგუფები, აღჭურვილობა ჩააბარონ საქართველოს მთავრობას. ასევე დაიცვან ოსი და ქართველი მოსახლეობის უსაფრთხოების გარანტიები. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღდგეს საქართველოს უზენაესი საბჭოს ადრინდელი გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ რუსული სამხედრო კონტინგენტი, რომელიც იმყოფება აღნიშნულ ტერიტორიაზე, გამოცხადდეს უკანონოდ და მიენიჭოს საოკუპაციო სტატუსი...

საქართველოს მოსახლეობამ, განსაკუთრებულად სამაჩაბლოს მოსახლეობამ შეინარჩუნოს სიმტკიცე და არ დატოვოს ქართული სოფლები. ასევე არ აჰყვეს არანაირ პროვოკაციას თვითმარქვია სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების მხრიდან, არ გამოიყენონ ძალისმიერი მეთოდები ოსი მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ...

კავკასიის ხალხთა, ასევე ჩრდილო-კავკასიის და კაზაკთა წარმომადგენლებს მოუწოდეს, შეინარჩუნონ სიმშვიდე, არ აჰყვნენ რუსეთის

პროვოკაციულ ხრიკებს და არანაირი სამხედრო და სხვა სახის დახმარებები არ აღმოუჩინონ სამხრეთ ოსეთის ბანდიტ პრეზიდენტს...

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ მესამე სექტორის წარმომადგენლები: **მამუკა ნიშნიანიძე, გიორგი ლაღიძე, გიორგი კერვალიშვილი, ირაკლი ნიშნიანიძე და სხვები.**

პროფესორმა კონსტანტინე ჩოლოყაშვილმა გაკვირვება გამოხატა იმის გამო, რომ ამ გადამწყვეტ ჟამს არენაზე არ ჩანან თვითონ ცხინვალელი ადამიანები, დევნილები. და ეს მაშინ, როდესაც ისინი ყოველდღიურად უნდა გამოდიოდნენ ტელეეკრანზე და ითხოვდნენ შინ დაბრუნებასა და თავიანთი უფლებების აღდგენას საკუთარ მხარეში — ნუთუ მათ შორის არ არის კაცი, რომელიც წავა, გაიწევს და გაგვიყოლიებს მშვიდობიან აქციებზე? — დასვა კითხვა მხცოვანმა პროფესორმა და იქვე გაიხსენა ოსი მეცნიერები, თავისი კოლეგები, რომლებთანაც მეგობრობა და ძმური სიყვარული აკავშირებდა.

შეხვედრაზე გადაწყდა, რომ კონფლიქტის ზონაში, სავარაუდოდ, სოფელ ერედვეში ან დიდი ლიახვის ხეობაში ისინი გააგზავნიან „სიკეთის მისიას“, დადგამენ მოძრავ კარავს და ადგილობრივ მოსახლეობას, ოსებს და ქართველებს აღმოუჩენენ არა მარტო ჰუმანიტარულ, არამედ სამედიცინო და სხვა სახის დახმარებებსაც. იმუშავებს ადამიანის უფლებების დაცვის ექსპერტი, რომელიც შეისწავლის ადამიანის უფლებათა დარღვევებს, როგორც ქართულ, ასევე ოსური მხრიდან, შეაგროვებენ ინფორმაციებს და მიაწვდიან მას მედიის საშუალებებს... ანუ ეს იქნება წითელი ჯვრის მსგავსი ორგანიზაცია და მის წარმომადგენლებს ეცმებათ თავიანთი ფორმები.

სიკეთის მისიას გაუძღვება ამ ორგანიზაციის („კავკასიაში დემოკრატიის, ჰუმანიზმისა და მშვიდობისათვის“) პრეზიდენტი ანა მესხია.

ანა შალვაშვილი.

◎ ბავშვები

ერთი ბავშვიც რომ გრძნობდეს თავს დაჩაგრულად, არ შეიძლება, ქვეყნის ხელისუფლებას მშვიდად ეძინოს

(პირველი გვერდიდან)

საზეიმო ხაზის გასრულების შემდეგ ბავშვებმა გვირგვინებით უცნობი ჯარისკაცის საფლავი შეამკეს. „რანი ვიყავით, რანი ვართ, რანი ვიქნებით ხვალ, სამშობლოს მიწას დავიცავთ ვიდრე ცოცხლები ვართ“, გუგუნებდა ხმა.

მოსწავლეებს სიტყვით მიმართეს და ბედნიერება, ულევი სიხარული უსურვეს გამგებელმა **ავთანდილ დავითაძემ,** ქალაქის განათლების სამსახურის უფროსის მოადგილემ **ნინო ჩაჩავამ,** ბანაკის უცვლელმა უფროსმა, 56-ე საშუალო სკოლის დირექტორმა **ანზორ კუპრეიშვილმა** და სხვებმა.

მოზეიმეებმა და სტუმრებმა შემდეგ „ბასტი-ბუბუს“ დარბაზში გადაინაცვლეს. თვალხატულა გოგო-ბიჭები პროფესიონალ მსახიობებივით ფლობდნენ სცენას, ერთმანეთს ცვლიდა ლექსები და თანამედროვე საესტრადო სიმღერები საცეკვაო რიტმით გამდიდრებული. ზეიმის ბოლოს ბავშვებს გადაეცათ საჩუქრები და პარკში არსებული ატრაქციონით უფასოდ სარგებლობის უფლება.

თავისი შთაბეჭდილების გაზიარება ვთხოვე რამდენიმე სტუმარს.

ავთანდილ დავითაძე, ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებელი:

— მიმაჩნია, რომ მართლაც არაჩვეულებრივი დღეა დღეს ჩვენთვის, ყველასთვის, ბავშვებს უხარიათ ერთად ყოფნა, და ეს ჩვენთვისაც დიდი ბედნიერებაა, ისინი ხომ ერთმანეთს სხვადასხვა მოტივების საფუძველზე უკავშირდებიან, სასარგებლო ან სასიამოვნო თვისებათა გამო, ზოგჯერ არა მათი ზნეობრივი მონაცემების საფუძველზე. ჩვენი ვალია, ბავშვი ცუდ გზას ავაცდინოთ, ვასწავლოთ სიყვარული, ზნეობრივად ავამაღლოთ მათი სულიერება. მწამს, რომ აქ მათ სწორედ ასეთი ატმოსფერო ექნებათ, რაც მთავარია, არ იქნებიან უმეთვალყუროდ. გამგეობამ გამოყო თანხა და ჩვენი რაიონის ძირითადად მრავალშვილიანი, უმწეო ოჯახებიდან 55 ბავშვი ვაკის პარკის ბანაკში გაატარებს ერთ თვეს. ბანაკი 5 ივლისიდან მუშაობს, დღეს საზეიმო გახსნაა. ბავშვები დილის 9 საათიდან 5 საათამდე იქნებიან აქ და მიიღებენ ყუათიან სადილს მისი ყველა კომპონენტით. დარწმუნებული ვარ, აქ გაცნობით არ დამთავრდება მათი ურთიერთობა. ისინი მეგობრობას და სიყვარულს მომავალშიც გააგრძელებენ.

ნინო ჩაჩავა, თბილისის განათლების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე:

— ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია, გამიხარდა რომ ბავშვებმა მომიწვიეს. უფრო მეტსაც იმსახურებენ, მაგრამ „რადგან ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ“, ქვეყნის ხელისუფლება მოვალეა, ბავშვებს ბავშვობა დაუბრუნდეთ, რაც შეიძლება, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ბავშვი ქუჩაში არ აღმოჩნდეს, დიდი იმედი მაქვს, რომ ამ მიმართულებით პროგრესი იქნება, ახალი ხელისუფლება ამ საკითხს განსაკუთრებული რაკურსით უყურებს.

მიხარია, რომ ბავშვებს ძალდატანებით კი არა, როგორც ეს ჩემს დროს იყო, არამედ სიამაყით უჭირავთ ხელში ჩვენი ქვეყნის დროშა და უხარიათ.

ეს ძალიან კარგი ტრადიციაა და ჩვენი ქვეყანაც ხომ ტრადიციული კულტურის ქვეყანაა, იაპონიაში, რომელიც, აგრეთვე, ტრადიციების მიმდევარი ქვეყანაა, ყველაზე დიდ პატივს მოხუცებსა და ბავშვებს მიაგებენ, რადგან ვინც თავის წარსულსა და აწმყოს არ აქცევს სათანადო ყურადღებას, მას არც მომავალი ექნება.

ბაღიდან რედაქციაში მიმავალს რატომღაც ნოდარ დუმბაძის გენიალური სტრიქონები გამახსენდა — „იქნებ შენ მაინც მითხარი, რა არის სამშობლო? — ვეკითხები ჩემს მარადიულ ბებიას.

— მაგი რომ ვიცოდე, მაშინ რა მიჭირს ნენა... სამშობლო ალბათ სიცოცხლეა, და ამიტომ მიდის ყველა კაცი ამ ქვეყნიდან სიცოცხლით გაუმაძღარი, — მპასუხობს იგი“.

და მაინც თუნდაც ერთი ბავშვი მაინც რომ გრძნობდეს თავს დაჩაგრულად, არ შეიძლება, ქვეყნის ხელისუფლებას მშვიდად ეძინოს.

ნაზი იმნაიშვილი.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

◎ ევროპის რეგიონთა ასამბლეა

შიდა ქართლისა და გურიის მხარეები ევროპული ინტეგრაციის გზაზე

როცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ევროპის რეგიონთა ასამბლეის სრულუფლებიანი წევრი გახდა, ეს მოვლენა დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნა. მოგვიანებით ამ ასამბლეაში იმერეთი და კახეთიც გაწევრიანდნენ. ნოემბერში მათს რიცხვს შიდა ქართლიც მიემატა. აგერ ახლახან კი — გურიაც. გიორგობისთვეში მთელი საქართველო პარლამენტის სვეტებიან შენობას იყო მიჩერებული. რაღაც ახალი, ჯერ არსმენილი ხდებოდა ჩვენთვის და ერა-ში შიდა ქართლის გაწევრიანების აღსანიშნავად ვერ მოვიცალეთ. არადა, უმნიშვნელო სულაც არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ჩვენი პატარა ქვეყნის ცხრა რეგიონიდან ხუთი უკვე არის ევროპის რეგიონთა ასამბლეის წევრი. ალბათ, საინტერესო იქნება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან მოწოდებულ მასალებზე დაყრდნობით უკეთ გავეცნოთ ფაქტებს.

* * *

ერა-ში გაერთიანების სურვილი შიდა ქართლმა გასული წლის დასაწყისშივე გამოთქვა და რეგიონის ადმინისტრაციამ სათანადო მასალებიც გააგზავნა. ოქტომბერში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულმა დავით ქობლიანიძემ ევროპის რეგიონთა ასამბლეის გენერალური მდივნისაგან წერილი მიიღო, რომელიც ერა-ში შიდა ქართლის გაწევრიანების გადაწყვეტილების მიღებას ეხებოდა. „მოუთმენლად ველი თქვენთან თანამშრომლობას ახლო მომავალში“, — ნათქვამი იყო კლაუს კლიპის წერილში. თუმცა გენერალურ მდივანს კარგა ხანს მოუწია მოცდამ. რევოლუციის შემდეგ კლაუს კლიპს ახალმა რწმუნებულმა უპასუხა. მიხეილ ქარელი მოკლედ ხსნიდა იმ მიზეზებს, რამაც შიდა ქართლის რეგიონის გამოხმაურება და ერა-სთან პრაქტიკული თანამშრომლობის შეყოვნება გამოიწვია. თუმცა ეს მხოლოდ დროებითი იყო, პრიორიტეტული, მნიშვნელოვანი ურთიერთობა გრძელდებოდა. „ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი თანამშრომლობა ერა-სთან განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იქნება და ხელს შეუწყობს წარმატებულ მოვლენებს ჩვენს რეგიონში“, — წერდა საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული შიდა ქართლის მხარეში.

როგორც ვთქვით, ცოტა ხნის წინათ ერა-ში დამკვირვებლის სტატუსით გურიაც გაწევრიანდა. ამის შესახებ ოფიციალური შეტყობინება სტრასბურგიდან მიიღო პრეზიდენტის რწმუნებულმა გურიის მხარეში ვახტანგ გოლიაძემ.

— გარდა იმისა, რომ ერა-ს წევრობა გურიის რეგიონისთვის საპატიო და პრესტიჟულია, ეს ფაქტი სერიოზულ პერსპექტივებს გვისახავს ეკონომიკური და კულტურული განვითარების კუთხით. ერას წევრობით გურიას თვისობრივად ახალი არეალი ეხსნება იმისათვის, რომ უშუალო კონტაქტი დაამყაროს ერა-ში გაწევრიანებულ ევროპის ნებისმიერ რეგიონთან, — აცხადებს პრეზიდენტის რწმუნებული.

იხ. მე–5 გვ.

⊙ დოკუმენტი

ზვიად გამსახურდიას მიმართ შეწყდა სისხლის სამართლის საქმე და სისხლისსამართლებრივი დევნა

ამავე ბრალდების თანახმად, ზ. გამსახურდიამ პირთა ჯგუფთან ერთად გაიტაცა განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონება; მანვე, ჩაიდინა სახელმწიფო და მოქალაქეთა პირადი ქონების, ისტორიის და კულტურის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ძეგლების საყოველთაოდ საშიში საშუალებებით განზრახ განადგურება, რასაც განსაკუთრებით დიდი ზარალი და ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა. გარდა ამისა, ზ. გამსახურდიამ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ორგანიზება გაუკეთა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე საქონლის უკანონოდ გადმოტანას საბაჟო და სხვაგვარი დოკუმენტების მოტყუებითი გამოყენებით, ასევე ფეთქებადი ნივთიერებების, იარაღის და სამხედრო მასალის კონტრაბანდას; ასევე, ზ. გამსახურდიამ პირადი მიზნით გაიტაცა, დამალა და მოსპო სახელმწიფო დაწესებულების დოკუმენტები.

ბრალდების მიხედვით, პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ, ზ. გამსახურდიამ ჩაიდინა სამშობლოს ღალატი: იგი 1992 წლის 6 იანვარს გაიქცა საქართველოდან და თავი შეაფარა ჯერ სომხეთის რესპუბლიკას, შემდეგ რუსეთის ფედერაციის ქ. გროზნოს, საიდანაც 1992 წლის თებერვალში, საქართველოში დესტაბილიზაციის გამოწვევის, პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის მოშლისა და რესპუბლიკის ხელმძღვანელთა სიცოცხლის მოსპობისათვის მან ორგანიზება გაუკეთა და ჩამოაყალიბა პირთა ჯგუფი, რომელთა აქტიური დახმარებით ჩაიდინა საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით საშიში დანაშაულობები: სამშობლოს ღალატი, ტერორისტული აქტები, დივერსიები, ბანდიტიზმი, ადამიანთა მოტაცება, დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობები, მასობრივი არეულობანი, რასაც თან ახლდა დარბევა, ნგრევა, ცეცხლის წაკიდება, აფეთქებები ადამიანთა მსხვერპლითა და სხვა განსაკუთრებით მძიმე შედეგებით.

ზ. გამსახურდიას მიერ ჩადენილი დანაშაული, ბრალდების თანახმად, კონკრეტულად გამოიხატა შემდეგში:

პრეზიდენტი ზ. გამსახურდია თანამდებობით ვალდებული იყო განუხრელად დაეცვა დაკისრებული მოვალეობა — ყოფილიყო საქართველოს მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, რესპუბლიკის კონსტიტუციის და კანონიერების დაცვის გარანტი. ამ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, ავტორიტარული რეჟიმის დამკვიდრებისა და პირადი განდიდების მიზნით, ჩაიდინა განზრახი ქმედებები, რომლებიც მიმართული იყო საქართველოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული ხელშეუხებლობის, მოქალაქეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების საზიანოდ. იგი სისტემატურად აღვივებდა ეთნიკურ კონფლიქტებს, ასევე, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობაში განზრახ აღვივებდა შუღლსა და მტრობას, საჯაროდ მოუწოდებდა მათ ურთიერთდაპირისპირებისა და შეიარაღებული თავდასხმებისაკენ.

ხელისუფლებაში მოსვლამდე ზ. გამსახურდია აქტიურ საქმიანობას ეწეოდა ქართველებსა და ოსებს შორის ეროვნული შუღლის და მტრობის გასაღვივებლად, რისთვისაც მიმართავდა უკანონო აქციებს, რამაც ოსებსა და ქართველებს შორის არაჯანსაღი, მტრული დამოკიდებულება წარმოშვა. კონფლიქტის შემდგომი ესკალაციის აღსაკვეთად რესპუბლიკის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა რეგიონში შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალები შეეყვანა.

სამაჩაბლოში შეყვანილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რაზმები, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ზ. გამსახურდიამ, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გვერდის ავლით, უკანონოდ გამოიყვანა რეგიონიდან, რითაც განზრახ შეუწყო ხელი ქართველებსა და ოსებს შორის შეიარაღებულ დაპირისპირებას, რასაც შედეგად ქართველი და ოსი ეროვნების მრავალ პირთა მკვლელობა მოჰყვა.

1991 წლის 22 მარტს ქარელში გამართულ თათბირზე მან საჯაროდ მოუწოდა პოლიტიკურ პარტიებს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე დაუყოვნებლივ დაერბიათ და შეევიწროებინათ ოსები, განედევნათ ისინი საქართველოდან. ამ მოწოდების შემდეგ ქარელის, ახალგორის, ახმეტის, ბორჯომის, მცხეთის, გორის რაიონებში ეთნიკური ნიშნით სამუშაოდან დაითხოვეს ოსი ეროვნების პირები, რამაც ოსების მხრიდან სამაჩაბლოს რეგიონში ქართველების მიმართ მასობრივი თავდასხმები და ფიზიკური განადგურება გამოიწვია, შეიარაღებულ კონფლიქტში დაიღუპა, დაიჭრა და დასახიჩრდა ასეულობით მშვიდობიანი მოქალაქე, განადგურდა მილიარდობით მანეთის ღირებულების სახელმწიფო და მოქალაქეთა პირადი ქონება, სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები და ფასეულობანი. ამ ქმედებებით ზ. გამსახურდიამ ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 75-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

1991 წლის 14 აპრილს საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ ზვიად გამსახურდია არჩეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად. მან გადაამეტა ხელისუფლებას, განზრახ, კანონით მინიჭებული უფლებებისა და რწმუნებების ფარგლებს გადაცილებით, ერთპიროვნულად, 1991 წლის 15 აპრილს გამოსცა უკანონო ბრძანებულება საყოველთაო ეროვნული და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის, სატრანსპორტო საშუალებების და საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების გაფიცვის შესახებ; დაავალდებულა სამინისტროები, უწყებები და ადმინისტრაციული ორგანოები შეეწყოთ ხელი საყოველთაო ეროვნული დაუმორჩილებლობისათვის, რამაც რესპუბლიკაში სარკინიგზო ტრანსპორტის, მსხვილი საწარმოების მუშაობის შეწყვეტა და პარალიზება განაპირობა, რითაც არსებითი ზიანი მიაყენა სახელმწიფო ინტერესებს მძიმე შედეგებით — რესპუბლიკამ წმინდა ფულადი გამოხატულებით 400 მილიონი მანეთის ზარალი განიცადა.

ამ ქმედებებით ზ. გამსახურდიამ ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

მანვე, 1991 წლის 19 აგვისტოს, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით, განზრახ, პირადი მოტივით, ქ. მოსკოვში დამნაშავეთა მიერ ორგანიზებული „განსაკუთრებული მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტის“ (გკჩპ) ხელმძღვანელობის მოთხოვნით, საკუთარი კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, საქართველოს კონსტიტუციის 104-ე მუხლის და 121[4] მუხლის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, განზრახ, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უფლებების უგულებელყოფით, ერთპიროვნულად გამოსცა უკანონო ბრძანებულება ეროვნული გვარდიის რეორგანიზაციის შესახებ, განუსაზღვრა მას მილიციის განსაკუთრებული დანიშნულების რაზმის სტატუსი, რითაც, ფაქტობრივად, გააუქმა იგი და აღნიშნულით არსებითი ზიანი მიაყენა სახელმწიფოს ინტერესებს, მის თავდაცვისუნარიანობას. ხსენებულს მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი — ეროვნული გვარდიის ნაწილის დაუმორჩილებლობა, რამაც განაპირობა რესპუბლიკაში პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების დესტაბილიზაცია.

ხელისუფლების უზურპაციის მიზნით, ზ. გამსახურდია არათუ მოწვევის გარეშე ესწრებოდა უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის და სესიის სხდომებს, არამედ, ფაქტობრივად, წარმართავდა მათ მუშაობას და მისი ნებისადმი ოდნავი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, უზენაეს საბჭოს საჯაროდ ემუქრებოდა დათხოვნით, დეპუტატებს კი — დაპატიმრებით. ზ. გამსახურდიასა და მისი გარემოცვის არაკომპეტენტურობის და უუნარობის მიზეზით, რესპუბლიკის ეკონომიკურ-ფინანსური მდგომარეობა კატასტროფის წინაშე დადგა, უაღრესად დაიძაბა კრიმინოგენური ვითარება, სისტემატურად ირღვეოდა კანონით გარანტირებული პიროვნების თავისუფლება. ზ. გამსახურდიას დამღუპველი კურსის სამართლიანი კრიტიკისთვის ინტელიგენციის, სტუდენტობისა და მოსახლეობის სხვა ფენები დაუყოვნებლივ ცხადდებოდნენ სამშობლოს მოღალატეებად და უცხო სახელმწიფოთა აგენტებად. წამყვანი ქვეყნების უმაღლესი თანამდებობის პირთა პატივისა და ღირსების სისტემატურად საჯარო შეურაცხყოფამ რესპუბლიკა სრულ იზოლაციაში მოაქცია.

უკანონობით აღშფოთებული საზოგადოების წარმომადგენლები, იმის გამო, რომ ზ. გამსახურდია მათ სამართლიან კრიტიკას ყურად არ იღებდა, იძულებული გახდნენ, მიემართათ პროტესტის ისეთი ფორმებისათვის, როგორიცაა მსვლელობები და მიტინგები.

1991 წლის 2 სექტემბერს, 18 საათზე, ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე, კინოს სახლის წინ, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები ატარებდნენ საინფორმაციო მიტინგს, რის თაობაზეც საზოგადოება წინასწარ იყო ინფორმირებული გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ 1991 წლის 31 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული განცხადებით.

ზ. გამსახურდიამ, მისი საწინააღმდეგო აზრის მქონე პირთა ფიზიკური ანგარიშსწორების, მათი შემდგომში დაშინების და დამორჩილების მიზნით, ხელისუფლების გადამეტებით განიზრახა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით დაერბია მშვიდობიანი მიტინგი, რა მიზნითაც, 1991 წლის 2 სექტემბერს, 12 საათზე, თავის სამუშაო ოთახში რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს დილარ ხაბულიანს და ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსს ალექსანდრე მიქაბერიძეს მისცა უკანონო განკარგულება მიტინგის დასარბევად გამოეყენებინათ ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული შინაგან საქმეთა სპეცდანიშნულების რაზმის პირადი შემადგენლობა.

ზ. გამსახურდიას უკანონო განკარგულების შესასრულებლად დ. ხაბულიანმა და ა. მიქაბერიძემ თავის მხრივ შს სამინისტროს ათასეულის მეთაურს, ავთანდილ წოწორიას მისცეს ასევე აშკარად უკანონო განკარგულება, სპეცდანიშნულების პირადი შემადგენლობის სრული ეკიპირებით კინოს სახლთან გაყვანისა და მიტინგის ძალის გამოყენებით დარბევის შესახებ. იმავე დღეს, 17 საათსა და 45 წუთზე, რუსთაველის გამზირზე, კინოს სახლის წინ 200-მდე მომიტინგე ძალის გამოყენებით დარბეულ იქნა, რასაც თან ახლდა იარაღის გამოყენება. ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის შედეგად სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება მიიღო გიორგი ზოდელავამ, სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება ალექსანდრე გრიშინმა, ხოლო თენგიზ შვანგირაძემ სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება.

მიტინგის დარბევის დროს ათეულობით სხვა მოქალაქემ და მილიციის მუშაკმა მიიღო სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებანი.

ამდენად, ზ. გამსახურდიას მიერ ხელისუფლების გადამეტებამ განსაკუთრებით მძიმე შედეგები გამოიღო.

1991 წლის 22 სექტემბერს ზ. გამსახურდიას მოწოდებით წაქეზებულმა პირებმა დაარბიეს ეროვნული დამოუკიდებლობის და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების შტაბბინები, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ამ პარტიათა წარმომადგენლებს.

ეროვნული გვარდიის ოპოზიციაში მყოფმა ხელმძღვანელობამ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გააკეთა ოფიციალური განცხადება — თუ დაპირისპირებული მხარის მიმართ გამოყენებული იქნებოდა ძალა, გვარდია დადგებოდა დაზარალებულთა მხარეს და აღკვეთდა მშვიდობიან მომიტინგეებზე შემდგომი თავდასხმის მცდელობას. ამ მიზნით, 1991 წლის 23 სექტემბერს, თბილისის გარეუბანში, „შავნაბადაზე“ განლაგებულმა გვარდიის ნაწილებმა გადმოინაცვლეს ტელევიზიის სახელმწიფო დეპარტამენტთან, სადაც საქტელერადიოს მუშაკთა გაფიცვა მიმდინარეობდა ხელისუფლების მხრიდან „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ“ კანონის მოთხოვნათა დარღვევის აღსაკვეთად.

1991 წლის 3 ოქტომბერს, 18 საათზე, ოფიციალურ ხელისუფლებასა და გვარდიის სარდლობასთან მიღწეული მოლაპარაკების შემდეგ, შეიარაღებულმა ნაწილებმა უთანხმოების აღმოსაფხვრელად შემდგომი მოლაპარაკების გაგრძელების და მდგომარეობის სტაბილიზაციის მიზნით, დატოვეს ტელევიზიის ადმინისტრაციული კორპუსის მიმდებარე ტერიტორია და გადაინაცვლეს თბილისის ზღვის მიდამოებში.

4 ოქტომბერს ზ. გამსახურდიას განკარგულებით თბილისის ზღვაზე განლაგებულ ნაწილებს თავს დაესხა საჯარისო შენაერთები ვახტანგ ქობალიას მეთაურობით. შეტაკებისას დაიღუპა 3 და დაიჭრა 7 პირი. იმავე ღამით გაიმართა მშვიდობიანი საპროტესტო აქცია რუსთაველის პროსპექტზე ერთადერთი მოთხოვნით — მოეხსნათ ალყა ოპოზიციური გვარდიისათვის და შეწყვეტილიყო შეიარაღებული კონფლიქტი. ზ. გამსახურდიას განკარგულებით ეს შეკრებაც იარაღის გამოყენებით იქნა დარბეული, რასაც განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოჰყვა — დაიღუპნენ და დაიჭრნენ ეროვნული გვარდიის წევრები.

ამ ქმედებით ზ. გამსახურდიამ ჩაიდინა საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 104-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დანაშაული.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1991 წლის 12 მარტის №306 დადგენილებით, თბილისის პრეფექტურის, არქიტექტურის და დაგეგმარების სამმართველოს დაევალა მოემზადებინა საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ქ. თბილისში, გალის ქ. №19-ში, დიდი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას სახლ-მუზეუმის მოსაწყობად. ზ. გამსახურდიამ, პირადი მოტივით გამოიყენა რა თანამდებობა ბოროტად, გადაწყვიტა ესარგებლა ამ ვითარებით და მეზობლად, გალის ქ. №21-ში მცხოვრები ძმების მამია და ლერი წოწორიების ოჯახები, რომლებთანაც იგი და მისი მეუღლე მ. არჩვაძე წლების განმავლობაში იმყოფებოდნენ არაჯანსაღ დამოკიდებულებაში, გაესახლებინა. მათი ბინებით დასაკმაყოფილებლად რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს დამატებით უკანონოდ გამოეყო 378294 მანეთი. ზვიად გამსახურდია ცდილობდა რა საკუთარი ბინიდან გამოსახლებაზე დაეთანხმებინა მამია და ლერი წოწორიები, ბოროტად იყენებდა სამსახურებრივ მდგომარეობას, კერძოდ, შესაბამის სამსახურებს აიძულებდა გამოეტანათ მისთვის სასარგებლო უკანონო გადაწყვეტილებები წოწორიებისათვის ხუთოთახიანი ბინების გამოყოფის შესახებ. რამდენადაც ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობაში თითოეული ხუთოთახიანი ბინის ღირებულება შეადგენდა 155232 მანეთს, ხოლო კ. გამსახურდიას სახლ-მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიიდან მობინადრეთა გაყვანისა და მათი ბინების უზრუნველყოფის ხარჯებისთვის განსაზღვრული იყო 378294 მანეთი, მთაწმინდის რაიონის პრეფექტურამ 1991 წლის 7 ივნისს მიიღო № 1/111 გადაწყვეტილება, რაიონის ბიუჯეტიდან სხვაობის თანხის, 6 მილიონ 874500 მანეთის გადახდის შესახებ.

ხსენებული უკანონო ქმედებებით ზ. გამსახურდიამ რესპუბლიკის უმაღლეს ხელმძღვანელ პოსტებზე მუშაობის პერიოდში სახელმწიფოს მიაყენა 7 მილიონ 252800 მანეთის არსებითი ზიანი, რასაც მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 161.

⊙ სულის ძახილი

ფერეიდნამდე არც ისე შორია...

მარტყოფის მიმდებარე ტერიტორიას, სადაც XVII საუკუნის დასაწყისში ქართველ-სპარსელთა ბრძოლები გაიმართა, აქაურები დღესაც ულევარს უწოდებენ, რადგან შაჰ-აბას I-ის ჯარი არა და არ ილეოდა. დამარცხებულები მშობლიური მიწიდან აჰყარეს, ირანში წაასხეს და საკმაოდ გაფიტულ მიწაზე დაასახლეს...

ფერეიდანი ცენტრალური ირანის პროვინციას წარმოადგენს, იგი ბახტიარიის მთებში მდებარეობს. 1614-17 წლებში აწიოკებული 200 ათასი ქართველიდან საკმაოდ დიდი ნაწილი სწორედ ფერეიდანში დამკვიდრდა. მალე იქ ქართული სოფლებიც შეიქმნა: ზემო მარტყოფი, ქვემო მარტყოფი, ჩუღურეთი, აფუსი და სხვა. ქართველები ოდიდგანვე ცნობილი იყვნენ გმირობით, თავდადებითა და შეუპოვრობით. სწორედ ამიტომ, ფერეიდანში ქართველების ჩასახლებით შაჰ-აბას I-ს მომთაბარეთა თავდასხმისაგან დედაქალაქ ისპაჰანის დაცვა ჰქონდა გამიზნული. ფერეიდანში მცხოვრები ქართველები პირველ ხანებში რჯულს და ზნე-ჩვეულებებს ინარჩუნებდნენ, მაგრამ შემდეგ მათ სარწმუნოება იძულებით შეუცვალეს. მიუხედავად ამისა, მცირედმა ქართული ენა და ზოგიერთი ტრადიცია დღემდე შეინარჩუნა.

საქართველოს ფერეიდანში მცხოვრები ძირძველი ქართველების არსებობა არ დავიწყებია. ამ ფაქტის უტყუარობას ახლახან საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით ფერეიდანში დელეგაციის ოფიციალური ვიზიტიც ადასტურებს. ირანულ, მათ შორის ფერეიდნულ შთაბეჭდილებებს პარლამენტარი ნოდარ გრიგალაშვილი გაგვიზიარებს.

— იმ 400 წლის მანძილზე, რაც ქართველები ფერეიდანში გადაასახლეს, ირანის ხელისუფლებამ პირველად დართო ნება საქართველოს ხელისუფლებას ოფიციალურად ენახა ეს ხალხი. იმ ემოციისა და განცდის გადმოცემა, რაც იქ იგრძნობოდა, სიტყვებით ძალიან ძნელია. ქართულ დელეგაციას ფერეიდანში უამრავი ხალხი დახვდა. მანქანებიდან გადმოსვლისთანავე პრეზიდენტი შუაში მოიქციეს. ისმოდა შეძახილები — „გაუმარჯოს საქართველოს“, „გაუმარჯოს პრეზიდენტს“. და მიდიოდა სკანდირება — „მიშა“, „მიშა“. ეს იყო პირველი რეაქცია. ყველა ცდილობდა, რომ პრეზიდენტს ხელით შეხებოდა, მისთვის ეკოცნა. დიდი ძალისხმევა დასჭირდა დაცვას, რომ პრეზიდენტი ხალხის ტალღიდან გამოეყვანათ, მაგრამ სააკაშვილის ხასიათი უკვე ყველასთვის ცნობილია, ყოველთვის ხალხისკენ იწევს. მათ პრეზიდენტის მიმართ დიდი სიყვარული გამოამჟღავნეს, სააკაშვილს სცნობდნენ. სხვათა შორის, ჰქონდათ ინფორმაცია ნოემბერში საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. ჩვენ ყველას გვკოცნიდნენ და გვეფერებოდნენ, უბრალოდ, ქართველობის გამო. ისინი გულდაწყვეტილები საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ ქართველებისგან სრულიად მიტოვებული იყვნენ და ამ ხნის მანძილზე მათთან არავინ ჩასულა. თუმცა სიამოვნებით გაიხსენეს ის ფაქტი, რომ რამდენიმე წლის წინათ ზურაბ ჟვანია იყო მათთან, მაგრამ პირველი პირის რანგი მაინც სხვა არის. სააკაშვილის დანახვაზე ისინი თვითონაც ტიროდნენ და ჩვენც გვატირებდნენ.



მოსახლეობასთან შეხვედრა ხალხით გაჭედილ დიდ გადახურულ დარბაზში გაგრძელდა, სამი იმდენი ადამიანი კი გარეთ იცდიდა. ეს შეხვედრა ფერეიდნელი ბავშვების წარმოდგენით დაიწყო, სადაც მათ „სულიკო“ და რამდენიმე ქართული სიმღერა იმღერეს. შემდეგ სიტყვით იქაური მოლა გამოვიდა, რომელიც მოეფერა საქართველოს, ჩვენს პრეზიდენტს, ისაუბრა ირანის სახელმწიფოს ინტერესებზე, ბოლოს სიტყვა ჩვენს პრეზიდენტს მიეცა, მისალმებისთანავე მას სიტყვა მქუხარე ტაშით გააწყვეტინეს. პრეზიდენტს ძალიან ემოციური და პატრიოტული გამოსვლა ჰქონდა, რისი გადმოცემაც ძნელია. ყველა სიტყვა სააკაშვილისეული შემართებით ითქვა. პრეზიდენტის გამოსვლამ წონასწორობიდან გამოიყვანა მთელი დარბაზი. ერთმანეთში ირეოდა ტაში, შეძახილი და ცრემლი. ჩვენი პრეზიდენტისგან იმის დაფიქსირებამ, რომ ისინი ყველაზე ძირძველი და ფესვმაგარი ქართველები არიან, ეს ხალხი ცარიელ გულებად აქცია.

— როგორც ვიცით, ირანში დიდი სიხარული გამოიწვია ქართული წიგნების ჩატანამ, „დედა ენის“ გაბრწყინებამ...

— ფერეიდანში 1000 ცალი „დედა ენა“ ჩავიტანეთ, რომელიც განათ

იხ. მე-4 გვ.

⊙ ინფორმაცია

კრიმინალი

დიდი ოდენობის ასაფეთქებელი მასალა ამოიღეს

საქართველოს უშიშროების სამინისტროს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს თანამშრომლებმა გუშინ ქუთაისში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ასაფეთქებელი მასალა ამოიღეს.

300 ელექტროკაფსულა, 200 დეტონატორი, სასიგნალო მაშხალები, სასიგნალო პისტოლეტები ვაზნებით, წინაღობის ხიდები და სხვა ასაფეთქებელი მასალა უშიშროების თანამშრომლებმა წინასწარი ინფორმაციის საფუძველზე ერთ-ერთი მოქალაქის სახლიდან ამოიღეს, რომელიც სამსახურებრივად ამ არსენალს უკავშირდებოდა.

უშიშროების დასავლეთ საქართველოს სამმართველოში არ ამხელენ არც ამ პიროვნების ვინაობას და არც იმ ადგილს, საიდანაც ასაფეთქებელი მასალა იქნა ამოღებული.

როგორც უშიშროების სამმართველოში აცხადებენ, ასაფეთქებელი მასალები, შესაძლოა, დივერსიული და ტერორისტული საქმიანობისთვის ყოფილიყო გამოყენებული.

ავტომანქანა მოპარეს

„ნაციონალური მოძრაობის“ ვანის ორგანიზაციის ლიდერს არჩილ მესხს ავტომანქანა მოპარეს.

რაიონულ ცენტრში, კულტურის სახლის წინ, ერთ-ერთი პიროვნება ფარულად დაეუფლა არჩილ მესხის კუთვნილ „ვაზ 2101“ მარკის ავტომანქანას, თუმცა მოგვიანებით უსაფრთხო მოძრაობა ვერ უზრუნველყო და ბეტონის ფილას შეეჯახა. პოლიციამ მისი ოპერატიულად დაკავება შეძლო.

გამტაცებელი თბილისელი, ადრე ნასამართლევი ჯემალ ონიანი აღმოჩნდა. ონიანის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. იგი წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება.

ვეტერანები

უფასო გამოკვლევები და ოპერაციები უტარდებათ

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლების და სამამულო ომის ვეტერანებს საქართველოს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის სპეციალური პროგრამით სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფ სამედიცინო დაწესებულებებში უფასო გამოკვლევები და ოპერაციები უტარდებათ.

როგორც „ინტერ-პრესს“ ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის პრესსამსახურის უფროსმა ეკა მელქაძემ განუცხადა, აღნიშნული შეღავათები ვეტერანების შვილებზე, მშობლებზე და მეუღლეებზეც ვრცელდება.

უფასო სამედიცინო მომსახურება პირველ რიგში ვეტერანთა ჰოსპიტალშია გათვალისწინებული, ისეთი ოპერაციები კი, რომლებსაც ეს ჰოსპიტალი ვერ ჩაატარებს, სხვა სახელმწიფო საავადმყოფოებში გაკეთდება. ამ მიზნით სოცუზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდი ყოველთვიურად 32-33 ათას ლარს გამოყოფს. ამ თანხით ონკოლოგიური, უროლოგიური, თვალის და სხვა სახის ოპერაციები ტარდება. ივნისში 15 ძვირადღირებული ოპერაცია გაკეთდა, ივლისში კი 13 გაკეთდება.

ინტერ-პრესი.

⊙ მხარე

ალაზნისპირა ფართობები მოირწყვება

დედოფლისწყაროს რაიონი ერთ-ერთი მშრალი და გვალვიანი ზონაა საქართველოში. სავეგეტაციო პერიოდის კლიმატური პირობები ხასიათდება განსაკუთრებული მცირე ნალექით. ატმოსფერული ნალექების მწვავე დეფიციტის პირობებში კი ნიადაგის ტენიანობის მაჩვენებელი დასაშვებ ზღვარზე დაბალია, რაც მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს აყენებს მიწათმოსარგებლეებს.

ტენის დეფიციტის შესავსებად რაიონში მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის და უშუალოდ მისი ხელმძღვანელის თენგიზ ჩიკვაიძის ძალისხმევით შესრულდა „დილიჩა-1“ სარწყავი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რის შედეგად შესაძლებელი გახდა ალაზნისპირა ფართობებზე 2628 ჰექტარი სავარგულის სარწყავი წყლით უზრუნველყოფა.

„დილიჩა-1“ სარწყავი სისტემის ნაწილობრივ აღდგენის შემდეგ სარწყავ ფართობზე დამუშავდა წლობით მიტოვებული ვენახები და მანამდე გამოუყენებელ სახნავ მიწებზე დაიწყო მარცვლოვანი კულტურების მოყვანა. მორწყულ ფართობში ერთიორად გაიზარდა ჰექტრობრივი მოსავლიანობა. მარტო სოფელ ფიროსმანში, სადაც ცხოვრობს აჭარის მაღალმთიანი სოფლებიდან გადმოსახლებული 151 ოჯახი, თუ წინა წლებში მუშავდებოდა მხოლოდ 40-50 ჰექტარი ვენახი, სარწყავი წყლის მიწოდების შემდეგ, მისი სიდიდე 250 ჰექტარამდე გაიზარდა, მოსავლიანობის საშუალო საჰექტარო მაჩვენებელი კი 30-35 ცენტნერიდან — 120-125 ცენტნერამდე. ანალოგიური მდგომარეობაა ქვემო ქედის, არხილოსკალოს და საბათლოს საკრებულოების საიჯარო მიწებზეც. ამის შედეგად გადაიჭრა სოფლის მოსახლეობის დასაქმების პრობლემა, გაუმჯობესდა ფერმერთა და მოიჯარეთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

ახალი ვენახების მზრალი განაშენიანების ტენდენცია წინა პლანზე აყენებს სარწყავი სისტემების სიმძლავრის გაზრდის საკითხს. მიწათმოსარგებლეთა და ფერმერთა წყალმოთხოვნილების უზრუნველსაყოფად, დალის მთის წყალსაცავის დაუმთავრებელ მშენებლობის ობიექტზე განხორციელდა გარკვეული სამუშაოები: აღდგენილია კაშხლის სადაწნეო ფერდის დაზიანებული მონაკვეთები, სარეგულაციო და საექსპლუატაციო კოშკის შენობები, ჰიდრო და ელექტრომექანიკური მოწყობილობები და ფარები, ასევე დიუკერი, მაგისტრალური მილსადენები და სხვა წყალსატარი ნაგებობები, რითაც გასარწყავდა 178 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. ჭაჭუნის მასივზე დღემდე გამოუყენებელი მიწის ფართობები ათვისებულია და ირწყვება ბაღჩეული კულტურები.

წლების მანძილზე არ მუშაობდა ტარიბანის მექანიკური სარწყავი სისტემა, კრანჭისხევისა და ყუშისხევის წყალსაცავები. ჰიდროტექნიკური ნაგებობების და მაგისტრალური მილსადენების აღდგენითი სამუშაოების შესრულების შემდეგ შესაძლებელი გახდა ხევისა და წვიმის წყლების ჩამონადენით მოერწყათ ტარიბანის მიწები. 2003 წელს 91 ჰექტარი გაითხონა, წლეულს კი 150 ჰექტარი მოირწყვება. ასევე შესაძლებელი გახდა სასმელი წყლის მიწოდება მეცხოველეობის ფერმებში.

მიმდინარეობს რწყვის სეზონისათვის საჭირო სამუშაოები. ალაზნისპირა ფართობებზე პირველი ივლისიდან დაიწყება წყლის მიწოდება გეგმა-გრაფიკის მიხედვით. გათვალისწინებულია 1000 ჰექტარი სავარგულის მორწყვა, რაშიც უდავოდ დიდი წვლილი მიუძღვის დედოფლისწყაროს წყალთა მეურნეობის სამმართველოს (უფროსი — თ. ჩანქსელიანი), რომელიც უშუალოდ უზრუნველყოფს სამელიორაციო სისტემის მოვლა-პატრონობას.

შემოღებულია ფასიანი წყალსარგებლობა. დადგენილია საბითუმო ტარიფი, რომელიც 1 ჰექტარ მორწყულ ფართობზე 1000 კუბმეტრი სარწყავი წყლის გამოყენების ნორმის პირობებში 6 ლარს შეადგენს. ასე რომ, ფასი სიმბოლურია და სამთაწყაროს, ფიროსმანის და საბათლოს საკრებულოს ტერიტორიაზე ალაზნისპირა ფართობების მიწათმოსარგებლეებმა, ვისაც საკუთარი მიწის ნაკვეთების მორწყვა სურს, სამმართველოს ადმინისტრაციას უნდა მიმართონ.

ნანა ჭიჭინაძე,
„სრ“ საკ. კორ.

სულის ძახილი

ფერეიდნამდე არც ისე შორია...

(მესამე გვერდიდან)

ლების სამინისტრომ წინასწარ დაბეჭდა ქართულ და სპარსულ ენებზე, მაგრამ ეს წიგნები ყველასთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ამ წიგნებს შესციცინებდნენ და ქართულ ასოებს ეფერებოდნენ. წიგნები რომ აღარ გვქონდა, ფურცლებით მოდიოდნენ, ოღონდ ქართულად რაიმე დაგვეწერა მათთვის, რათა ფურცელზე ქართული ასოები დაენახათ. ერთმა ჩვენმა ბიზნესმენმა ჯვარი მოიხსნა და ფერეიდნელ გოგონას აჩუქა, მუჭაში ჩაუდო ჩუმად. ამ გოგონამ ხელი გაშალა, ჯერ მარცხნივ გაიხედა, შემდეგ მარჯვნივ, ეტყობა, დაზვერა — ხომ არავინ უყურებდა, მერე ჯვარს აკოცა და გულში ჩაიხუტა. 400 წლის წინანდელი ქართველის ნაშიერმა, რომლის წინაპარსაც მაშინ მუსულმანობა ძალით მიაღებინეს, ამჯერად ქრისტიანულ ჯვარს აკოცა და გულში ჩაიხუტა. ისინი ძალზე კარგი ქართველები არიან, საქართველო ენატრებათ.

წამოსვლისას მოსდევდნენ ჩვენს მანქანებს და იძახდნენ — წაგვიყვანეთ, ჩვენ ვიბრძოლებთ და დავიცავთ საქართველოსო. ისმოდა შეძახილები — „მიშა“, „მიშა“, „საქართველო“ და ა. შ. პრეზიდენტი შეპირდა მათ, რომ ვისაც სურვილი ექნება, ყველას უფასოდ ასწავლის საქართველოში, შეპირდა, რომ აქ მათ არანაირი პრობლემა არ შეექმნებათ. აღსანიშნავია, რომ მთელი ეს კადრები იმ ღამეს ირანის ტელევიზიამ გადასცა, რითაც იქაურმა ხელისუფლებამ ერთგვარი რევერანსი გაუკეთა ჩვენს პრეზიდენტს.

— რა შეგიძლიათ გვითხრათ უშუალოდ ირანში ვიზიტზე და ხელისუფლებასთან შეხვედრაზე, რამდენად წარმატებული იყო ეს ვიზიტი?

— ვიზიტის წარმატება იმაში გამოიხატა, რომ ირანის ხელისუფლებამ ყველა საკითხში სრული თანადგომა გამოგვიცხადა. პრეზიდენტი ჰათამი გონიერი ადამიანია. მასში აღმოსავლური სიბრძნეა თავმოყრილი და იმავდროულად ძალიან განათლებული პიროვნებაა. იგი აღფრთოვანდა ჩვენი პრეზიდენტის განათლებით, ენების ცოდნით და, შეიძლება ითქვას, პირდაპირ მამა-შვილური სიყვარული გამოუცხადა.

იქ არის მეორე არანაკლები ფიგურა, რომლის ძალაუფლებაც მოქმედი პრეზიდენტისასაც აჭარბებს. მასთან ვიზიტი ცოტა რთული იყო. ეს ძველი შაჰების ტრადიციის გაგრძელებას უფრო ჰგავდა. თვალწინ მედგა შაჰები ჩვენს მეფეებს რომ ელაპარაკებოდნენ, ერთის მხრივ, ხიბლავდნენ, ეფერებოდნენ, მეორეს მხრივ, ამოწმებდნენ მათ ერთგულებას. საუბრისას იგი ამოწმებდა მიხეილ სააკაშვილის დამოკიდებულებას ევროპასთან, აშშ-სთან, საქართველოს პრეზიდენტის პირდაპირობითა და გულწრფელობით ის კმაყოფილი დარჩა. ჩვენმა პრეზიდენტმა გულწრფელად აღნიშნა, რომ არის დასავლური ორიენტაციის, რომ შესანიშნავი ურთიერთობები აქვს ამერიკასთან, მაგრამ რაც შეეხება საქართველო-სპარსეთის ურთიერთობას, — ეს ყველაფერი ამაზე ზეგავლენას ვერ მოახდენს, ვინაიდან საქართველოს ირანთან მყარი პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები სურს.

— რას გამოჰყოფდით ეკონომიკური ურთიერთობებიდან?

— ირანისა და საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებებს შორის სრული ნდობის ურთიერთობა ჩამოყალიბდა, რის შედეგადაც ისინი საქართველოში ალტერნატიული გაზის შემოყვანას დაგვპირდნენ. ეს ამ ვიზიტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეა. საუბარი იყო რკინიგზის აღდგენაზეც, ფოთის პორტის გამოყენებაზეც. ჩვენი გეოსტრატეგიული მდებარეობა და მნიშვნელობა მათ ისტორიულად ძალიან კარგად იციან. შეხვედრა გვქონდა ირანის ბიზნესმენებთან. მათ სააკაშვილმა გამოუცხადა, რომ საქართველოში ბიზნესისთვის გზა ხსნილია და აქ შეუძლიათ ინვესტიციების ჩადება. იქაურმა ბიზნესმენებმა დაწვრილებით გამოიკითხეს ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობა, მათთან შეხვედრით ჩვენი დელეგაცია კმაყოფილი დარჩა.

ეკონომიკასთან ერთად არც სულიერი სფერო გამოგვრჩენია. აღსანიშნავია, რომ პირველად გაწყვეტილი ისტორიის მანძილზე დაისვა საკითხი ჩვენი მეცნიერების გაცვლის შესახებ. ცნობილი ფაქტია, რომ ირანში არის უზარმაზარი დასტა ქართული ხელნაწერებისა, ასევე კიდევ უფრო დიდი რაოდენობით სპარსული ხელნაწერები, სადაც ჩვენი ფესვების და ისტორიის ძიება შეიძლება. აღმოსავლური სკოლა საქართველოში ძლიერია, ჩვენს ხელნაწერთა ინსტიტუტში უამრავი ხელნაწერი ინახება, რომელსაც ირანის ისტორიისათვის ოქროს ფასი ექნება. შევთანხმდით, რომ სამეცნიერო სკოლები ერთმანეთთან გაცვლიან წარმომადგენლებს. ეს ხელშეკრულებაში არის ჩაწერილი, რაც ჩვენთვის დიდი მონაპოვარია. იმედი გვაქვს, რომ არაერთი მნიშვნელოვანი წყარო გამოჩნდება და ბევრი ბნელით მოცული ლაბირინთი განათდება.

ესაუბრა ლელა ხვადაგიანი.

წუთისოფელი

ცხოვრება გვანჯი ჩიქოვანისა

ჩაწერილი ექიმ დავით კვიტაიშვილის მიერ თბილისის მეორე კოლონიაში, ორთაჭალაში, 1948 წელს

სალომე დადიანის ქალიშვილი ანტუანეტა (ბებე) მიურატი.

სალომე დადიანის ვაჟი ნაპოლეონ მიურატი, 1916.

მართლაც, მეორე დღეს ჩავჯექით ეტლში და გავემართეთ. იგი წინასწარ შევიდა გუბერნატორთან. საგუბერნატოროს მრავალრიცხოვანი ჩინოვნიკები ცნობისმოყვარეზე მომჩერებოდნენ. მალე ზარმა დაიწკრიალა და გამომიძახეს. კაბინეტში შესულმა დავინახე, რომ ექიმი გვერდით ეჯდა გუბერნატორს. გუბერნატორი მეტად ახოვანი კაცი ჩანდა, ძალიან უხდებოდა ლამაზი ბაკენბარდები და კოხტად დავარცხნილი ჭაღარა წვერი. გაღიმებულმა წამოიწია და ხელი ჩამომართვა. შემდეგ ჩაახველა, ექიმს გადახედა და წარმოსთქვა: «Ï ðàâåä, êàêî é ì î ëî äåö Âàø ïðèÿòåëü!» შემდეგ ისევ გაისმა ზარის წკრიალი და შემოვიდა კანცელარიის უფროსი ზაგქევსკი. გუბერნატორმა უბრძანა, გამოერთვა ჩემთვის პასპორტი და ჩაეწერა: «Ðàçðåø àþ ïðîæèâàòü â ãîð. Èðêóòñêå ïðè îäîáðèòåëüíîì ïîâå-äåíèè». ზაგქევსკიმ ნათქვამი სასწრაფოდ ჩაწერა, რეგისტრაციაში გაატარა და გუბერნატორს ხელის მოსაწერად მიართვა. გუბერნატორმა დაასვა ბეჭედი, მოაწერა ხელი და გადმომცა პასპორტი. მე მას უღრმესი მადლობა გადავუხადე, ასევე დიდი მადლობა უთხრა ექიმმაც და გამოვედით. ამის მერე ძალიან დავუმეგობრდი ჩემს კეთილმყოფელ ექიმ ერისთავს, ხშირად დავდიოდი მასთან. ამ ამბით მეტად კმაყოფილები იყვნენ პლატონი და მელიტონი, რადგან უკვე შემეძლო უშიშრად და თავისუფლად მეცხოვრა მათთან.

ირკუტსკში ბევრი ქართველი გავიცანი, რომელთა შორის, ზემოთ ნახსენებთა გარდა, უთუოდ უნდა დავასახელო კოლია ნიჟარაძე, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალი, რომელიც მოხალისედ წამოსულიყო იქ და წითელი ჯვრის საზოგადოებაში მუშაობდა. გაცნობის მერე კოლიამ ძალიან შემიყვარა და ხშირი სტუმარი ვიყავით ერთმანეთისა. ვიცნობდი, აგრეთვე, ქალაქ ირკუტსკის სასტუმრო „მარსელის“ გამგეს დავით დიმიტრის ძე ახმეტელს. მისი სასტუმრო განთქმული იყო და თვითონაც კარგი ვაჟკაცის სახელი ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ირკუტსკში თავისუფალი ცხოვრების უფლება მოვიპოვე, მაინც გულს მიღრღნიდა ახლობლებთან, სამშობლოსთან დაშორება და ჩემი ოცნება იყო, რაც შეიძლება ჩქარა მენახა ჩემი საყვარელი საქართველო. დიდი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე წავსულიყავი იაპონიისკენ და რამენაირად ომში მიმეღო მონაწილეობა, რათა ამ გზით ან დავღუპულიყავი ანდა სამშობლოში დაბრუნების ნებართვა მომეპოვებინა. ამის თაობაზე ჩემი აზრი გავუზიარე პლატონს, მელიტონს, კოლია ნიჟარაძეს, მაგრამ ყველანი წინააღმდეგნი იყვნენ და მირჩევდნენ იქ დარჩენას. ამავე დროს მე უაღრესად მაინტერესებდა, რა ბედი ეწიათ ლადო ჯოხაძეს და მის ამხანაგებს, რომლებიც ციხიდან გასაქცევად ემზადებოდნენ. პასპორტი ავიღე თუ არა, მაშინვე წერილი გავუგზავნე ალექსანდროვკაში დარჩენილ ჩემს მეგობარ ქალებს — ლვოვას და ფოკინას და ვაცნობე მათ ჩემი მისამართი. ისიც შევატყობინე, რომ მზად ვიყავი, მათთვის მუდამ გამეწია საჭირო სამსახური.

იმხანად ირკუტსკში რუსეთ-იაპონიის ფრონტიდან ჩამოვიდა შვეიცარიის სამხედრო წარმომადგენელი — ატაშე — პოლკოვნიკის ჩინის მქონე. იგი ფრონტზე წასულიყო როგორც ატაშე, რათა გაცნობოდა ომის მსვლელობას. ერთ დღეს მე და კოლიამ ეს ატაშე უმაღლესი ჩინის რუსეთის ოფიცრებთან დავინახეთ. კოლიამ მითხრა, ჩემო გვანჯი, დიდი სურვილი მაქვს ამ შვეიცარიელ წარმომადგენელს დავით ახმეტელის სასტუმროში ერთი ლამაზი ბანკეტი მოვუწყოთო. ჯერ ერთი, ეს ჩვენი სახელი იქნება, გარდა ამისა ლაპარაკიდან შევიტყობთ, შენი ფრონტზე წასვლა ღირს თუ არაო. მართლაც, მეორე დღეს წავედით ახმეტელთან და იმანაც საუკეთესო ვახშამი დაგვიკვეთა. სუფრა გაიშალა ბრწყინვალე დარბაზში. მაგიდას ამშვენებდა ძვირფასი ღვინოები, კავკასიური და ევროპული ნაირ-ნაირი სასმელ-საჭმელი. შვეიცარიელ პოლკოვნიკთან ერთად მოწვეულ იქნა მისი თანმხლები უმაღლესი ჩინის რუსის ოფიცრობა. იქ მყოფთა სმენას ატკბობდა იტალიელ მუსიკოსთა საუცხოო ორკესტრი. ითქვა მაღალფარდოვანი სადღეგრძელოები.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 147-151, 153-162.

(გაგრძელება იქნება).

ნომადი ბართაია

და აეხადა ჩვენს სიზმრებს ფარდა

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ფერეიდანში ჩასვლის გამო

მადლობა დიდი,
მადლობა დიდი,
ო, როგორ ვღელავ,
ო, როგორ ვღელავ,

აგვიხდა როგორ,
აგვიხდა როგორ,
აგვიხდა როგორ,
სიზმარი ყველას!

იზამდა ვინ სხვა,
იზამდა ვინ სხვა,
იზამდა ვინ სხვა,
ამას შენს გარდა, —

და აეხადა,
და აეხადა,
და აეხადა
ჩვენს სიზმრებს ფარდა!

მართლები ო, რა,
მართლები ო, რა,
მართლები ო, რა,
ვყოფილვართ ღმერთთან;

ოთხასი წელი,
ოთხასი წელი,
მართლა სიზმრებში
ვყოფილვართ ერთად...

რა იყო მაინც,
რა იყო მაინც,
ის ცრემლები და
ის აღმაფრენა,, —

დაედგა ძეგლი,
დაედგა ძეგლი,
დაედგა ძეგლი
დღეს დედა-ენას!

„კრედოს“ თვალსაწიერი

სჯობს აანთო ერთი სანთელი, ვიდრე მუდამჟამ სწყევლო სიბნელე...

რამდენიმე შტრიხი პორტრეტისთვის

რუსეთის ათმილიონიან დედაქალაქ მოსკოვში დიასპორების ხელშემწყობი ფონდის „კრედოს“ პრეზიდენტს ბესარიონ ხვინთელიანს, ამ რამდენიმე წლის წინათ, მშობლიურ სოფელ ლატალიდან (მესტიის რაიონი) სვანი ვაჟკაცები ეწვივნენ.

— შენ კარგად მოეწყვე რუსეთში, მაგრამ მამაპაპისეული ფუძისკენ არც კი იხედები, საუკუნის წინათ დანგრეული იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძარი მაინც აღგვიდგინე...

ბესარიონ ხვინთელიანი.

ბესოს გაეღიმა, წინაპართა ნაკვალევიდან ჩამოსულ ბიჭებს მოეფერა, ლატალში შეხვედრის დრო დაუთქვა და იმედით გამოისტუმრა.

მართალია, ბესოს მშობლები აფხაზეთში, სოხუმის რაიონის სოფელ შრომაში ჩამოსახლდნენ, ბესო და მისი და-ძმებიც იქ გაიზარდნენ, მაგრამ ერთი წუთითაც არ დავიწყებიათ განუმეორებელი სვანეთის სილამაზე, მზის საგალობლის „ლილეოს“ სწორუპოვარი ჰანგები, სვანი კაცის გამძლეობა-გამბედაობა და სიტყვის გაუტეხაობა.

მართლაც, მოიცალა ბესარიონ გურიელის ძემ და მშობლიურ სოფელში მარტოოდენ ტაძრის ასაგები თანხა კი არ ჩაიტანა, თანასოფლელების მხარდამხარ მანამ იშრომა, ვიდრე ჟამთა სიავისგან ბოლომდე გაპარტახებული ტაძარი მთლიანად არ გაასრულა, თანამოძმეებთან ერთად სანთელი არ დაანთო და მაღალ ღმერთს საქართველოს გაძლიერება-გამთლიანება არ შესთხოვა.

სახელდახელო სუფრასთან ბესომ თავისი საყვარელი გამოთქმა გაიმეორა: ძმებო, სჯობს ავანთოთ ერთი სანთელი, ვიდრე განუწყვეტლივ ვწყევლოთ სიბნელე...

ყველაფერი გასაგები იყო. შეზარხოშებულმა სვანებმა გულწრფელად შეაქეს ბესოს მარჯვენა და ფიცვერცხლნაჭამი ერთგულება შეჰფიცეს.

— 17 წლის ვიყავი, როცა რუსეთს ბედის საძიებლად მივაშურე. რა არ გამოვცადე, გოლგოთურ დატვირთვას გავუძელი, წიგნთან ღამეებიც ვათიე და უზარმაზარ რუსეთში, თითქმის უპატრონო კაცმა, საკუთარი გონებრივი და ეკონომიკური მიკროსამყარო შევქმენი, — ამბობს ბესარიონი, — მადლობა უფალს, რომ მიზანსწრაფულ, ჭირთამთმენ ქართველად შემქმნა. დღეს, ჩემი ცხოვრების კრედო ასეთია: — თუ გსურს მშიერ-მწყურვალი გამოკვებო, მიეცი მას ერთი დღის ულუფა თევზი; თუ გსურს ცხოვრება ასწავლო, მიეცი მას ანკესი, რომ თევზი თვითონვე დაიჭიროს...

დინჯი, კანონმორჩილი, კეთილშობილი

ბესარიონ ხვინთელიანმა მოსკოვის პლეხანოვის სახელობის სახალხო მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტი და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემია დაამთავრა. არის ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, მუშაობს სადოქტორო დისერტაციაზე. სხვადასხვა დროს მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე სახელმწიფო, სასწავლო, საზოგადოებრივ სტრუქტურებში. არის მოსკოვში „ქართველი სტუდენტობის და ახალგაზრდობის ასოციაციის“ საპატიო პრეზიდენტი, „აფხაზეთის აღორძინებისა და განვითარების ფონდის“ აქტიური წევრი, ავტორი და ხელმძღვანელი საერთაშორისო კონკურსებში გამარჯვებული პროექტებისა, რომლებიც მიმართული იყვნენ და არიან სოციალურად ყველაზე დაუცველი ფენების დასახმარებლად. ბუნებრივია, ასეთ ფენებად, უპირველეს ყოვლისა, დევნილები და იძულებით გადაადგილებული მოქალაქეები ითვლებიან. ბესარიონ ხვინთელიანმა გამოსცა რუსეთში მცხოვრები დიასპორებისთვის საჭირო სამართლებრივი დოკუმენტების უნიკალური კრებულები — „კომპასი“ და „კომპასი-2“, სხვა სამეცნიერო და პოპულარული მონოგრაფიები და ბროშურები.

დაჯილდოებულია სამახსოვრო მედლით — „მოსკოვის 850 წლისთავი“, საქართველოს ღირსების ორდენით და ჩვენი ახალგაზრდა პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საგანგებო მადლობით რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები თანამემამულეებისთვის სოციალური და უფლებრივი დახმარების ფონდის „კრედოს“ ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისთვის, იძულებით გადაადგილებულ პირთათვის პრობლემების მოგვარებისა და მნიშვნელოვანი დახმარებისთვის, ნაყოფიერი საქველმოქმედო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის.

ვგონებ, გასაგებია ვინ არის ეს დინჯი, კანონმორჩილი და კეთილშობილი „მოსკოველი“ ქართველი, რომელიც უკვე მესამედ მოექცა ჩვენი გაზეთის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში.

კონფერენცია, იმედი ხვალის...

„საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებმა იციან, რომ ფონდმა „კრედომ“ მრავალი საქველმოქმედო აქცია განახორციელა რუსეთსა და საქართველოში. ის მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს დიპლომატიურ კორპუსთან რუსეთში და რუსეთის საელჩოსთან საქართველოში. და მაინც, ის, რისი გაკეთებაც „კრედომ“ შესძლო, ოდენ კარგი დასაწყისია იმ გლობალურ ღონისძიებებთან შედარებით, რასაც მომავალში აპირებს. ერთ-ერთი ასეთი შთამბეჭდავი კონფერენცია ამ დღეებში გაიმართა თბილისის სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ და თავისი აკადემიურობით საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. კონფერენციის თემა გახლდათ: **„ქართული დიასპორის როლი რუსეთისა და რუსული დიასპორისა საქართველოში, რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობებში“.**

კონფერენცია გახსნა და მის მუშაობას წარმართავდა აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, თსუ სოხუმის ფილიალის ლექტორი ნუგზარ ფიფია. მან მოწვეულ სტუმრებს მოკლედ გააცნო ფონდ „კრედოს“ განვლილი გზა და უახლოესი პერსპექტივა.

მთავარმა მომხსენებელმა ბესარიონ ხვინთელიანმა ისტორიული სიმართლით, კონკრეტული ფაქტების მოხმობით, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პირდაპირობით ისაუბრა ორი ერთმორწმუნე ერის — რუსების და ქართველების ურთიერთობაზე, ბოლო 14 წლის (1990-2004) განმავლობაში წარმოქმნილ უთანხმოებებზე, საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლზე ამ ურთიერთობის გაუმჯობესებაში, აფხაზეთის, ოსეთის დედასაქართველოსთან შემომტკიცების აუცილებლობაზე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესში რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის სწორი, ჯანსაღი დამოკიდებულების აუცილებლობაზე, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პრინციპულ, შეუვალ პოლიტიკაზე ქვეყნის გამთლიანების საქმეში, საერთაშორისო თანამეგობრობის უზარმაზარ წვლილზე საქართველოს დამოუკიდებლობის, დემოკრატიული ღირებულებების განვითარების, ეკონომიკის აღმავლობის პროცესში.

ყველაფერი ეს, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, უნდა გაითავისოს ქართულმა და რუსულმა დიასპორებმა და თავიანთი წონადი სიტყვა თქვან ორი მეზობელი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს ურთიერთთანამშრომლობის გაუმჯობესების საქმეში, — თქვა მომხსენებელმა.

კონფერენციაზე საკუთარი მოსაზრებები და საქმიანი წინადადებები წამოაყენეს საქართველოში რუსული არასამთავრობო ორგანიზაციის „მამულის“ თავმჯდომარემ, ჰუმანიტარულ-საქველმოქმედო კავშირის „იმედის“ პრეზიდენტმა ვალერი სვარჩუკმა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თეიმურაზ მჟავიამ, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ლონდერ ცაავამ, სანკტ-პეტერბურგში ქართველთა სათვისტომო „ივერიას“ პრეზიდენტმა ბადრი კაკაბაძემ, არასამთავრობო ორგანიზაციის „აფხაზეთის ახალგაზრდობის კავშირი — ძალა ერთობაშია“ თავკაცმა თენგიზ ნასარიძემ, ქალაქ გორის რუსული საშუალო სკოლის დირექტორმა ლიუბოვ კაპანაძემ, მარნეულის არასამთავრობო ორგანიზაციის „მარგალიტის“ ხელმძღვანელმა ნატალია ვერეშაგინამ, კავკასიის კაზაკთა ატამანმა, გენერალ-ლეიტენანტმა პეტრე ნეტკაჩოვმა, აფხაზეთის განათლების მინისტრმა ჯანო ჯანელიძემ, ქიული შარტავას სახელობის სოციალურ-კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრის წარმომადგენელმა ვლადისლავ მარგიანმა, საქართველო-რუსეთის მეგობრობის საზოგადოების წევრმა გელარი ბაქრაძემ, საქართველოში რუსული ენის მასწავლებელთა ასოციაციის თავმჯდომარემ მაია ესებუამ, თბილისის 113-ე საშუალო სკოლის დირექტორმა ქუჟუნა ხელაშვილმა (ეს ის სკოლაა, რომელიც ფონდმა „კრედომ“ აღადგინა!), საქართველოს პარლამენტის წევრმა ვახტანგ ყოლბაიამ.

კონფერენცია აკურთხა ალექსანდრე ნეველის სახელობის თბილისის ეკლესიის მოძღვარმა, არქიმანდრიტმა გიორგი ბუბლიჩენკომ.

კონფერენციამ მიიღო მიმართვა რუსული და ქართული საზოგადოებისადმი, ყველა არასამთავრობო ორგანიზაციისადმი, რომელშიც ნათქვამია: დიასპორების ზეამოცანაა, მოვამზადოთ რამდენიმე საზოგადოებრივი ღონისძიება, მათ შორის, ეგრეთ წოდებული „მრგვალი მაგიდა“ რუსეთში ქართული ნაციონალური, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში; იძულებით გადაადგილებულთა არასამთავრობო ორგანიზაციების კავშირის პრეზენტაცია; ქართული დიასპორის ფორუმი მოსკოვში და ბოლოს, ისეთი მასშტაბური ღონისძიება, როგორიცაა „საქართველოს წელიწადი რუსეთში“ (მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში, მომავალი წლის დასაწყისში).

შეგახსენებთ, რომ ამ ღონისძიებების ორგანიზატორი და დამფინანსებელი ფონდი „კრედო“ გახლავთ.

ამას გარდა, ფონდი „კრედო“ საქართველოში მალე შექმნის „რუსული ენის განვითარების ცენტრს“, დააფუძნებს ორენოვან გაზეთს „დიასპორა“, სპეციალურ რუბრიკას შემოიღებს საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე.

საქართველოში განსახორციელებელ ღონისძიებებს უშუალოდ წარუძღვება ფონდ „კრედოს“ წარმომადგენლობა თბილისში, რომლის ხელმძღვანელია ამირან კერესელიძე, — კაცი, რომელსაც უმაღლესი ტექნიკური და დიპლომატიური განათლება, აგრეთვე, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მუშაობის კარგი გამოცდილება აქვს.

გამორჩევით უნდა აღინიშნოს ფონდ „კრედოს“ ვიცე-პრეზიდენტის, გამოცდილი იურისტ-ეკონომისტის, მრავალი წიგნისა და პუბლიცისტური წერილის ავტორის, სახელმწიფო, საზოგადოებრივი და დიპლომატიური მუშაობის დიდი გამოცდილების მქონე პიროვნების თამაზ მექვაბიშვილის ღვაწლი კონფერენციის მომზადებასა და თბილისში „კრედოს“ წარმომადგენლობის დაფუძნების საქმეში.

ერთი მთავარი ინფორმაცია თემაში

ამ დღეებში საქველმოქმედო ფონდმა „კრედომ“ შეიძინა 25 ტონა პურის ფქვილი გალის და ზუგდიდის რაიონებში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული თანამოძმეებისთვის. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულებმა, საკუთარი ნება-სურვილით, ამ საჩუქრის ნაწილი ცხინვალის რეგიონის კონფლიქტურ სოფლებში მცხოვრებ ოს და ქართველ მეგობრებს გაუნაწილეს.

ამ ფაქტს კომენტარი არ სჭირდება. გუშინ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების და ფონდ „კრედოს“ თავკაცებმა ჩვენი არსობის პური ცხინვალის რეგიონში ჩაიტანეს, ხვალ კი ზუგდიდსა და გალს ეწვევიან.

ღმერთი იყოს თქვენი და სრულიად საქართველოს მფარველი!

სპარტაკ ქოჩულია.

ინფორმაცია

სამართალი

რუსთავში სამი კრიმინალური ავტორიტეტი დააკავეს

ქალაქ რუსთავში გუშინ, გამთენიისას ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად სამი კრიმინალური ავტორიტეტი დააკავეს.

შს სამინისტროს ინფორმაციით, ქვემო ქართლის სამხარეო პოლიციისა და ქალაქ რუსთავის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა გუშინ გამთენიისას საკუთარი სახლებიდან აიყვანეს ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტები — ხვიჩა კაკალაშვილი, რომლისგანაც გადაჭრილი თოფი და 3 ხელყუმბარა ამოიღეს; ბახვა კუჭაშვილი, რომლისგანაც 1 ხელყუმბარა, ნიღაბი და ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“ ამოიღეს; წარსულში 3-ჯერ ნასამართლევი ალექსი მიგრიაული, რომლისგანაც „ჰეროინი“ ამოიღეს.

გარდა ამისა, გუშინვე დააკავეს ე. წ. კრიმინალური ავტორიტეტის ძმა — კობა შუშანაშვილი, რომლისგანაც „აკაესის“ ტიპის ავტომატი, უცხოური წარმოების პისტოლეტი და ანტიკვარული თოფი ამოიღეს. დაკავებულის ოჯახის წევრების მტკიცებით, შუშანაშვილს იარაღი თავად პოლიციამ ჩაუდო.

ყველა მათგანი სამხარეო პოლიციის წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება.

ინტერ-პრესი.

ცხინვალის რეგიონის ბავშვები პროფკავშირების კურორტებზე დაისვენებენ

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის ირაკლი ტუღუშის განცხადებით, იგი მზად არის პროფკავშირების საკურორტო ობიექტებზე მიიღოს და დაასვენოს ბავშვები ცხინვალის რეგიონიდან.

დამსვენებელ ბავშვთა მომსახურებასა და გართობაზე ამ საქმეში გამოცდილი მუშაკები იზრუნებენ.

ტუღუშის თქმით, პროფკავშირები იმდენ ბავშვს უმასპინძლებს, რამდენიც საჭირო იქნება. მისივე თქმით, მსგავსი აქცია გამოწვეულია ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების მიზნით.

◎ ევროპის რეგიონთა ასამბლეა

შიდა ქართლისა და გურიის მხარეები ევროპული ინტეგრაციის გზაზე

(მეორე გვერდიდან)

რა პოტენციალი აქვთ შიდა ქართლისა და გურიის რეგიონებს? მოდით, თვალი გადავავლოთ რამდენიმე მშრალ სტატისტიკურ მონაცემს.

შიდა ქართლი:

მოსახლეობა — 353 708.

ფართობი — 383 725 ჰექტარი.

ადმინისტრაციული ცენტრი გორი, დედაქალაქიდან 80 კილომეტრში მდებარეობს.

რეგიონის ბიუჯეტი — 14 657 ათასი ლარი.

სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული სფეროებია მემარცვლეობა, მებოსტნეობა, მეხილეობა (გორი ბევრი ჩვენგანისათვის ასოციაციურად სწორედ უგემრიელეს ვაშლს უკავშირდება).

შიდა ქართლში 143 საწარმოა.

ეს რეგიონი მდიდარია ღირსშესანიშნაობებითაც — ეკლესია-მონასტრებით, ტაძრებით, ციხესიმაგრეებით...

გურია:

მოსახლეობა — 156 140. მათი უმრავლესობა ქართველია (დაახლოებით, 93 პროცენტი), თუმცა, აქ შეხვდებით რუსებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს, ოსებს, ბერძნებს, უკრაინელებს, ებრაელებს, თათრებს, ბელორუსებს და ასე შემდეგ.

ფართობი — 202 698 ჰექტარი.

ადმინისტრაციული ცენტრი ოზურგეთი, დედაქალაქიდან 325 კილომეტრში მდებარეობს.

გურიაში არის ტორფისა და ნავთობის საბადოები.

ტენიანი კლიმატი ჩაის, ციტრუსისა და ბამბუკის კულტურის განვითარებას უწყობს ხელს.

თუ თქვენ ღირსშესანიშნაობების მოყვარული ხართ, გურია არც ამ მხრივ დაგწყვეტთ გულს. აქ ადრეული თუ შუა საუკუნეების ბევრი არქიტექტურული ძეგლი, მონასტერი და ციხესიმაგრე მდებარეობს.

* * *

როგორც დასაწყისში ითქვა, აჭარის შემდეგ ევროპის რეგიონთა ასამბლეაში იმერეთი გაწევრიანდა. რა სასიკეთო ნაბიჯები გადაიდგა ერა-სთან თანამშრომლობით? იმერეთის მხარის რწმუნებულის მოადგილე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული საქართველოს რეგიონების საგარეო ურთიერთობათა საკონსულტაციო საბჭოს წევრი გიორგი თევდორაძე ქუთაისისა და სხვა ქალაქების დამეგობრებას უსვამს ხაზს (მაგალითად, ქუთაისში არსებობს ნიკეას ქუჩა). მეგობრობას ბევრი სასიკეთო ნაბიჯი სდევს თან.

იმერეთის რეგიონი იმედოვნებს, რომ ერა-ში გაწევრიანება ინვესტიციების მოზიდვაში დაეხმარება. ამით კი კვლავ აღდგება მრეწველობა, რითაც ცნობილი იყო ეს მხარე.

ერა-სთან თანამშრომლობისგან ბევრს მოელიან შიდა ქართლისა და გურიის რეგიონებიც. გარდა იმისა, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ევროპაში ინტეგრაცია, ფინანსური მხარეც იწევს წინ.

— ერა-სთან ურთიერთობა ჩვენთვის მრავალმხრივ იქნება სასიკეთო. ამ ორგანიზაციას ბევრი პროგრამა აქვს, რომელშიც აუცილებლად მივიღებთ მონაწილეობას. მთავარია, სათანადო დონის პროექტები მოვამზადოთ, — ამბობს ზვიად ხმალაძე, შიდა ქართლის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული საქართველოს რეგიონების საგარეო ურთიერთობათა საკონსულტაციო საბჭოს წევრი.

— ძალზე მნიშვნელოვანია თავად ინტეგრაციის პროცესი. ჩვენ დავუკავშირდებით და დავუმეგობრდებით ევროპის რეგიონებს. ამასთან, ერა-ს სოლიდური ფინანსური შესაძლებლობები აქვს და კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში საშუალება მოგვეცემა, განვახორციელოთ რეგიონისთვის საჭირო სასიკეთო პროგრამები, — აცხადებს გურიის მხარის რწმუნებულის მოადგილე ნოდარ გოგუა.

* * *

ევროპის რეგიონთა ასამბლეაში გაწევრიანება ყველასათვის საპატიო და სასიხარულოა. მაინც, რით არის მნიშ-

ვნელოვანი ეს ორგანიზაცია? ერა-ს რაობაში, მნიშვნელობასა და პრიორიტეტებში საქართველოს საგარეო ურთიერთობათა სამინისტროს საქართველოს რეგიონთა საგარეო ურთიერთობების კოორდინაციისა და ანალიზის სამმართველოს უფროსი, ბატონი რევაზ ლონაძე გაგვარკვევს:

— ევროპის საბჭოსთან სხვადასხვა სახის, დანიშნულების საერთაშორისო ორგანიზაციები არსებობს, მათ შორის არის რეგიონთა ასამბლეა. ერა, ძირითადად, ყურადღებას უთმობს რეგიონთა შორის ურთიერთობების ანალიზს, გამოცდილების გაზიარებას. იგი გამოიყენება როგორც საერთაშორისო ტრიბუნა რეგიონთა ცხოვრების, პრაქტიკული საქმიანობის ურთიერთისთვის გასაცნობად. ჩვენი პატარა ქვეყნის ხუთი მხარე ასეთ ორგანიზაციაში რომ არის გაერთიანებული, ჩვენი დიდი კულტურის, გმირული ისტორიის მონაპოვარია. თუმცა, ეს იმ ინტერესის დამსახურებაც არის, რაც ევროპას აქვს ჩვენს მიმართ. მორალური უფლება არ მაქვს, აქვე არ აღვნიშნო ის დიდი როლი, რომელიც იმერეთისა და კახეთის მხარეების ყოფილმა რწმუნებულებმა, თემურ შაშიაშვილმა და ბიძინა სონღულაშვილმა შეასრულეს ასამბლეაში ამ რეგიონების გასაწევრიანებლად.

ერა-ში გაერთიანების სამი კრიტერიუმი არსებობს. პირველის თანახმად, მისი სრულუფლებიანი წევრი ხდება რეგიონი, რომელსაც თავისი საკანონმდებლო ორგანო აქვს. ამ კრიტერიუმით გაერთიანდა ერა-ში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. მეორე კრიტერიუმის მიხედვით, ასამბლეაში ერთიანდებიან ის რეგიონები, რომლებიც რეგიონალიზაციის გზაზე მდგარ ქვეყანას ეკუთვნიან. ამ ნიშნით შევიდა ერა-ში იმერეთი. ხოლო კახეთი, შიდა ქართლი და გურია ევროპის რეგიონთა ასამბლეაში დამკვირვებლის სტატუსით არიან გაერთიანებული. ბატონი რეზოს თქმით, ამ კრიტერიუმებს მნიშვნელობა მხოლოდ ორგანიზაციაში მიღების გასაიოლებლად აქვს და წევრებს უფლება-მოვალეობების მიხედვით არ ანსხვავებს.

იმ ფაქტს, რომ აჭარა საქართველოს რეგიონთაგან პირველი გაწევრიანდა ერა-ში, რეზო ლონაძე აჭარის ყოფილი ლიდერის დამსახურებას არ მიაწერს. ეს განპირობებული იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს — უმაღლესი საბჭოს არსებობით. ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკიდან გამომდინარე, ასამბლეაში საქართველოს რეგიონების გაერთიანება ბატონ რეზოს ძალზე მნიშვნელოვნად მიაჩნია.

— ჩვენი საგარეო ურთიერთობების ძირითადი მიმართულება ევროპული ინტეგრაციაა. ეს ასამბლეის წევრებისადმი მხოლოდ სალმის გადაცემას არ ნიშნავს. ერა არის ის მაღალი საერთაშორისო ტრიბუნა, საიდანაც შეგვიძლია, სხვა ქვეყნებს გავაცნოთ ჩვენი კულტურა, ისტორია, ეკონომიკური პრობლემები, საექსპორტო პოტენციალი; კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი ჩვენს გეოპოლიტიკურ მდებარეობას, რაც აუცილებელია ევროპისა და აზიის დასაკავშირებლად. ამასთან, საჭიროა ევროპის რეგიონთა ცხოვრების, საქმიანობის, სტატუსის შესწავლა და შემდეგ მისი მისადაგება ქართულ რეალობასთან (სამწუხაროდ, საქართველოს რეგიონთა სტატუსი, ჯერჯეროობით, კონსტიტუციურად არ არის განსაზღვრული). ამ ყველაფრის შემდეგ თვალნათლივ გამოჩნდება ერა-სთან თანამშრომლობის პრაქტიკული შედეგი. ევროპის რეგიონთა ასამბლეა არ არის ერთი ვიწრო მიმართულების მქონე ორგანიზაცია. საკმარისია, გადავხედოთ მათი ღონისძიებების გრაფიკს, რომ მივხვდეთ, რამდენად მრავალმხრივ მუშაობას ეწევა იგი. აქ ნახავთ სხვადასხვა საკითხს: ევროპის ურბანულ ქარტიაში ცვლილებების შეტანა, ადგილობრივი და რეგიონული მმართველობის ფორმა და სტრუქტურა, კულტურისა და განათლების საკითხები, ტერიტორიული ადმინისტრაციების როლი მდინარეთა აუზების მართვაში, ადგილობრივი ხელისუფლების მოქმედება საგანგებო მდგომარეობისა და სტიქიური უბედურების დროს, აუდიტის როლი ადგილობრივ ხელისუფლებაზე ფინანსურ კონტროლში, ევროპის ბუნება და ა. შ.

როგორც ვხედავთ, ერა-ს საქმიანობის სფერო ვრცელია. რეზო ლონაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აუცილებელია ევროპის რეგიონთა გამოცდილების გაზიარება და მათთვის ჩვენი დღევანდელობის, საჭიროებების გაცნობა. პერსპექტივა თანამშრომლობაში კონკრეტულ სახეს შეიძენს.

ჯერჯეროობით კი შეგვიძლია, მაგალითად მოვიყვანოთ კახეთის მხარისა და საფრანგეთის, ბურგუნდიის მხარის იონის დეპარტამენტის მეგობრობა. რევაზ ლონაძის თქმით, კახეთის ფრანგულენოვანი სკოლები სახელმძღვანელოებითა და კომპიუტერული ტექნიკით ფრანგულმა მხარემ უზრუნველყო. თელავის უნივერსიტეტს მათ 85 ათასი დოლარის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკა გადასცეს და კაბინეტი მოუწყვეს. შემდეგ კი რეკონსტრუქციაც გაუკეთეს თელავის სახელმწიფო თეატრს...

* * *

ᲓᲐᲑᲝᲚᲝᲡ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო და გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ ულოცავენ შიდა ქართლისა და გურიის მხარეებს ევროპის რეგიონთა ასამბლეაში გაწევრიანებას. ბატონი რეზო ლონაძე მთელი არსებით უერთდება ამ მილოცვას და კმაყოფილებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი გაზეთი მუდამ სათანადო ყურადღებას უთმობს რეგიონებს. თუმცა, ჩვენ ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავთ. ჩვენ, უბრალოდ, გვიყვარს ჩვენი ქვეყანა.

რუსუდან გახარია.

საქართველოს იუსტიციის საბჭოს განცხადება

საქართველოს იუსტიციის საბჭო აცხადებს ადვოკატთა ტესტირების ჩაბარების მსურველთა საბუთების მიღებას.

მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

— განცხადება ადვოკატთა ტესტირების ერთ-ერთ სახეზე დაშვების შესახებ (განცხადება შეივსება ადგილზე);

— უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი საბუთი (დიპლომი, მისი დანართი და მათი ქსეროასლები);

— ავტობიოგრაფია;

— საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და მისი ქსეროასლი;

— ორი ფერადი ფოტოსურათი ზომით 3X4.

საბუთები მიიღება 2004 წლის 17 ივლისიდან 17 აგვისტოს ჩათვლით ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 11-დან 17 საათამდე, შესვენება 14-დან 15 საათამდე, შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის გამზ. № 80, საქართველოს იუსტიციის საბჭოს ადვოკატთა ტესტირების მომზადებისა და ჩატარების სამდივნო, მეორე სართული, ოთახი № 14.

საატესტაციო ფურცლების გაცემა იწარმოებს 13 სექტემბრიდან 17 სექტემბრის ჩათვლით.

ადვოკატთა ტესტების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, იუსტიციის საბჭო განათავსებს მათ საქართველოს იუსტიციის საბჭოს ვებ-გვერდზე: www.coj.gov.ge, რაც დაეხმარება ადვოკატებს გამოცდებისათვის მომზადებაში. კერძოდ, გამოქვეყნდება არა მხოლოდ ტესტები, არამედ, ამ ტესტებზე სწორი პასუხებიც და იმ ტესტების სია, რომელიც მიჩნეულ იქნა არაკორექტულად.

ეს ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომი იქნება: საქართველოს პარლამენტისა www.parliament.ge/LEGAL_ACTS/legi.html და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის www.gyla.ge ვებ-საიტების მეშვეობითაც.

გარდა ამისა, ადვოკატთა ტესტირების ჩაბარების მსურველებს, რომლებმაც განცხადება შემოიტანეს საქართველოს იუსტიციის საბჭოში, უფასოდ გადაეცემათ ადვოკატთა ტესტები თანდართული სწორი პასუხებით.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 95-20-52.

ინფორმაცია

2004 წლის 2 აგვისტოს 12 საათზე ფოთის საქალაქო სასამართლოში (აღმაშენებლის ქ. № 3, დარბაზი № 2) დანიშნულია კრედიტორთა კრება სს „ფოთითევზის“ გაკოტრების საქმესთან დაკავშირებით.

კრედიტორებს გთხოვთ, გამოცხადდეთ.

ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე
ალექსანდრე გოგუაძე.

განცხადება

2004 წლის 19 ივლისს 11 საათზე დანიშნულია სს „აისბერგის“ კრედიტორთა კრება ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს შენობაში (მისამართი: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. № 1).

კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე
პ. ნოზაძე.

ერაყში ბულგარელი მძევალი მოკლეს

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ მთავრობამ დაადასტურა, რომ ერაყელი მოთარეშეების მიერ ტყვედ აყვანილი ორი ბულგარელი მძევლიდან ერთი მოკლეს სამშაბათს.

რამდენიმე საათით ადრე კი დაჯგუფებამ, რომელსაც მეთაურობს ცნობილი ექსტრემისტი აბუ მუსამ ზარქავი, აცნობა „ალ-ჯაზირას“ ტელეარხს, რომ მოკლა ერთ-ერთი ბულგარელი. მეორე მძევალსაც 24 საათის გასვლის შემდეგ ასეთივე ბედი ელის, — დასძინა ზარქავიმ.

ზარქავის დაჯგუფება, რომელმაც დაატყვევა ბულგარელი მძევლები, მოითხოვდა, რომ 10 ივლისისათვის ერაყის საპყრობილეებიდან გაეთავისუფლებინათ ყველა პატიმარი.

სატვირთო მანქანის მძღოლები ივაილო კეპოვი და გიორგი ლაზოვი, რომელიც ბულგარეთიდან ერაყის ქალაქ მოსულისაკენ მიემართებოდნენ, თავიანთ ნათესავებს უკანასკნელად 29 ივნისს დაუკავშირდნენ.

ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გერჯანა გრანჩაროვამ ჯერ კიდევ სამშაბათს დილით გამოთქვა რწმენა, რომ ორივე მძევალი ცოცხალი იყო.

ბულგარეთმა ერაყში გაგზავნა 480 კაცისგან შემდგარი ქვეითი ჯარის ბატალიონი, რომელიც მსახურობს ცენტრალურ ერაყში, კოალიციის ძალების შემადგენლობაში.

ზარქავის დაჯგუფებამ მანამდე უკვე იკისრა პასუხისმგებლობა ამერიკელი მძევლის ნიკ ბერგისა და სამხრეთკორეელ კიმ სონ ირის მკვლელობისათვის. ამ დაჯგუფების წევრებს ბრალად ედებათ, აგრეთვე, თავდასხმების ორგანიზება ერაყის პოლიციისა და უშიშროების ძალებზე მიმდინარე წლის ივნისის დამლევისათვის. მაშინ ექსტრემისტების მიერ განხორციელებული თავდასხმების შედეგად 100-ზე მეტი კაცი დაიღუპა.

„ალ-ჯაზირა“, აგრეთვე, იტყობინება, რომ რადიკალურმა ისლამისტურმა დაჯგუფებამ მძევლად აიყვანა ეგვიპტის მოქალაქე მოჰამედ ჰარაბავი და იმუქრება, რომ 72 საათის გასვლის შემდეგ მოკლავს მას, თუ საუდის არაბეთის კომპანია, რომელშიც მუშაობდა მძევლად აყვანილი პირი, არ შეწყვეტს საქმიანობას ერაყში.

ისევე როგორც ბულგარელი მძევლები, მოჰამედ ჰარაბავიც სატვირთო ავტომანქანის მძღოლი იყო.

ამერიკის არმია ავღანეთში არჩევნებს ამზადებს

ᲐᲕᲦᲐᲜᲔᲗᲨᲘ ამერიკელთა ჯარების წინაშე დასახულია ახალი საბრძოლო ამოცანა — მათ უნდა შექმნან პირობები ქვეყნის პრეზიდენტის არჩევნების გამართვისათვის, რომელიც 9 ოქტომბერს არის დანიშნული. ეს „ასოშიეიტედ-პრესის“ სააგენტოს განუცხადა ამერიკელმა გენერალმა დევიდ ბარნომ.

როგორც მან აღნიშნა, არჩევნების გამართვისათვის მზადება არ შეუშლის ხელს ამერიკელთა ჯარებს მთავარი ამოცანის შესრულებაში — უსამა ბენ-ლადენის, თალიბების სულიერი ლიდერის მოლა მოჰამედ ომარისა და იმ სხვა პირთა პოვნაში, რომლებსაც ამერიკელები 2001 წლის შემდეგ ეძებენ ავღანეთის მთებში.

ავღანეთის პრეზიდენტის არჩევნები რამდენჯერმე გადაიდო. ქვეყანაში არ ჰქონდათ ამომრჩეველთა სიები, მათ შედგენასა და მოქალაქეთა რეგისტრაციას კი ხელს უშლიდნენ მოთარეშეები, რომლებიც აქტიურად მოქმედებენ ქვეყნის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილებში.

გასულ პარასკევს საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელმა ზაქიმ შაჰმა (კომისიის შემადგენლობაში შედიან როგორც ავღანელები, ისე გაეროს წარმომადგენლები) გამოაცხადა პრეზიდენტის არჩევნების გამართვის საბოლოო ვადა — 9 ოქტომბერი.

ამ პოსტზე რამდენიმე კანდიდატია, თუმცა, ფავორიტად მიიჩნევენ ქვეყნის ამჟამინდელ დროებით პრეზიდენტს ჰამიდ ყარზაის. თუ პირველ ტურში იგი ვერ შეძლებს ამომრჩეველთა ხმების 50 პროცენტის მოგროვებას, მაშინ, ორი კვირის შემდეგ გაიმართება მეორე ტური.

ზაქიმ შაჰმა, აგრეთვე, აღნიშნა, რომ პარლამენტის არჩევნები, სავარაუდოდ, გაიმართება მომავალი წლის აპრილში ან მაისში და მოუწოდა ავღანეთის ხელისუფლებას, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სხვა ქვეყნებს „შექმნან უფრო უსაფრთხო ატმოსფერო კანდიდატებისა და ამომრჩევლებისათვის“.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივანი რიჩარდ ბაუჩერი მიესალმა საარჩევნო კომისიის მეთაურის მიერ გაკეთებულ ასეთ განცხადებას და დასძინა, რომ შეერთებული შტატები გამოყოფს სახსრებს არჩევნების გამართვისათვის, მოამზადებს შესაბამის პერსონალს და იზრუნებს კენჭისყრის პროცესის უშიშროების უზრუნველსაყოფად. ამ ბოლო ამოცანის შესრულება დაეკისრა გენერალ დევიდ ბარნოს.

ისრაელმა ღაზის სექტორში ფაბრიკა გაანადგურა

ებრაელმა სამხედროებმა რამდენიმე რაკეტით გაანადგურეს სახელოსნო ღაზის სექტორში, რომელშიც, როგორც ისრაელის ხელისუფლება აცხადებს, ამზადებდნენ იარაღს პალესტინელთა რადიკალური ჯგუფებისათვის.

თავდასხმა მოხდა ადგილობრივი დროით დილის 12 საათის შემდეგ, როცა ღაზის სექტორის თავზე გამოჩნდა რამდენიმე ვერტმფრენი და ერთი სათვალთვალო უპილოტო თვითმფრინავი.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მათ ორი რაკეტა გაისროლეს ღაზასიტის აღმოსავლეთ ნაწილში განლაგებული შენობის მიმართულებით. სახლი მთლიანად დაინგრა, ინფორმაცია მსხვერპლის შესახებ ჯერჯეროობით არ გავრცელებულა.

„ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებმა იერიში მიიტანეს იარაღის ფაბრიკაზე, რომელშიც „ჰამასის“ და სხვა ტერორისტული ორგანიზაციის წევრები ამზადებდნენ სხვადასხვაგვარ იარაღს, კერძოდ, „ქასამის“ ტიპის რაკეტებს“, — განაცხადა ისრაელის არმიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

ამ ბოლო ხანებში ისრაელის ჯარებმა არაერთხელ გაანადგურეს სხვადასხვა ობიექტი ღაზის სექტორის ტერიტორიაზე, რომლებსაც, მათი მტკიცებით, ექსტრემისტები იყენებდნენ ისრაელის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლისთვის.

„ჰამასის“ ორგანიზაციის ტერორისტები „ქასამის“ ტიპის რაკეტებს უშენენ ებრაელთა დასახლებებსა და ჯარებს, რომლებიც აკონტროლებენ ოკუპირებულ ტერიტორიებს.

რამდენიმე კვირის წინათ ასეთი რაკეტის აფეთქების შედეგად, ღაზის სექტორის მახლობლად განლაგებულ ერთ-ერთ ქალაქში დაიღუპა ორი კაცი.

მოკლედ

„ჰამასის“ მოძრაობის ტერორისტებმა ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკაში დააბანდეს 25 მილიონი დოლარის ინვესტიციები. შეერთებული შტატების ოფიციალურ წარმომადგენელთა მიერ გაკეთებული განცხადებების თანახმად, საინვესტიციო

სახსრებს „ჰამასი“ იღებდა საუდის არაბეთიდან და სპარსეთის ყურის სხვა ქვეყნებიდან პალესტინელთა ტერორისტული ოპერაციების დაფინანსების კამპანიის ფარგლებში.

* * *

„M-16“ ტიპის შაშხანით შეიარაღებულმა მამაკაცმა ისრაელის ერთ-ერთ ქარხანაში მძევლად აიყვანა შვიდი ადამიანი. თავდამსხმელთან მოლაპარაკებისათვის გამოიძახეს მისი მეუღლე და ვაჟი, თუმცა, მან



ცოლ-შვილს ცეცხლი გაუხსნა. საბედნიეროდ, ერთ-ერთმა მძევალმა შეძლო დამნაშავის განიარაღება.

* * *

ᲘᲠᲐᲜᲨᲘ ავტობუსი შეეჯახა ტრაილერს: 24 კაცი დაიღუპა და 13 — დაშავდა. ამ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში ეს უკვე მეორე დიდი ავტოკატასტროფაა ირანში. 25 ივნისს სამგზავრო ავტობუსი შეეჯახა ბენზინმზიდს. შეჯახებას მოჰყვა აფეთქება, რომლის შედეგადაც დაიღუპა 73 და დაშავდა 103 ადამიანი.

ამერიკელების აზრი ბუშზე და კერიზე

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚ ამომრჩევლებს მიაჩნიათ, რომ რესპუბლიკელი ჯორჯ ბუში უფრო გაბედული პოლიტიკოსია, დემოკრატი ჯონ კერი კი — უფრო ჭკვიანი. ეს ცხადყო „ასოშიეიტედ-პრესის“ სააგენტოს შეკვეთით განხორციელებული საზოგადოებრივი აზრის აღრიცხვის შედეგებმა.

გამოკვლევის მონაწილეებს სთხოვეს, დაეხასიათებინათ საპრეზიდენტო რბოლის ძირითადი მეტოქეები შვიდი განსაზღვრების მიხედვით — სიმპათიური, ჭკვიანი, გაბედული, თანაგრძნობის უნარის მქონე, პატიოსანი, თვითდაჯერებული და მდიდარი.

გამოკითხულთა ორმა მესამედმა განაცხადა, რომ ბუში, უწინარეს ყოვლისა, გამოირჩევა ისეთი თვისებით, როგორიც არის გაბედულება. ამ მაჩვენებლის მიხედვით მან თავისი დემოკრატი-მეტოქე 22 საპროცენტო ერთეულით ჩამოიტოვა. ამავე დროს, რესპონდენტთა 83 პროცენტმა აღნიშნა, რომ კერი უფრო ჭკვიანია.

კითხვას, თუ ამ ორი კანდიდატიდან, რომელი უნერგავს რესპონდენტებს მეტ ოპტიმიზმს ამერიკის მომავალთან დაკავშირებით, 50 პროცენტმა უპასუხა, რომ, მათი აზრით, ეს ბუშია, 44 პროცენტმა კი კერის მიანიჭა უპირატესობა.

როგორც ანალიტიკოსები აღნიშნავენ, ის ფაქტი, რომ ბუშს ამერიკელები უფრო გაბედულ პოლიტიკოსად მიიჩნევენ, შესაძლოა, დაეხმაროს მას ნოემბრის არჩევნების დროს გამარჯვების მოპოვებაში.

მძლავრი აფეთქება ბაღდადის ცენტრში

ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘ აფეთქება მოხდა ბაღდადის ცენტრში — სამთავრობო ზონის მახლობლად, სადაც განლაგებულია ერაყის გარდამავალი მთავრობის, აგრეთვე, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის საელჩოთა შენობები. აფეთქების შედეგად სულ ცოტა ოთხი კაცი დაიღუპა.

გავრცელდა მეორე ინფორმაციაც, რომლის თანახმადაც, დაღუპულია ცხრა კაცი.

აფეთქება მოხდა ზონის ტერიტორიაზე, გამშვები პუნქტის მახლობლად, სადაც ადამიანების რიგი იდგა. აფეთქების ტალღამ ჰაერში აისროლა მახლობლად გაჩერებული ავტომობილი.

ამ ინციდენტიდან სულ რამდენიმე წუთის შემდეგ შემთხვევის ადგილზე ატყდა სროლა.

სამთავრობო ზონაში შესვლისათვის გამშვებ პუნქტთან რიგში იდგნენ ძირითადად, ოფისების მუშაკები, დამლაგებელები და ჟურნალისტები.

სიტუაციას სასწრაფოდ დაუწესეს კონტროლი ამერიკელმა სამხედროებმა — ტანკებმა ჩახერგეს მახლობლად მდებარე ქუჩები, ვერტმფრენები ჰაერიდან პატრულობენ ქალაქს, სასწრაფო დახმარების მანქანებმა კი დაჭრილები მიიყვანეს საავადმყოფოებში.

ჯერჯეროობით არ არის ცნობილი, თუ რა მიზანი ამოძრავებდათ აფეთქების ორგანიზატორებს — მათ სურდათ რომელიმე პოლიტიკოსის მოკვლა, თუ აქცია გამიზნული იყო ყველა იმ პირის წინააღმდეგ, რომელიც ერაყის ახალ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობენ.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის მაისში, სამთავრობო ზონის შესასვლელთან ავტომობილის აფეთქების შედეგად დაიღუპა ერაყის დროებითი მმართველი საბჭოს მეთაური იზ-ედ-დინ სალიმი.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა
ზაზა ბეჟანიძე.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მერიის ადგილობრივი მმართველობის დაბა წყნეთის გამგეობა ატარებს ღია ტენდერს დაბა წყნეთის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების სამუშაოებისა და საოჯახო-საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანისათვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის მოკლე დახასიათება:

დასაგველი ფართი II კატეგორიის 98,4 ათ. კვ.მ.

ხევები და ფერდობები — 30,0 ათ. კვ.მ.

ფერდობებისა და ხევების მონახვეტის გატანა — 25 კბ.მ.

ნაგავშემკრები კონტეინერების რაოდენობა — 30 ცალი.

ზიდვის საშუალო მანძილი უახლოეს ნაგავსაყრელამდე 22,0 კმ.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2005 წლის 1 იანვრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2004 წლის 30 ივლისის 12 საათიდან 2 აგვისტოს 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, წყნეთი, რუსთაველის ქუჩა №3, დაბა წყნეთის გამგეობა.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობებს სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობას ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4. 2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ინფორმაციას უკანასკნელი 5 (ხუთი) განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მომსახურების განხორციელების შესახებ;

ბ) ინფორმაციას მომსახურების გაწევისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმებისა და სატრანსპორტო საშუალებების შესახებ;

დ) ინფორმაციას ტენდერში მონაწილის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2004 წლის 3 აგვისტოს 12 საათიდან 4 აგვისტოს 17 საათამდე მისამართზე: ქ. თბილისი, წყნეთი, რუსთაველის ქუჩა №3, დაბა წყნეთის გამგეობა. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისგან: გ. ოძელაშვილი — გამგებლის მოადგილე, საკონტაქტო ტელეფონი 29-89-05 და ლ. ასიტაშვილი — კეთილმოწყობის განყოფილების უფროსი, საკონტაქტო ტელეფონი 29-89-04, მისამართზე ქ. თბილისი, წყნეთი, რუსთაველის ქუჩა №3, დაბა წყნეთის გამგეობა.

ᲡᲐᲢᲔᲜᲓᲔᲠᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐ.

◉ ფინანსური პოლიცია

დაშრობილი ენგურის კონტრაბანდული ფონები

ფინანსური პოლიციის დანიშნულება, ზოგადად, ფინანსურ-ეკონომიკურ სფეროში სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლა ასევე მათი პრევენცია გახლავთ. ამ საქმეს, ცხადია, მისი რეგიონალური ქვედანაყოფებიც უძღვებიან, რომელთაგან თითოეულის მუშაობაში გარკვეული სპეციფიკური მომენტები და პრობლემები არსებობს. ამ მხრივ ერთ-ერთი გამორჩეული მხარეა სამეგრელო-ზემო სვანეთი. სწორედ აქ გადის საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციის გავრცელების უხილავი, მაგრამ სავსებით რეალური საზღვარი, რომელიც, ჯერჯერობით, აფხაზეთს დედასამშობლოსგან ჰყოფს. ამის გამო ამ კუთხეში როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ასევე სამართალდამცავი ორგანოების ყველა პრობლემა უმეტესწილად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვარს უკავშირდება.

საუბარი ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის მე-7 განყოფილების უფროსთან კახა კაკაბაძესთან, რომელიც სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონს ემსახურება, სწორედ ამ თემით დაიწყო.

– ფინანსური პოლიცია რეგიონში მუშაობას წლეულს, აპრილის დამდეგს შეუდგა და ამ ხნის მანძილზე მეტად შრომატევადი და ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი საქმეებიც გააკეთა, – განაცხადა საუბრისას კახა კაკაბაძემ. – ჯერ კიდევ ახლო წარსულში აფხაზეთიდან სამეგრელოში დიდძალი აღურიცხავი ნავთობპროდუქტი და უაქციზო თამბაქოს ნაწარმი შემოჰქონდათ. სამი თვის მუშაობის შედეგად, ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა დაახლოებით 250 ტონა ბენზინის უკანონო გადაზიდვა აღკვეთეს, მათ შორის 110 ტონა საწვავი ჩამოართვეს იმ ფიზიკურ პირებს, რომლებსაც მისი აფხაზეთიდან შემოტანის ფაქტზე წაასწრეს.

აქ, ჩვენი აზრით, საჭიროა ერთი განმარტება: – მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ბენზინი საქართველოში, ფაქტობრივად, კონტრაბანდის გზით იყო შემოტანილი, კანონით მისი ასეთად მიჩნევა არ შეიძლება. აფხაზეთი, რამდენიც უნდა გაიჭაჭოს არძინბას სეპარატისტული რეჟიმი, იყო, არის და კვლავაც დარჩება საქართველოს განუყოფელი ნაწილი, ხოლო ქვეყნის შიგნით უსაბუთო ტვირთის გადაზიდვა გადის არა კონტრაბანდის, არამედ „აღურიცხავი საქონლის ტრანსპორტირების" კატეგორიით.

ფინანსური პოლიციის რეგიონალური სამსახურის უფროსის თქმით, სამართალდამცველებს დამატებით პრობლემას უქმნის ამ თვალსაზრისით არასრულყოფილი კანონმდებლობაც, რის თაობაზე ჩვენც არაერთგზის გვქონია საუბარი. შესაბამისი კანონმდებლობის დახვეწის აუცილებლობაზე ის გარემოებაც მეტყველებს, რომ საწვავი, რომელიც აფხაზეთიდან სამეგრელოში ხმელეთით თუ ზღვით შემოაქვთ, საქართველოს ტერიტორიაზე უკვე მისი საბაჟო სამსახურის გვერდის ავლით შემოდინება. ამდენად, მის კონტრაბანდულ წარმომავლობას არანაირი სხვა მტკიცებულება არ სჭირდება.

– მინდა გითხრათ, რომ სადღეისოდ აფხაზეთიდან სამეგრელოში ბენზინის კონტრაბანდული გზით შემოტანა, ფაქტობრივად, შეწყვეტილია, – აგრძელებს საუბარს კახა კაკაბაძე. – ასეთი მნიშვნელოვანი შედეგი იმის წყალობითაა მიღწეული, რომ კანონდამრღვევებს საწვავთან ერთად ავტომანქანებიც ჩამოვართვით. ასეთი ნაბიჯის გადადგმა თავად კანონდამრღვევებმა გვაიძულებს, ვინაიდან, სხვა ხერხებით მათი შეჩერება პრაქტიკულად შეუძლებელია: აფხაზეთიდან ავტომანქანები შემოდის სახელმწიფო ნომრების, ტექნიკური დათვალიერების გავლის ბარათის, ხშირად საერთოდ ყოველგვარი საბუთის გარეშე. შედეგად კი სამეგრელოში კანონმდებლობის სრული დაცვით შემოტანილი საწვავის მოცულობა ბოლო ხანებში დაახლოებით 3-5-ჯერ გაიზარდა.

> **ფაქტი თემაში**
>
> **ფინანსური პოლიციის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველოს თანამშრომლებმა ზუგდიდის რაიონის სოფელ ტყაიას ორი მკვიდრის, ქარაიასა და ჩიქოვანის ოჯახებიდან სამი „კამაზის" ტიპის ავტომანქანით 1100 ყუთი უაქციზო სიგარეტი წამოიღეს. ამ საქმეში ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინა ადგილობრივმა საოლქო პროკურატურამ, ვინაიდან ამ ოპერაციის ჩატარება დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. საქმე ის არის, რომ, წინასწარი გამოანგარიშებით, რუსეთიდან შემოტანილი ექვსი დასახელების 150 ათასი კოლოფი სიგარეტის „ნოვოსტის", „მმ"-ის, „ბუტონის" და ა. შ. საბაზრო ღირებულება დაახლოებით 400 ათას ლარს შეადგენდა. ეს მეტად მნიშვნელოვანი დარტყმა იყო კონტრაბანდისტებისთვის.**

– კონტრაბანდის გზით პროდუქციის შემოტანასთან ბრძოლა მარტო ტვირთის უკანონოდ შემომტანების დასჯა ხომ არ არის – საბოლოო ანგარიშით, საქონელი ხომ უნდა გაიყიდოს. რა ზომებს ატარებთ კონტრაბანდის გამყიდველთა მიმართ?

– კონტრაბანდული საწვავით მოვაჭრე ავტოგასამართი სადგურების მეპატრონეები კანონდარღვევის ფაქტების დასამალად ასეთ ხერხს მიმართავენ: ოფიციალური საბუთებით პროდუქციის ნაშთს იტოვებენ, რომელსაც რეალურად უკანონო შემოტანილით ავსებენ. ამიტომ შვიდ ავტოგასამართ სადგურში ინვენტარიზაცია ჩავატარეთ, რის შედეგად 160 ტონა ბენზინი და 111 ტონა დიზელის საწვავის დანაკლისი გამოვავლინეთ. არადა, მეპატრონეებს ეს საწვავი გაყიდულად ჰქონდათ ნაჩვენები და სათანადო გადასახადებიც გადახდილი. ამდენად, ჩვენ კონტრაბანდული საქონლის კანონიერად გადაქცევის ეს გზაც გადავკეტეთ.

გარდა ამისა, ყურადღება მინდა გავამახვილო ერთ გარემოებაზე: აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან ადმინისტრაციული საზღვრის სიგრძე 82 კილომეტრია. როცა მდინარე ენგურში წყლის დონე დაბალია, საზღვრის 60 პროცენტზე მეტის გადაკვეთა, სადაც კი მანქანა მიუდგება, თავისუფლად შეიძლება. უფრო მეტიც: კონტრაბანდისტები ენგურჰესის თანამშრომლებს ურიგდებიან, ისინი წყალს კეტავენ, დაახლოებით ორ საათში მდინარეში მისი დონე იმდენად იკლებს, რომ ავტომანქანა თავისუფლად გადმოდის, შემდეგ კი შლუზებს ისევ აღებენ.

ასეთ პირობებში ფინანსური პოლიციის მცირერიცხოვანი შემადგენლობით აფხაზეთის საზღვრის სრულფასოვნად გაკონტროლება შეუძლებელია, ამიტომაც შინაგანი ჯარის ხელმძღვანელობას დახმარების თხოვნით მივმართეთ, რომელმაც ექვსი შეიარაღებული ჯარისკაცი გამოგვიყო. ეს მაისის მიწურულს მოხდა, მას შემდეგ, ფაქტობრივად, ერთ თვეში 60 ტონა კონტრაბანდული ბენზინი და 150 ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტი ამოვიღეთ. ერთი პარტია უკანონო სიგარეტის ტრანსპორტირებისას პოლიციელიც დავაკავეთ, რომელიც კანონდამრღვევებს მფარველობდა.

საქმე ის არის, რომ გალის რაიონი გატენილია ფალსიფიცირებული და კონტრაბანდული სიგარეტით, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოტანა უნდათ. ჰოდა, ყველა ის გაჭირვებული პირი, ვინც ყოველდღიურად გალის რაიონიდან ზუგდიდის რაიონში გადმოდის, ერთ-ორ ბლოკ სიგარეტს მაინც აყოლებს ხელს და ამის შეწყვეტა, ფაქტობრივად, შეუძლებელია, თუმც შედეგი აშკარად საგრძნობია.

– საგადასახადო ინსპექცია თუ გეხმარებათ სიგარეტით ვაჭრობის მონიტორინგის განხორციელებაში?

– დიახ, ეს მათი ყოველდღიური მუშაობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, თუმცა, ვითარებას მნიშვნელოვნად ართულებს საკასო აპარატების უქონლობა, რაც, უწინარესად, ხელს უშლის აღრიცხვიანობის მოწესრიგებას. თან ისიც გაითვალისწინეთ, რომ ფინანსური პოლიცია ხუთ და ათ კოლოფ სიგარეტს დევნას ვერ დაუწყებს. საამისოდ მას, უბრალოდ, არ სცალია. იმედი მაქვს, რომ უახლოეს პერიოდში ერთობლივი ღონისძიებები გატარდება, რომლებიც ვითარებას მნიშვნელოვნად გამოასწორებს.

– არსებობის სამი თვის მანძილზე რა შედეგს მიაღწიეთ საბოლოო ანგარიშით?

– ამ ხნის განმავლობაში, სოფელ ტყაიაში დაკავებული სიგარეტის ჩათვლით, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ფინანსურმა პოლიციამ, მთლიანად, დაახლოებით 260 ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტი ამოიღო. სამ თვეში გამოვლენილია 120-ზე მეტი სამართალდარღვევა, მათ შორის, 19 მათგანზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

– სისხლის სამართლის ეს საქმეები რა მუხლებითაა აღძრული, ანუ სამართალდარღვევათა რა სახეობის დანაშაულთან გვაქვს საქმე?

– ექვსი საქმე აღიძრა გადასახადებისაგან თავის არიდების, სამი საქმე – სხვისი ქონების მითვისების, ულიცენზიო ნავთობსადენის ფუნქციონირების, ზოგიერთ სხვა ფაქტთან დაკავშირებით. გარდა ამისა, გამოვლენილია არაერთი პირი, რომელიც სამეწარმეო საქმიანობას ყოველგვარი ლიცენზიის გარეშე ეწეოდა. ამავე დროს, ფინანსურმა პოლიციამ მეწარმეებს ბიუჯეტის სასარგებლოდ 148 ათას ლარზე მეტი დაარიცხა, მათ შორის, უკვე ამოღებულია დაახლოებით 28 ათასი. ადმინისტრაციული წესით წარიმართა 78 საქმე, რომელთაგან უმეტესი ნაწილი უაქციზო სიგარეტის უკანონო ბრუნვის ფაქტებს ეხება. გარდა ამისა, მრავალი კანონდარღვევა უკავშირდება სათანადო დოკუმენტაციის, კერძოდ, ზედნადებისა და ანგარიშ-ფაქტურის გარეშე ტვირთის გადაზიდვის ფაქტებს.

– სამეგრელო-ზემო სვანეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩვენი ქვეყნის ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული ორი ულამაზესი კუთხე შედის. კანონდარღვევათა ფონი თუ არის აქ განსხვავებული?

– ცხადია, განსხვავებულია. ის, რის თაობაზეც მოგახსენეთ, უმთავრესად, სამეგრელოს ეხება, რაც შეეხება სვანეთს, კერძოდ, მესტიის რაიონს, აქ, ძირითადად, ხეტყის უკანონო დამზადებასა და ტრანსპორტირებასთან გვაქვს საქმე. მაგალითად, რამდენიმე დღის წინათ დავაკავეთ დახერხილი ხის მასალით დატვირთული ხუთი „კამაზის" მარკის ავტომანქანა, რომლებითაც, ხეტყის ჭრაზე ქვეყნის პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული მორატორიუმის მიუხედავად, უკანონოდ მოპოვებული ტვირთის გატანას ცდილობდნენ. ეს ავტომანქანები სადღეისოდ ტერმინალში დგანან და ვიდრე ტვირთის მეპატრონეები ჯარიმას არ გადაიხდიან, ისინი იქ დარჩებიან.

ყოველივე ამის განხორციელება შესაძლებელი გახდა კიდევ იმიტომ, რომ გვერდით დაგვიდგნენ სამხარეო პოლიციის (უფროსი მერაბ ბაღათურია) თანამშრომლები. ჩვენ მომავალშიც ერთად, კოორდინირებულად ვიმოქმედებთ.

> **ფაქტი თემაში**
>
> **სამეგრელო-ზემო სვანეთის ფინანსური პოლიციის რეგიონალური სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს აფხაზეთში წარმოებული „მედიუმის" მარკის კონტრაბანდული გზით შემოტანილი სიგარეტის დიდი პარტია, რომელსაც პოლიციელი აცილებდა. იგი დააკავეს, ხოლო ავტომანქანა კონტრაბანდისტებს ჩამოართვეს. აღსანიშნავია, რომ კონტრაბანდული ტვირთის დაკავებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ადგილობრივი უშიშროების სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც ფინანსური პოლიციის მუშაკებს 150 ყუთი უაქციზო სიგარეტის დაკავებაშიც დაეხმარნენ.**

სადღეისოდ კი, ვითარება შეიცვალა, ახლა ბენზინი უკვე აფხაზეთიდან კონტრაბანდული გზით კი არა, არამედ თბილისიდან, ოფიციალურად განბაჟებული შემოაქვთ. სხვა საქმეა, როგორც გითხარით, მისი გაყიდვის აღრიცხვიანობის მოწესრიგება, თუმცა, აქ მნიშვნელოვანი როლი საოლქო საგადასახადო ინსპექციამ უნდა შეასრულოს. ამასთან დაკავშირებით დიდი გეგმებიც გვაქვს.

ესაუბრა
ოთარ ტურაბელიძე.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის განათლების საქალაქო სამსახური, ქ. თბილისის ბიუჯეტის სახსრებითა და სპეცსახსრებით, აცხადებს ღია ტენდერს სკოლამდელი და ინტერნატიული ტიპის დაწესებულებებისათვის კვების პროდუქტების მიწოდების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესასყიდია შემდეგი სახის კვების პროდუქტები: ხილი, კარაქი, რძის ფხვნილი, შაქარი, ხორცი, ბურღულეული, ბოსტნეული, მარილი, კვერცხი, პური და სხვა, რომელთა სავარაუდო რაოდენობა და მიწოდების პერიოდულობა თითოეული დაწესებულებისათვის განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციის პაკეტით, ხოლო კონკრეტული რაოდენობა – ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, შემსყიდველის მიერ დაზუსტდება მიმწოდებელზე ყოველთვიურად გადაცემული ტექნიკური დავალებების საფუძველზე.

აღნიშნული სახელმწიფო შესყიდვა კვების პროდუქტების მიწოდებაზე დაყოფილია შესყიდვის 11 ობიექტად (პოზიციად):

1. ისნის ტერიტორიაზე (ისანი-სამგორის რაიონი) არსებული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის – 24 ბ/ბაღი 3315 ბავშვზე;

2. სამგორის ტერიტორიაზე (ისანი-სამგორის რაიონი) არსებული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის – 24 ბ/ბაღი 4818 ბავშვზე;

3. ნაძალადევის ტერიტორიაზე (გლდანი-ნაძალადევის რაიონი) არსებული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის – 24 ბ/ბაღი 3556 ბავშვზე;

4. გლდანის ტერიტორიაზე (გლდანი-ნაძალადევის რაიონი) არსებული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის – 28 ბ/ბაღი 3906 ბავშვზე;

5. დიდუბის ტერიტორიაზე (დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი) არსებული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის – 17 ბ/ბაღი 1907 ბავშვზე;

6. ჩუღურეთის ტერიტორიაზე (დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი) არსებული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის – 16 ბ/ბაღი 1418 ბავშვზე;

7. მთაწმინდის ტერიტორიაზე (მთაწმინდა-კრწანისის რაიონი) არსებული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის – 11 ბ/ბაღი 1432 ბავშვზე;

8. კრწანისის ტერიტორიაზე (მთაწმინდა-კრწანისის რაიონი) არსებული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის – 10 ბ/ბაღი 1593 ბავშვზე;

9. ვაკის ტერიტორიაზე (ვაკე-საბურთალოს რაიონი) არსებული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის – 14 ბ/ბაღი 1987 ბავშვზე;

10. საბურთალოს ტერიტორიაზე (ვაკე-საბურთალოს რაიონი) არსებული სკოლამდელი დაწესებულებებისათვის – 17 ბ/ბაღი 1823 ბავშვზე;

11. წყნეთის ბავშვთა სახლის, პედაგოგიური გაერთიანების, 9 წლ. სკოლა-ინტერნატის, „მომავლის სახლის", მიუსაფარ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის, მიუსაფარ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა რეაბილიტაციისა და სოციალური ადაპტაციის სახლის „სათნოება", მიუსაფარ ბავშვთა სახლ „ლამპიონის", წყნეთის 114 ბაგა-ბაღის, დამხმარე სკოლის, გლდანის № 205 და ლტოლვილთა ბაგა-ბაღის „ალისათვის" 1391 ბავშვზე.

თითოეული ობიექტი წარმოადგენს ცალ-ცალკე შესყიდვის საგანს და თითოეულზე გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული (ერთმა პრეტენდენტმა შეიძლება გაიმარჯვოს რამდენიმე ობიექტზე).

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2005 წლის 1 იანვრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართული ენაზე უნდა წარმოადგინონ 2004 წლის 30 ივლისის 10 საათიდან 2 აგვისტოს 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ხეთაგუროვის ქუჩა № 2, განათლების საქალაქო სამსახური.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობები სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა ქმედითუნარიანობის შესახებ;

ბ) ცნობა შსს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

ბ) ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 3 აგვისტოს 12 საათიდან 4 აგვისტოს 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ხეთაგუროვის ქუჩა № 2, განათლების საქალაქო სამსახური. პრეტენდენტების მიერ სატენდერო მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს იმდენ ობიექტზე (პოზიციაზე), რამდენზედაც მის მიერ იქნება შემოტანილი განცხადება. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ა. ზაქარიაშვილი – სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი – 95-53-57 და მ. სამსონიძე – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, საკონტაქტო ტელეფონი 95-83-31, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ხეთაგუროვის ქუჩა № 2, განათლების საქალაქო სამსახური.

სატენდერო კომისია.

განცხადება

2004 წლის 4 აგვისტოს 12 საათზე შედგება სააქციო საზოგადოება „კაპშენის" აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. აქციონერთა განცხადებების განხილვა შენატანის ნაწილის უკან დაბრუნების შესახებ;
2. სააქციო საზოგადოება „კაპშენის" რეორგანიზაციის შესახებ.

კრებაზე დასწრება სავალდებულოა.

კრება შედგება საზოგადოების ოფისში: ქ. თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. № 6, მე-3 სართული.

სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო.

◉ პოლემიკა

„...ბაძვით მორცხვიც გაურცხვდების"

წლეულს, 11 ივნისს, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტის, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის გიორგი ჭინჭარაულის რეცენზია 2002 წელს გამოქვეყნებულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სახელმძღვანელოზე – „ეკონომიკა" (X-XI კლასებისათვის). მართალია, ეს სახელმძღვანელო ამ სახით ამჟამად სკოლებში არ გამოიყენება, მაგრამ მაინც მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მასზე პასუხის გაცემა.

ქართველი სწავლული ეკონომისტების მიმართ ბატონ ჭინჭარაულის დამოკიდებულება რეცენზიის დასაწყისშივე გამოიკვეთა. მისი თქმით, თურმე „ქართველ ეგრეთ წოდებულ „მეცნიერ ეკონომისტთა" შესახებ სხვა ქვეყნებში უაღრესად უარყოფითი შეხედულება არსებობს", „ზოგიერთი ცნობილი მეცნიერის აზრით, ქართველს თეორიული ეკონომიკური აზროვნების უნარი არა აქვს". ალბათ რეცენზენტს ის გარემოება აღიზიანებს, რომ ამ სახელმძღვანელოს შექმნაში მონაწილეობა ვერ მიიღო. საინტერესოა, ვინ აუკრძალა ბატონ გიორგის მსგავსი ნაშრომის შექმნა?

ყოვლისმცოდნე გიორგი ჭინჭარაულის აზრით, უწყინარი ფრაზა – „კაცობრიობა ყოველთვის მოქმედებდა ეკონომიკური ინტერესებით და მხოლოდ მის საფუძველზე შეეძლო განესაზღვრა პოლიტიკა, აღზრდა-განათლება, იდეოლოგია (კულტურა, ხელოვნება, მეცნიერება...)", თურმე „სოციალისტურ-მარქსისტული თეორიების ზეგავლენითაა დაწერილი, – რაც საბაზრო ეკონომიკისთვის მიუღებელია". ჭკუის მასწავლებელ მეცნიერს, ეტყობა, დაავიწყდა, რომ ეკონომიკის როლის აღნიშნული შეფასება მარქსამდე წარმოიშვა. თანაც, წიგნიდან ტექსტი დამახინჯებულადაა მოყვანილი და სინამდვილეში სრულებითაც არ მიუთითებს, როგორც ამას რეცენზენტი აღნიშნავს, თითქოს „ეკონომიკური ინტერესები განსაზღვრავს პოლიტიკას, განათლებას, იდეოლოგიას". სახელმძღვანელოს ტექსტში აღნიშნულია, რომ კაცობრიობას მხოლოდ ეკონომიკური ინტერესების საფუძველზე შეეძლო განესაზღვრა „პოლიტიკა, აღზრდა-განათლება, იდეოლოგია". ეს და რეცენზენტის მიერ მოყვანილი ფრაზა ერთი და იგივე არის. მით უმეტეს, რომ სახელმძღვანელოს ამ ტექსტში საერთოდ არ ფიგურირებს რელიგია, თუმცა ეს ხელს არ უშლის რეცენზენტს ამ ტექსტს მისცეს მოულოდნელი გაგრძელება: სახელმძღვანელოს ავტორებმა „ეს ფრაზა მაშინ იხმარეს, როცა სკოლაში ისწავლება არა ათეიზმი, არამედ თეიზმი" (?) ეს ხელოვნურად მიბმული ჭინჭარაულისეული ფრაზა ლოგიკური აზროვნებიდან საერთოდ ამოვარდნილია. თუკი რეცენზენტი ფიქრობს, რომ ეკონომიკურ ინტერესებს გავლენა არ მოუხდენია ზოგადად რელიგიის, მათ შორის, ქრისტიანული რელიგიის განვითარებაზე, რბილად რომ ვთქვათ, ცდება და ამჟღავნებს ამ სფეროში აბსოლუტურ უცოდინრობას.

გიორგი ჭინჭარაულის აზრით, მხოლოდ აღნიშნული „ეკონომიკური ინტერესების" ფორმულირებით არ შემოიფარგლება სახელმძღვანელოს ავტორთა „აზროვნების სოციალისტური გადმონაშთი", თურმე ამის დადასტურებაა „115-ე გვერდზე მოცემული ბრუნვის გადასახადის ანალიზი". საპასუხოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ, ჯერ ერთი, ამ გვერდზე მოცემულია არა „ბრუნვის გადასახადის ანალიზი", არამედ მისი განმარტება, შესაბამისი მაგალითის მოყვანით. მეორეც, ავტორები სრულიადაც არ ამტკიცებენ, რომ ბრუნვის გადასახადი საქართველოშიც მოქმედებს, ისინი მხოლოდ განმარტავენ პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადის სახეებს, მათ შორის, გადასახადს დამატებულ ღირებულებაზე, რომელიც ამჟამად საქართველოშია მიღებული. მსოფლიოს ეკონომიკურად ყველაზე განვითარებულ ქვეყანაში – აშშ-ში ბრუნვის გადასახადია დაწესებული და არა გადასახადი დამატებულ ღირებულებაზე. ჭინჭარაულის ლოგიკას რომ გავყვეთ, აშშ-ს ეკონომიკის „მამები" და პოლიტიკური ხელმძღვანელები, რამდენადაც ამ ქვეყანაში ბრუნვის გადასახადია დატოვებული, „ეკონომიკის" სახელმძღვანელოს ქართველ ავტორთა მსგავსად „აზროვნების სოციალისტური გადმონაშთის" სენით არიან შეპყრობილი.

რეცენზენტს არც ის მოსწონს, რომ სახელმძღვანელოს ავტორები მსჯელობენ ისეთ „საკითხებზე, რომლებიც მოსწავლეებმა არ იციან". თავისთავად ცხადია, რომ სახელმძღვანელოში ისეთი საკითხებიც უნდა განიხილებოდეს, რომლებიც მოსწავლეებმა არ იციან. წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო არ იქნებოდა საერთოდ სახელმძღვანელოს დაწერა. თავისი „მოსაზრების" განსამტკიცებლად რეცენზენტს მოჰყავს სახელმძღვანელოს მე-13 გვერდზე მოყვანილი „თამაშის წესის" ცნება, რომლის შინაარსი მისთვის გაურკვეველი დარჩა. თითქოს „განმარტებული არ არის, რა არის საერთოდ და მით უმეტეს ეკონომიკური თამაშის წესი". სინამდვილეში ამ გვერდზე 12 სტრიქონი ეთმობა „თამაშის წესის" განმარტებას. ასევე არ მოსწონს რეცენზენტს სახელმძღვანელოში თითქოს ისეთი რთული საკითხის შეტანა, როგორიცაა ეკონომიკური სისტემა, მით უმეტეს, რომ „თვით ეკონომიკური სისტემის ცნება არ არის განმარტებული" . სინამდვილეში სახელმძღვანელოში მე-3 თავი, რომელიც ეკონომიკური სისტემის ტიპებს ეხება, იწყება ეკონომიკური სისტემის განმარტებით, ხაზგასმულია, რომ **„ეკონომიკური სისტემა არის საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების ორგანიზაციის ფორმა"**. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური სისტემები ისწავლება დასავლეთის ყველა სასკოლო ეკონომიკურ სახელმძღვანელოში, მას ეხებოდნენ ქართულ ენაზე თარგმნილ ყველა უცხოურ სასკოლო სახელმძღვანელოშიც.

რეცენზენტის აზრით, „ნაშრომის ნაკლად ასევე უნდა მივიჩნიოთ არადეკლარაციულად, მაგრამ არასრულყოფილად ან საერთოდ აუხსნელად წარმოდგენილი ცნებები და საკითხები. მაგალითად, სახელმძღვანელოში საწარმოთა მხოლოდ ორი ორგანიზაციული ფორმაა განხილული. კერძოდ: ა) სააქციონერო საზოგადოება და ბ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. რატომ არ არის განხილული სხვა ორგანიზაციული ფორმები?" – კითხულობს რეცენზენტი. იგი, ერთი მხრივ, სახელმძღვანელოების ავტორებს საყვედურობს, რომ აუხსნელად აქვთ წარმოდგენილი ცნებები და საკითხები, ხოლო, მეორე მხრივ, მიუთითებს, რომ სახელმძღვანელოში განხილულია „საწარმოთა მხოლოდ ორი ორგანიზაციული ფორმა". აქ რაღაც წინააღმდეგობაა. თუ ეს საკითხები განხილულია, მაშასადამე, ისინი ახსნილია (!) რატომ მაინცდამაინც ეს ორი ფორმა განიხილეს სახელმძღვანელოების ავტორებმა? მხოლოდ ერთი უბრალო მიზეზის გამო. როგორც ეს მითითებულია სახელმძღვანელოს 46-ე გვერდზე – წარმოების „მასშტაბურობის თვალსაზრისით უფრო მეტად გაერცელებულია აქციონერული საზოგადოება და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება". სწორედ ამიტომ დასახელებულ ორ ფორმას დაეთმო უპირატესი ყურადღება.

მეცნიერის აზრით, სახელმძღვანელოს „ავტორებს საყოველთაოდ ცნობილი მიკროეკონომიკის სახე, შრომის ბაზარი მაკროეკონომიკად წარმოუდგენიათ (გვ. 89)". თუმცა ამ ან სხვა გვერდზე ავტორებს მსგავსი რამ არ დაუწერიათ. ალბათ მე-13 თავის – **„შრომის ბაზარი, დასაქმება და უმუშევრობა"** – განხილვა მესამე განყოფილებაში (მაკროეკონომიკა) ჭინჭარაულს ამის დასაბუთებად მიაჩნია. მაგრამ ავტორებს აქ შრომის ბაზართან ერთად განხილული აქვთ დასაქმება და უმუშევრობა, რომლებიც სწორედ რომ მაკროეკონომიკური მაჩვენებელია.

სახელმძღვანელოს ავტორებს სრულებითაც არ მიაჩნიათ, რომ მათი შრომა უხარვეზოა. პირიქით, წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ „ამ მიმართულებით მუშაობა კიდევ გაგრძელდება და გაღრმავდება", რომ ისინი „სიამოვნებით გაითვალისწინებენ ყველა საქმიან შენიშვნას და წინადადებას სახელმძღვანელოს მომდევნო გამოცემებში". იგივეს იტყოდნენ ისინი გ. ჭინჭარაულის მიმართაც, მისი „შენიშვნები" საქმიანი რომ ყოფილიყო. რა თქმა უნდა, გ. ჭინჭარაულის „კრიტიკული" შენიშვნების გათვალისწინება მხოლოდ გააუარესებდა სახელმძღვანელოს შინაარსს და მისი სიტყვები რომ მოვიშველიოთ: „დროის ფუჭი დანაკარგი იქნებოდა".

ელგუჯა მექვაბიშვილი,
პროფესორი;
ჯემალ კახნიაშვილი,
დოცენტი.

სს „ეგრისის" აქციონერთა საყურადღებოდ!

მოგახსენებთ, რომ 2004 წლის 30 ივლისს დღის 12 საათზე, სს „ეგრისის" მისამართზე – ჯიქიას ქ. 16, გაიმართება სს „ეგრისის" აქციონერთა მორიგი საერთო კრება.

სააღრიცხვო დღედ დანიშნულ იქნა 2004 წლის 12 ივლისი

შემდეგი დღის წესრიგით:

1. ახალი სამეთვალყურეო წევრის არჩევა;
2. სხვადასხვა.

აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ თავიანთი კრებაში მონაწილეობის უფლება დამოუკიდებელ რეგისტრატორ „კაპიტალ-რეგისტრში" შემდეგ მისამართზე – ქ. თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზ. 80, ტელ. 23-03-84.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
ლ. რუხაია.
13.07.2004.

განცხადება

სსიპ საქართველოს ტელევიზია და რადიომაუწყებლობა აცხადებს მხატვრული ფილმების, სერიალების, დოკუმენტური ფილმების, დოკუმენტური სერიალების, საბავშვო ფილმების, მულტფილმების და მულტსერიალების შესყიდვაზე

საერთაშორისო ღია ტენდერს

რეკვიზიტები – ქ. თბილისი კოსტავას ქ. №68

ლოტი 1. დრამა სერიალებს (2 ცალი), რომლებიც უნდა იყოს საშუალოდ 150-სერიიანი, სასურველია ქრონომეტრაჟით 52წთ. სამხრეთ ამერიკული წარმოების, სასიყვარულო სიუჟეტით (ე.წ. „საპნის ოპერა“), სერიალების ჟანრში ცნობილი მსახიობების მონაწილეობით.
ლოტი 2. მხატვრულ ფილმებს, 400 საათი.
ლოტი 3. დოკუმენტურ ფილმებს (შემეცნებით-გასართობი ჟანრის) 250 საათი.
ლოტი 4. სხვა ტიპის მხატვრულ სერიალებს (კომედიური, საოჯახო, ისტორიული) საშუალოდ 12-სერიიანი, მიახლოებით 100 საათი.
ლოტი 5. საბავშვო მექანიკა (მულტფილმები, მხატვრული ფილმები, გადაცემები) 170 საათი
ლოტი 6. მუსიკა (კონცერტები) 150 საათი.

პირობები:

სადისტრიბუციო ან მწარმოებელმა კომპანიამ უნდა წარმოადგინოს:
1. ტენდერზე წარსადგენი მექანიკის სია, სადემონსტრაციო ვერსია (შეძლებისდაგვარად) ან ანოტაციები (შინაარსი).
2. ბიუჯეტი;
3. მოწოდების პირობები.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით) 2004წ. 3 აგვისტოს 11 საათიდან 10 აგვისტოს 18 საათამდე. შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას 68, ოთახი № 341.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას

იურიდიული პირებისათვის:
– ცნობას საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
– ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
– ცნობას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

ფიზიკური პირებისათვის:
– ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;
– ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.
– ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის (500ლ.) გადახდის შემდეგ, 2004 წლის 16 აგვისტოს 10 საათიდან 20 აგვისტოს 18 საათამდე მისამართზე – ქ.თბილისი. კოსტავას ქ. №68, ოთახი № 341 – ს.ს.ი.პ. საქტელერადიო-მაუწყებლობა.

სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს ლოტების მიხედვით. შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს – ნათია ზამთარაძეს. ტელ: 33-23-64 ან 8(99)-58-93-07.

განცხადება

სსიპ საქართველოს ტელევიზია და რადიომაუწყებლობა აცხადებს სტუდიების დეკორაციის დიზაინსა და დამზადებაზე ღია ტენდერს

რეკვიზიტები – ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68

ლოტი 1:
1. საინფორმაციო გამოშვების სტუდიის დიზაინი.
2. ღამის შოუს სტუდიის დიზაინი.
3. დილის გასართობი შოუს სტუდიის დიზაინი
4. შუადღის გასართობი შოუს სტუდიის დიზაინი.

ლოტი 2:
1. საინფორმაციო გამოშვების სტუდიის დამზადება.
2. ღამის შოუს სტუდიის დამზადება.
3. დილის გასართობი შოუს სტუდიის დამზადება.
4. შუადღის გასართობი შოუს სტუდიის დამზადება.

კომპანიამ უნდა წარმოადგნოს:
1. დიზაინის ესკიზები.
2. ბიუჯეტი.
3. დამზადების და მოწოდების პირობები.

ტენდერში .მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით) 2004წ. 3 აგვისტოს 11 საათიდან 6 აგვისტოს 18 საათამდე. შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას 68, ოთახი № 341.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:
– ცნობას საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
– ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
– ცნობას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

ფიზიკური პირებისათვის:
– ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;
– ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.
– ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის (500ლ.) გადახდის შემდეგ, 2004 წლის 11 აგვისტოს 10 საათიდან 16 აგვისტოს 18 საათამდე მისამართზე – ქ.თბილისი, კოსტავას ქ. №68, ოთახი № 341 - სსიპ საქტელერადიომაუწყებლობა.

სატენდერო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს ლოტების მიხედვით. შესაძლებელია ორი გამარჯვებულის გამოვლენა.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს – ნათია ზამთარაძეს. ტელ: 33-23-64 ან 8(99)-58-93-07.

განცხადება

სსიპ საქტელერადიომაუწყებლობის მიერ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1 ივნისის ნომერში საწვავ-საცხები მასალების შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში გამოვლინდა გამარჯვებულები და გაფორმდა ხელშეკრულებები

შპს „კანარგო სტანდარტ ოილ პროდუქტთან“ №270 – 109480 ლარზე, №271 – 23552 ლარზე, №272 – 2970 ლარზე. შპს „ავიასაწვავსერვისთან“ გაფორმდა ხელშეკრულება №269 – 3780 ლარზე, №268 – 5880 ლარზე.

დაზუსტება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ 2004 წლის 10 ივლისის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ განთავსებულ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში შეტანილია შემდეგი სახის ცვლილებები:

კვების პროდუქტების ჩამონათვალიდან ამოღებულია საქონლის ხორცის კონსერვი, ქათმის ხორცი. გამოქვეყნებული 13 000 კგ. საქონლის ხორცის ნაცვლად დატოვებულ იქნას 4 000 კგ.

ფეხბურთი

ვენდეტა ტაბლოზე

ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტს თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ კონტინენტის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის სტარტზე მართლაც რომ გაუმართლა – არა გვგონია, ფარერის კუნძულების „ტორსჰავნზე“ სუსტი გუნდი სათავგადასავლო ბატალიებში ჩაბმულიყოს.

მიუხედავად ნახევრად პროფესიული სტატუსისა, სტუმართა მოთამაშე მწვრთნელი ფერნანდესი შეხვედრის წინ იხტიბარს არ იტეხდა და მეტოქეთა შანსებს 50-50-ზე აფასებდა. ამ კომპონენტში ღირსებით შემკულ ჩრდილოელს შეიძლება გაუგო კაცმა – ძალთა ობიექტურ შეფასებას ყველას ვერ მოთხოვ, მაგრამ რა შეიძლება ეწოდოს თამაშის წინა დღეს „დინამოს“ სტადიონზე გამართული ვარჯიშის დროს პირდაპირ სარბიელზე გაჩაღებულ... ბუნებრივი მოთხოვნილების ჯგუფურ დაკმაყოფილებას? ჩვენ გადავამოწმეთ ამ „მოვლენის“ შემდეგ გავრცელებული ხმები – გასახდელებსა და ტუალეტებში შუქი არ იყო და ასე პროტესტის ნიშნად მოიქცნენ კუნძულელებიო და აღმოჩნდა, რომ ეს მტკნარი სიცრუე ყოფილა.

რაც შეეხება თვით პირველ რაუნდს, სეზონის წინ ადამიას, გოცირიძის, მერლანისა და დეკანოსიძის გარეშე დარჩენილმა ვეტერინარებმა ყველა კომპონენტში დაჯაბნეს მოწინააღმდეგე და უმსგავსობისთვის სამაგალითოდ დასაჯეს – 5:0. მასპინძელთაგან გოლები გაიტანეს გოჩაშვილმა, მარცვალაძემ, დიღმელაშვილმა, ინწკირველმა და ებანოიძემ.

საპასუხო მატჩი 29 ივლისს არის დანიშნული, მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე კი მერაბ კოჭლაშვილის შეგირდებს გაცილებით სერიოზული გამომცდელი ელით პოლონეთის ქალაქ კრაკოვის „ვისლას“ სახით.

გია პლატონიშვილი.

ჭადრაკი

რუსტამ კასიმჟანოვი მსოფლიო ჩემპიონია

მრავალი დანაკლისის მიუხედავად, მსოფლიო საჭადრაკო ჩემპიონატმა ტრიპოლში (ლიბია) საკმარისად ძლიერ შემადგენლობას მოუყარა თავი. ექსპერტების უმრავლესობა ვარაუდობდა, რომ ფინალში მაღალი რეიტინგის მქონე ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) და მაიკლ ადამსი (ინგლისი) შეხვდებოდნენ ერთმანეთს. თუმცა, ფავორიტთა შორის ასახელებდნენ, ასევე, ევროპის ახლანდელ ჩემპიონ ვასილ ივანჩუკს (უკრაინა), ალექსანდრ გრიშჩუკსა (რუსეთი) და თემურ რაჯაბოვს (აზერბაიჯანი).

აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ამჯერად მოლოდინი არ გამართლდებოდა და ჩემპიონობისთვის გადამწყვეტ მატჩს უზბეკი რუსტამ კასიმჟანოვი ითამაშებდა. რუსტამს ხომ აქამდე რაიმე მნიშვნელოვანი წარმატება არ ჰქონია, არადა, კარგა ხანია, საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობს.

რა გამოვიდა? თურმე კასიმჟანოვი სინამდვილეში სულ სხვა ძალისა ყოფილა, საგანგებოდ მოუმზადებია უამრავი სადებიუტო სიახლე. დაუმატეთ ამას არაჩვეულებრივი შეუპოვრობა („თითქოს ნერვები არა აქვსო“, – აღნიშნავდნენ გაოცებული ექსპერტები) და იღბალი, რომელიც თავიდან ბოლომდე მის მხარეს იყო.

მსოფლიო ჩემპიონატზე პირველი სენსაცია სწორედ კასიმჟანოვმა მოახდინა, როცა ივანჩუკი დაამარცხა. შემდეგ მისი მსხვერპლი გახდნენ უნგრელი დიდოსტატი ზოლტან ალმაში და რუსული ჭადრაკის იმედი ალექსანდრ გრიშჩუკი.

ნახევარფინალიდან მეტოქეები ერთმანეთს ოთხ-ოთხჯერ ხვდებოდნენ. თუკი ადამს-რაჯაბოვის მატჩის შედეგის გამოცნობა არ იყო იოლი, სპეციალისტები თვლიდნენ, რომ კასიმჟანოვს უკვე აღარ გაუმართლებდა, რადგან მისი მეტოქე ბულგარელი დიდოსტატი ტოპალოვი გახლდათ. მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ვასილი სმისლოვს რომ ჰკითხეს, ვინ გაიმარჯვებსო, 83 წლის დიდოსტატმა ღიმილით უპასუხა: „ცხადია, კასიმჟანოვი, კიდევ ერთი „კ“.

ტოპალოვ-კასიმჟანოვის მატჩში 4 ძირითადი პარტიის შემდეგ ანგარიში იყო 2:2. დამატებით შეხვედრებში წარმატებას უზბეკმა მიაღწია. მეორე ნახევარფინალური პაექრობა კი, როგორც ელოდნენ, ადამსის გამარჯვებით (2,5:1,5) დამთავრდა.

ფინალურ მატჩში პარტიების რაოდენობა ექვსამდე გაიზარდა. აი, აქ კი ეგონათ, რომ მრავალნაცად ინგლისელ დიდოსტატს ეს ახალი „როსტომი“ ხელიდან ველარ დაუსხლტებოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად! პირველი პარტია ყაიმით დასრულდა, მეორეში, სადაც ადამსმა რუსულ დაცვას მიმართა, უზბეკმა ბრწყინვალედ ითამაშა და დაწინაურდა – 1,5:0,5. ინგლისელ დიდოსტატს ორჯერ მოუწია წონასწორობის აღდგენა. ექვსი პარტიის შემდეგ ანგარიში გახდა 3:3. პირველ დამატებით ორთაბრძოლაში თეთრებით მოთამაშე ადამსს საგრძნობი უპირატესობა კი ჰქონდა, მაგრამ გასამარჯვებლად სათანადო გეგმა ვერ მონახა და წააგო. მეორე პარტია ყაიმით დასრულდა.

ამრიგად, მსოფლიოს ახალი ჩემპიონი ტაშკენტელი რუსტამ კასიმჟანოვი გახდა.

გივი გამრეკელი.

სურათზე: ტრიპოლი. რუსტამ კასიმჟანოვი (მარცხნივ) და მაიკლ ადამსი.

ოლიმპიელი

ბოლო ცდამ საგზური მოუტანა

გუშინ იტალიის ქალაქ გროსეტოში დაიწყო და 18 ივლისამდე გასტანს ახალგაზრდა მძლეოსანთა მსოფლიო პირველობა, რომელშიც საქართველოდან ბირთვის მკვრელები – მარიამ ქევხიშვილი და მამუკა ტუდუში იასპარეზებენ. საგულისხმოა, რომ მარიამმა ამას წინათ ბაქოში აზერბაიჯანის თასის გათამაშებაზე ყველას აჯობა, თან ათენის ოლიმპიური თამაშების საგზურიც მოიპოვა.

დაიბადა 1985 წლის 17 სექტემბერს თბილისში. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო აკადემიის მეორეკურსელია. მძლეოსნობაში ვარჯიში 13 წლისამ დაიწყო ვასილ მჭედლიშვილის ხელმძღვანელობით. ჯერ სიმაღლეზე ხტებოდა, მერე ყარამან საბანაშვილის რჩევით, „პროფილი“ შეიცვალა და ბირთვის კვრაში შეუდგა დაოსტატებას. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია ახალგაზრდებსა და დიდებში. 2000 წელს მოსწავლეთა შორის ქვეყნის რეკორდი (12,84 მ) დაამყარა. გურანდა თედორაძის მიერ 16 წლის წინათ დამყარებული რეკორდი წლეულს გააუმჯობესა (15,70 მ), შარშან ერევანში ამიერკავკასიის თასის გათამაშებაზე პირველი იყო. სტამბოლში ევროპის საკლუბო ჩემპიონატში II ადგილი დაიკავა, წლეულს კი ნოვი-სადში (სერბეთი) ანალოგიურ შეჯიბრებაზე ოქროს მედალი დაიმსახურა. მართალია, იგი ბადროსა და უროს ტყორცნაშიც ცდიდა ძალებს, მაგრამ საპრიზო ადგილებს მიღმა დარჩა.

მარიამ ქევხიშვილისთვის მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი აზერბაიჯანის თასის გათამაშება იყო, სადაც 17,20 მეტრზე იფრინა მისმა ნაკრავმა ბირთვმა და ახალგაზრდა სპორტსმენს ელადის საგზური მოუტანა. აბა, რას იფიქრებდა 6 წლის წინათ 13 წლის გოგონა, ამგვარ სიმაღლეს თუ მიაღწევდა. არადა, შემთხვევით დაიწყო მძლეოსნობაში ვარჯიში ფიზკულტურის მასწავლებლის ვასილ მჭედლიშვილის ხელმძღვანელობით.

– მეშვიდე კლასში ტანი ავიყარე, ჯგუფში ყველაზე მაღალი ვიყავი, – იგონებს მარიამ ქევხიშვილი, – ფიზკულტურის მასწავლებელმა, ბატონმა ვასილ მჭედლიშვილმა მითხრა, სიმაღლეზე ხტომაში უნდა გავარჯიშოო. მართლაც, დავიწყე მეცადინეობა. მახსოვს, ერთ-ერთ შეჯიბრებაზე 140 სანტიმეტრი დავძლიე და თანატოლთა შორის მე-2 ადგილიც დავიკავე.

– მერე რატომ დათმე „სიმაღლე?“

– გავსუქდი და მხტომელად, აბა, როგორ გამოვდგებოდი? ის იყო, მძლეოსნობისთვის თავის დანებებას ვაპირებდი, რომ ბატონმა ყარამან საბანაშვილმა მირჩია, ბირთვის კვრაში მევარჯიშა.

– მშობლებს ხომ არ შეუშლიათ ხელი?

– მამაჩემი – გივი ქევხიშვილი მოჭიდავე იყო, ძიუდოისტი. თანატოლებში საქართველოს ჩემპიონი, შეიარაღებული ძალების პირველობაც აქვს მოგებული. ასე რომ, ჩვენს ოჯახში სპორტით დაინტერესება უცხო არ ყოფილა. მამამ შემაგულიანა კიდეც.

– დღეს უკვე ოლიმპიელი ხარ. რა გრძნობა გეუფლება?

– ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა ყველა სპორტსმენის ოცნებაა. თავი სიზმარში მგონია. მართალია, ვარჯიშებისას ხშირად დამიძლევია სალიცენზიო ნორმატივი – 17,15 მეტრი, მაგრამ შეჯიბრებისას ვერაფრით გადავლახე ეს ბარიერი. ბაქოშიც პირველი ორი ცდის შემდეგ ვლიდერობდი, თუმცა, ნორმატივს თითქმის ნახევარი მეტრით ჩამოვრჩებოდი. მესამე ცდა საერთოდ გამიცუდდა. დამრჩა ბოლო შანსი. როცა ბირთვმა 17,20-მეტრიანი ნიშნული გადალახა, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ეს გამარჯვება ბატონ ყარამან საბანაშვილის დამსახურებაცაა. ორივეს დაგვიფასდა ხუთწლიანი გარჯა...

როგორც ზემოთ გაუწყეთ, მარიამ ქევხიშვილი ამჟამად გროსეტოშია და, იმედია, ახალგაზრდების მსოფლიო პირველობაზეც იყოჩაღებს.

ვაჟა დანელია.

რაგბი

ფინალი ვაკეში გაიმართება

საქართველოს მორაგბეთა თასის წლევანდელ გათამაშებაში 14 გუნდი ჩაება. სამეტაპიანი ორთაბრძოლების შემდეგ გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები. თასის შარშანდელმა მფლობელმა „ლოკომოტივმა“ უაღრესად დაძაბულ პაექრობაში სძლია „ლელოს“ მინიმალური ანგარიშით – 12:11, „ყოჩებმა“ კი „აკადემიას“ მოუგეს – 26:21.

ამდენად, ფინალში, რომელიც 22 ივლისს ვაკეში გაიმართება, მთავარი ჯილდოსთვის „ყოჩები“ და „ლოკომოტივი“ იბრძოლებენ.

ჭიდაობა

უმასპინძლებს სლოვენია

პარასკევს ლიუბლიანაში (სლოვენია) დაიწყება ევროპის 2004 წლის პირად-გუნდური პირველობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრებიც ჩაებმება დამსახურებული მწვრთნელის – ლადო ადეიშვილის ხელმძღვანელობით. გაუწყებთ ჩვენი გუნდის შემადგენლობას: 50 კგ. – მალხაზ სოლომონიძე (აჭარა), 55 კგ. – მირიან ნიშნიანიძე (ქუთაისი), 60 კგ. – ლაშა ლომაძე (ოზურგეთი), 66 კგ. – ომარ ბაკურიძე, 74 კგ. – ოთარ ფევაძე (ორივე – აჭარა), 84 კგ. – შალვა გადაბაძე (თბილისი), 96 კგ. – გივი მორჩილაძე (თბილისი), 120 კგ. – რევაზ ჭელიძე (ოზურგეთი).

შოთა ბოკერია.

ყოველი მხრიდან

მსოფლიო რეკორდების მოზღვავება

კიდევ ორი მსოფლიო რეკორდი დამყარდა ლონგ-ბიჩის მოძრავ აუზში, აშშ მოცურავეთა ოლიმპიურ შესარჩევ ტურნირზე. 200 მეტრზე პირაღმა ცურვაში არონ პირსოლმა თავისივე რეკორდი დაამხო – 1,54.74. აქ მეორე ფელპსი იყო – 1.55.86.

ამანდა ბირდმა კი დაიბრუნა თავისივე მსოფლიო რეკორდი – 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში – 2,22.44, რომელიც მხოლოდ ორ დღეს – 10-12 ივლისს ეკუთვნოდა ავსტრალიელ მოცურავე ქალს ლეისელ ჯონსს.



დამაჯერებელი გამარჯვება

მადრიდში გაიმართა სამეფო კლუბის „რეალის“ პრეზიდენტის არჩევნები. დიდი უპირატესობით გაიმარჯვა ფლორენტინო პერესმა.

სამშენებლო კომპანიის 57 წლის მფლობელმა ამომრჩეველთა 94 პროცენტზე მეტი ხმა მიიღო. ექს-პრეზიდენტ ლორენსო სანსს 4 პროცენტმა დაუჭირა მხარი, ხოლო მესამე კანდიდატს – არტურო ბალდასანოს – დაახლოებით ორმა პროცენტმა.

ასე რომ, მადრიდელების მოქმედი პრეზიდენტი კლუბის საჭესთან კიდევ ოთხ წელიწადს დარჩება.

ლიდერი კვლავ ფედერერია

გამოქვეყნდა ჩვენი პლანეტის საჩოგბურთო ელიტის რეიტინგი 14 ივლისისათვის. საუკეთესო მოთამაშეთა ოცეულს, როგორც წლევანდელი, 2004 წლის შედეგებით, ისე 52-კვირიანი მონაპოვრებით კვლავ შვეიცარიელი ფედერერი ლიდერობს. წლევანდელი შედეგების მიხედვით მეორეა არგენტინელი კორია, ხოლო მესამე – ამერიკელი როდიკი. 52-კვირიან რეიტინგში კი მათ ადგილები „გაცვალეს“.

ორივე რეიტინგით მეოთხე საფეხურზე ესპანელი მოია, ხოლო მეხუთეზე – დიდბრიტანელი ჰენმენი.

ქალთა მსოფლიო რეიტინგში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. გამოქვეყნდა, აგრეთვე, FED CUP რეიტინგი. აქ ისევ საფრანგეთი ლიდერობს. შემდეგ მოდიან ესპანეთი, აშშ, სლოვაკეთი, რუსეთი, ბელგია და ა. შ.

საქართველომ 70-ე ადგილიდან 59-ზე გადაინაცვლა.

ბილეთები „ჩაწვა?“

მხოლოდ ერთი თვეღაა დარჩენილი ათენის ოლიმპიური თამაშების სტარტამდე. მისი ბილეთებით ვაჭრობა კი ძალზე ნელი ტემპით მიდის. 5,3 მილიონი ბილეთიდან, ჯერჯერობით, დაახლოებით 2 მილიონია გაყიდული.

ბერძენი ხალხისადმი მოწოდებით გამოვიდა ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის მეთაური ქალბატონი ჯანა ანგელოპულოსი. „აუცილებელია სტადიონების შევსება, და არა მხოლოდ ფინალურ შეჯიბრებებზე... ეს ჩვენი მოვალეობაა, როგორც მასპინძლებისა!“ – თქვა მან.

საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა ისიც განაცხადა, რომ ბილეთის 64 პროცენტის შეძენა შეიძლება 24 დოლარზე იაფად.

მარადონა — „ბლექბერნში?“

როგორც დასავლეთის პრესა იტყობინება, დიეგო მარადონა ჩავიდა ინგლისში, პრემიერ-ლიგის კლუბ „ბლექბერნ როვერზში“ გასასინჯად და პროფესიული კონტრაქტის გაფორმების იმედით.

ნუ გაგიკვირდებათ, დიაღაც, ლაპარაკია ფეხბურთელ დიეგო მარადონაზე, მაგრამ არა იმ ლეგენდარულ ფეხბურთელზე, მთელი პლანეტის გულშემატკივართა კერპი რომ გახდა (ახლა კი თავი რომ ვერ დაუღწევია ნარკოტიკული ზეწოლისთვის), არამედ მის ჩვიდმეტი წლის ვაჟიშვილზე, დიდი მამის სეხნიაზე.

უმცროსი დიეგო სწავლობდა და ვარჯიშობდა „ნაპოლში“, იმ კლუბში, სადაც ერთ დროს მამამისი ასე ბრწყინავდა. ახლა ამ ნეაპოლურ კლუბს ძალიან უჭირს, ამიტომაც დიდი დიეგოს შვილი იძულებულია, „ბლექბერნს“ მიაკითხოს.

სხვათა შორის, მარადონა-უფროსი დიდხანს არ აღიარებდა, რომ მას კრისტინა სინაგრასთან ხანმოკლე რომა-

ნის შემდეგ იტალიაში შვილი დარჩა.

17 წლის დიეგოს არ უნდა გაიმეოროს მამის კარიერა, რომელიც 17 წელი თამაშობდა არგენტინის ნაკრებში. როგორც იგი თავად აღიარებს, „მამა დიდი მოთამაშე იყო, მაგრამ დასაწყისისათვის მე მხოლოდ პროფესიონალ ფეხბურთელად გახდომა მინდაო“. ისიც უნდა ითქვას, რომ მარადონა-უმცროსი თავის კერპად ლეგენდარულ არგენტინელს კი არ მიიჩნევს, არამედ იტალიელ ალესანდრო დელ პიეროსა და ინგლისელ დევიდ ბექჰემს.

სპორტის რედაქცია

ალბომი

ყველას რაიმე აქვს

მარცხნიდან: აკაკი ვასაძე, არჩილ დავითაშვილი, მიხეილ დავითაშვილი, ამირან გონაშვილი, ვასო გოძიაშვილი.
ბორჯომი, 1972 წელი.

მოგვაწოდა ქეთევან ხუციშვილმა.

გიხაროდეს!

თინათინი, თამარი და ლიზი

გაზეთ „ავტოპარკის“ რედაქტორმა ლაშა ლოჩოშვილმა და მისმა მეუღლემ, ფრანგული ენის სპეციალისტმა ირინა ჩხიკვაძემ 22 ივნისს მესამე ქალიშვილის შეძენით გაიხარეს. ქვეყნის ლამაზმანებს მათი პაწია ლიზიც შეემატა.



კარგა ხანია, რაც დედა და შვილი შინ არიან. კიდევ უფრო ამაღლდა ჭერი, გაიხარეს ოჯახის წევრებმა, ახლობლებმა, განსაკუთრებით კი კუდრაჭებმა – 7 წლის თინათინმა და 2 წლის თამარმა.

მესამე შვილის შეძენას ვულოცავთ ირინას და ლაშას, ბედნიერებას და ულევ სიხარულს ვუსურვებთ. ღირსეული შვილები დაუზარდონ საქართველოს.

მეზობლების სახელით
იზოლდა ზუროშვილი.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

ცოტაც გავიღიმოთ...

– ახლა მოგიყვებით, თუ როგორ გაჩნდა პირველი ადამიანი, – ეუბნება მღვდელი მოსწავლეებს სღვთო სჯულის გაკვეთილზე.
– მამაო, – აწყვეტინებს ვოვა, – ჩვენთვის უფრო საინტერესო იქნება იმის მოსმენა, თუ როგორ გაჩნდა მესამე ადამიანი.

* * *

– ქალიშვილო, თქვენ ინტიმურ ურთიერთობებს დაამყარებთ ფულის გამო?
– არა!
– საუცხოოა, რადგან სწორედ ახლა არა მაქვს ფული ჯიბეში...

* * *

– ოი, პარაშუტის წამოღება დამვიწყებია!
– ნუ დაბრუნდები! ცუდის ნიშანია!

* * *

– ამბობენ, რომ რუსეთში ორი უბედურებაა – ბრიყვები და გზები. მართალია? – ეკითხება უცხოელი ივანს.
– ეს რა არის... თქვენ რომ ჩვენი ფეხბურთელთა ნაკრები განახათ...

* * *

– რას აკეთებ, ვერ ხედავ ამკრძალავ ნიშანს, აქ ხომ მხოლოდ ერთი მიმართულებით შეიძლება მოძრაობა? – უსაყვედურებს ავტოინსპექტორი მიხოს.
– მე რა, ორი მიმართულებით ვმოძრაობ, რო?

* * *

ქალაქის სატრანსპორტო გაერთიანებამ მგზავრთა გადაყვანის ახალი ტარიფები დააწესა – ნებისმიერ ტრანსპორტში შესვლა უფასოა!

* * *



– რა ურთიერთობა გაქვს ცოლთან საწოლში?
– ისეთივე, როგორც მანქანასთან!
– ?!
– მე მას ვქოქავ, ის მე – არა!

* * *

– ორმოცდაათწლიანი ასაკის გახსენებაზეც კი ვიზაფრები, – ეუბნება ერთი მანდილოსანი მეორეს.
– კი, მაგრამ, ძვირფასო, რა დაგემართათ ისეთი მაგ ასაკში?

* * *

ახლად დაქორწინებულები საძინებელში ჩაიკეტნენ და მთელი დღე-ღამის შემდეგაც არ გამოდიან.
– რას აკეთებენ იქ ამდენ ხანს? – ვერ ისვენებს პატარძლის უმცროსი ძმა პეტია.
– შენი საქმე არ არის! – ტუქსავს დედამისი.
პატარას ცნობისმოყვარეობა არ ასვენებს და საძინებელში გასაღების ჭუჭრუტანიდან იჭყიტება. ხედავს, მცდელობის მიუხედავად, სიძე პატარძალს ვერ მოსცილებია.
– დედა, სად არის ჩემი თვითმფრინავის წებო? – ყვირის თავის ოთახში შევარდნილი პეტია.
– მე რა ვიცი, სად გქონდა შენახული? – უპასუხებს გალიზიანებული დედა.
– სად და, ვაზელინის ქილაში!

ვულოცავთ!

ახალი ლაურეატები

ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია მიენიჭათ:

პაატა ბურჭულაძეს – დიდ ქართველ მომღერალს და საზოგადო მოღვაწეს;

ჯიბო ლომაშვილს – ვაჟა-ფშაველას საზოგადოების თავმჯდომარეს, პროფესორს, საზოგადო მოღვაწეს, ქართველ მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირის წევრს.

გიორგი ლეონიძის სახელობის პრემია მიენიჭათ:

ჯემალ ადამაშვილს – გამოჩენილ კომპოზიტორს, საზოგადო მოღვაწეს;

სილოვან ნარიმანიძეს – გამოჩენილ პოეტს, ვაჟა-ფშაველას საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეს, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრს, საზოგადო მოღვაწეს;

რევაზ ორჯონიკიძეს – ქართველ მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირის წევრს, მთარგმნელს, კრიტიკოსს.

საქართველოს საბავშვო ფონდისა და ქართველ მწერალთა დამოუკიდებელი კავშირის წევრები გულწრფელი პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ ვაჟა-ფშაველას და გიორგი ლეონიძის სახელობის პრემიების ახალ ლაურეატებს. უსურვებენ მათ ბრწყინვალე გამარჯვებებს თავიანთ შემოქმედებით და მამულიშვილურ მოღვაწეობაში.

საქართველოს საბავშვო ფონდი, ქართველ მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირი.

ქართველები უცხოეთში

ხიდი — წარსულიდან მომავლისკენ გადებული

სამშობლოს ბედუკუღმართობამ მრავალ ქართველ მამულიშვილს არგუნა ემიგრანტის ხვედრი. დღე დღეს მისდევს, თვე – თვეს, წლებიც იკეცება, გულით ნატარები სევდა კი უსაზღვროა – მათ საფიცარი სამკვიდრო ენატრებათ. ნაწილს შვებას სიზმრებში ნახული მშობლიური კარმიდამო ჰგვრის, ზოგიერთი კი სატელეფონო ზარებით იქარვებს დარდს.

არიან ისეთებიც, დიდი ილიას მოძღვრების – „მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობაო“ – ერთგულნი უცხო მიწაზეც რომ რჩებიან. სწორედ ასეთი გახლავთ **მერაბ ჯაფარიძე** – სახელოვანი რეჟისორის გიგა ჯაფარიძის ღირსეული შვილი, რომელმაც თანამემამულეთა მონდომებით და გერმანელთა უანგარო თანადგომით შორეული ვესტფალიის ქალაქ მინდენში 2001 წლის ივნისში ქართულ-გერმანული კულტურული ურთიერთობის ხელშემწყობი საზოგადოება **„ოქროს საწმისი“** დააარსა.

მერაბ ჯაფარიძე.

საამაყოა იმ წამოწყებათა ნუსხა, ბატონმა მერაბმა და მისმა თანამოაზრეებმა რომ შეასხეს ხორცი განვლილი წლების განმავლობაში: მოეწყო არაერთი საღამო, სადაც გერმანული საზოგადოება გაეცნო ჩვენი ქვეყნის კულტურას, ისტორიასა და აწმყოს; სხვადასხვა ორგანიზაციიდან მიწვეული წარმომადგენლების მონაწილეობით რამდენჯერმე აღინიშნა 26 მაისის დღესასწაული; ქალაქმა მინდენმა და მისმა შემოგარენმა დიდი წარმატებით უმასპინძლა საქართველოს კულტურის დღეებს, რომელიც ჩვენებურებთან ერთად ევროპის სხვა სახელმწიფოებიდან ჩასულმა სტუმრებმაც დაამშვენეს. თვით საზოგადოების თავმჯდომარე აღნიშნული საქმიანობის გვირგვინად „ოქროს საწმისის“ ეგიდით ქართული საკვირაო სკოლის დაარსებას მიიჩნევს. მართლაც, წარმოუდგენელია იმ სიხარულის აღწერა, რომელიც პედაგოგების **შალვა წიკლაურის, ლია ცინცაძის, ლონდა გიორგაძისა** და **გოჩა ერაძის** კეთილ ნებას მოჰყვა – ისინი ხომ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მოღვაწეობენ. სწორედ მათი დამსახურებაა, ქართველი ბავშვები დედაენის ტკბილ ნექტარს ცხრა მთას იქით რომ ეწაფებიან.

განსაკუთრებული სასაუბრო თემაა „ოქროს საწმისის“ გაზეთი **„ხიდი“**, რომელიც წელიწადში ორჯერ იბეჭდება გერმანულ და ქართულ ენებზე და შეიძლება ითქვას, სამშობლოს ავ-კარგზე დამაშვრალთა ერთგვარ საფიხვნოდ გვევლინება. შემთხვევითი როდია გამოცემის თავფურცელზე წამძღვარებული ეპიგრაფი „მე ვარ ხიდი, წარსულიდან მომავლისკენ გადებული“...

გია პლატონიშვილი.

მხატვრობა

ვინ არის იქ, ოქროსფერ ზეცაში

შარშან, თბილისური შემოდგომისთვის უჩვეულოდ ცივ დღეებში, როდესაც პარლამენტის წინ მომიტინგეები იყრიდნენ თავს და საპროტესტო გამოსვლები თანდათან ძალას იკრებდა, იქვე, ლიტერატურის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში, მშვიდ და მიმზიდველ გარემოში, რომელსაც არაერთი ცნობილი მხატვრის ექსპოზიციისთვის უმასპინძლია, ხელოვნების მოყვარულები ახალგაზრდა გრაფიკოსის, მედეა გურგენიძის ნამუშევრების სანახავად შეკრებილიყვნენ. დამთვალიერებლებს შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლას ბოლო არ უჩანდა.

გამოფენამ დამსწრე საზოგადოება კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ ხელოვნებისკენ, ზოგადად, კულტურისკენ სწრაფვა, რა რთული და დაძაბული ვითარებაც არ უნდა იყოს ჩვენს ქვეყანაში, როდი კლებულობს. ასე იყო ისტორიულად და ასეა დღესაც, იმ მშფოთვარე და მოუსვენარ ეპოქაში, სადაც ყველა, თავისი მცირე თუ დიდი პრობლემით, ეწევა ცხოვრების მძიმე ჭაპანს.

ახალგაზრდა მხატვრის, მედეა გურგენიძის არცთუ ხანგრძლივი, მაგრამ საინტერესო ცხოვრებისეული და პროფესიული გამოცდილება უშუალოდ უკავშირდება მშობლების საქმიანობას, რის გამოც წლების მანძილზე მედეას სხვადასხვა ქალაქსა თუ ქვეყანაში უხდებოდა ცხოვრება. უცხო გარემოს კი, ცნობილია, რაოდენ დიდი სირთულეები ახლავს.

მრავალი ხნის განშორების შემდეგ, ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში დიდი იმედებითა და მომავლის რწმენით აღსავსე ოჯახი სამშობლოში დაბრუნდა. ეს გადაწყვეტილება ერთადერთი გარემოებით იყო ნაკარნახევი, მედეას მშობლებს სურდათ თავისუფალი ქვეყნისათვის მოეხმარებინათ ცოდნა და მდიდარი გამოცდილება.

მედეა გრაფიკამ გაიტაცა. ხაზის პლასტიკურ შესაძლებლობათა უსაზღვროება, როგორც ჩანს, მის სათქმელს უკეთ გამოხატავდა. ამასთან, იმედოვნებდა, რომ წარმოსახვაში გაცოცხლებულ ლიტერატურულ გმირებსა და ცალკეულ პასაჟებს ამ გზით სხვისთვისაც ვიზუალურად მისაწვდომს გახდიდა. ასე დაიბადა ილუსტრაციების ციკლი, სადაც მედეას ფაქიზი შინაგანი ბუნება, მახვილი გონება, გემოვნება და იუმორის მომადლებული ნიჭი წარმოჩნდა.

სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურული ნაწარმოებების ილუსტრირება თანდათან გრაფიკოსის მთავარ გატაცებად იქცა. გამოფენამ აჩვენა, რომ ამ სფეროში იგი, მართლაც, თავისუფლად, ლაღად გრძნობს თავს. განსაკუთრებით საბავშვო თხზულებების თემებზე შექმნილი ნამუშევრები იპყრობს მნახველის ყურადღებას. მხატვრის მიერ საილუსტრაციოდ შერჩეული მასალა, ციტატები, რომლებიც თითოეულ ნახატს ახლავს, ქმნის იდეისა და ფორმის იმ სასიამოვნო ერთიანობას, რომელიც ახალგაზრდის განწყობიდან, მისი სულიერი მდგომარეობიდან უშუალოდ, გულწრფელად მოედინება. შინაგან დაძაბულობას, გრძნობათა ჭიდილსა და ემოციურობას, რაც მისი ნახატებიდან აშკარად იგრძნობა, გარეგნული სიმშვიდე აწონასწორებს და თითოეულ ნამუშევარს განსაკუთრებულ ხიბლს ანიჭებს. ბოლო ხანს, როგორც ჩანს, ამ თვისებებს მედეას მიერ საკუთარი შესაძლებლობების რწმენაც დაემატა. შემოქმედებითი წინსვლისაკენ გააზრებული სწრაფვა, ცნობილია, რაოდენ კარგი სიმპტომია, მით უმეტეს მაშინ, როდესაც პიროვნებას თვითშეფასების უნარი და პროფესიული ეთიკა არ ღალატობს.

გრაფიკოსის სპეციალობას მედეა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში დაეუფლა, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნებში გატარებულმა წლებმა მასზე დიდი გავლენა მოახდინა – მათ უკვალოდ არ ჩაუვლიათ. კულტურათა ორიგინალური სინთეზი იკითხება მხატვრის ნამუშევრებში. მას ჩამოუყალიბდა თავისებური ხელწერა, რაც აშკარად განასხვავებს მედეას შემოქმედებას მისი თაობის გრაფიკოსებისაგან.

ფართო საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ უცნობი ახალგაზრდა მხატვრის მედეა გურგენიძის ნამუშევრებში დამთვალიერებელმა, უპირველეს ყოვლისა, ინდივიდუალობა შენიშნა. ეს თვისება თანამედროვე, რთული და არაერთგვაროვანი ეპოქის თავისებურებებში წვდომის სურვილითა და მშვენიერების განცდის თანდაყოლილი უნარითაც არის განპირობებული. მედეა მიღწეულით არასოდეს კმაყოფილდება. ეს მისი, როგორც გრაფიკოსის, გამორჩეული თვისებაა.

ოცნება და მდიდარი ფანტაზია მედეას განუყრელი თანამგზავრებია. ამ თვისებათა წყალობით, გარესამყაროზე ხანგრძლივი დაკვირვებები სხვადასხვა ფაქტურაზე შესრულებულ იმ მშვენიერ გრაფიკულ თუ ფერწერულ მიგნებებად გარდაისახება, სადაც სიხარულსა და აღფრთოვანებას ზოგჯერ ნოსტალგიური განწყობილებები ენაცვლება. ამ ღრმად ადამიანურ თვისებას მედეა საინტერესო მიგნებებითა და დახვეწილი გამომსახველობითი საშუალებებით გადმოსცემს. რომანტიკული მსოფლგანცდა კი მის ნამუშევრებს მეტ ლირიკულ ჟღერადობას ანიჭებს.

მედეა გურგენიძე.

მედეას მიმზიდველ მხატვრულ ექსპერიმენტში დამთვალიერებელი სალონური მხატვრობისათვის დამახასიათებელ დეტალებსაც შენიშნავს და კლასიციზმიდან რომანტიზმის ეპოქაში გარდამავალი პერიოდის რემინისცენციებს ამოიკითხავს. ეს მხატვრის ძიებათა ერთი პატარა წახნაგია, შემოქმედებითი მეთოდი, საშუალება, რითაც იგი საკუთარი სათქმელის მნახველამდე უკეთ მიტანის გზებს ეძებს.

მედეა ბავშვობის საყვარელ თემებს ხშირად უბრუნდება. მის მიერ შესრულებული „ლურჯი ფრინველის“ ილუსტრაციები ამის კარგი მაგალითია. „სინათლის სულის“ ძიებისას, სინათლისა, რომელმაც ღამის წყვდიადი უნდა გაარღვიოს და ახალგაზრდა მხატვარი სიკეთეს აზიაროს, იგი ცდილობს გააცნობიეროს სრულყოფის ის ეტაპები, რომლებიც უნდა გადალახოს, თუკი სურს, ლურჯი ფრინველი სულ ახლოს, საკუთარ თავში აღმოაჩინოს.

მაშინ კი სულიერების სამყაროდან, რომელიც ხშირად მისტიკური ხილვებით არის გაჯერებული, იგი, სულ სხვა სიბრძნით აღჭურვილი, რეალობას დაუბრუნდება, რათა თავისი საოცნებო სამყარო, ფანქრითა და ფუნჯით, კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობით აღბეჭდოს.

შორეული სივრცეებიდან მოფენილმა „ჯადოსნურმა ფრინველმა“ მედეა დაბრკოლებათა ბეწვის ხიდზე მტკიცედ შეაყენა და ცხოვრება სხვა რაკურსით დაანახა, დროის ფილოსოფიური განცდა შესძინა და იმედი ჩაუსახა, რომ მოვა დრო და განდობილთათვის მისაწვდომ ნათებასა და მშვენიერებას თავადაც ეზიარება.

ფანტაზია, რომელიც ახალგაზრდა მხატვრის შემოქმედებას ასაზრდოებს, მას ოქროსფერ ზეცაში ქროლვაში, ტრანსცენდენტურის დიად საიდუმლოსთან მიახლებაში ეხმარება.

ქეთევან ტომარაძე.





ფაქტი

ბონდო შალიკიანს 2 მილიონი ლარის ქონება ჩამოართვეს

ზუგდიდის მაჟორიტარ დეპუტატს, ამჟამად პატიმრობაში მყოფ ბიზნესმენ ბონდო შალიკიანს პროკურატურამ 2 მილიონი ლარის ღირებულების ქონება ჩამოართვა, რომელიც ოფიციალურად სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდა, თუმცა მისი ადვოკატის მონაცემებით, ჩამორთმეული ქონების მოცულობა ერთ მილიონ ლარს შეადგენს.

ბონდო შალიკიანს ჩამოერთვა სანატორიუმი „საირმე“ კურორტ „საირმეში“, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის აქციათა 10-პროცენტიანი პაკეტი, იმერეთის სხვადასხვა რაიონებში განთავსებული 12 ბენზინგასამართი სადგური „შანსოილი“, ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა წყალტუბოს რაიონის სოფელ ბროწეულაში, ადგილობრივი ტელეკომპანია „ქუთაისი“, წამლებისა და შუშის მინიქარხნები ქუთაისში და მცირე აქციათა პაკეტი ქუთაისის სატრაქტორო და ელექტრომექანიკურ ქარხნებში.

მსჯავრდებულმა გამოძიების პროცესში აღიარა, რომ აღნიშნული ქონება მას კანონდარღვევით ჰქონდა შეძენილი.

პროკურატურაში არ გამორიცხავენ, რომ სანაცვლოდ შალიკიანმა თავისუფლება მიიღოს...

ინტერ-პრესი.

თითქმის ნატურიდან

წაგებული მაჟორიტარი

გუშინ ნაცნობ მაჟორიტარ დეპუტატს შევხვდი. აღელვებული ლაპარაკობდა. შიგადაშიგ იგინებოდა კიდეც.

– ვერ გამიგია, რითი ხარ უკმაყოფილო, – ვუთხარი. – წინ უზრუნველი ცხოვრება გეპრანჭება, შენ კი ქოქოლას აყრი.

– რას ამბობ, პირიქით, მაგრად წაგებული დავრჩი.

– რა ვიცი. წაგებული დეპუტატი მე ჯერ არ მინახავს.

– ახლა ნახავ. როცა უიმუნიტეტოდ ვართ.

– თუ ძმა ხარ, დეპუტატს რაღა იმუნიტეტი უნდა?

– არ იცი და ლაპარაკობ, – სულ ცეცხლი მოიკიდა. – იცი. რამდენი დამიჯდა არჩევა?

– როგორ, ფული გადაიხადე?

– აბა, რა გგონია, 200 ათას დოლარამდე გავისროლე. კიდევ კარგი. მეორედ აღარ დანიშნეს მაჟორიტართა არჩევნები, თორემ ერთი ამდენს კიდევ დავკარგავდი.

– ნუ წუწუნებ ერთი. მაგ თანხას. შენი ამბავი რომ ვიცი, ერთ წელიწადში ამოიღებ.

– ამ მთავრობის ხელში?

– მთავრობას ვინ კითხავს, იმ ერთი ქუთაისელისა არ იყოს, დადე ბურთი დაარტყი.

– ვის კარში?

– თუნდაც მთავრობის კარში.

– მერე, ვინ გაგატანინებს, ვერა ხედავ, ვინც კი დაურტყა, ყველამ აიცდინა!

– იქნებ შენ გაგიმართლოს?

– გაჩუმდი, არავინ გაიგოს, – შეშინდა დეპუტატი, – თუ არ ავაცდინე, რაც დამრჩა, იმასაც დამაყრევინებენ.

– სხვა გამოსავალი თუ არ არის. მაშინ ხელფასები გაიზარდეთ, ხომ ხედავ, თვითონ როგორი ხელფასები დაირტყეს.

– ვინ გაგაზრდევინებს, თორემ კი.

– თქვენ თვითონ გაიზარდეთ. წინა მოწვევის დეპუტატებმა ასე არ გააკეთეს?

– მაშინ სხვა დრო იყო!

– როგორ, კაცო. ვითომ ქვეყანა შეიცვალა?



– ქვეყანა არა, ხელისუფლება შეიცვალა. გვეუბნებიან, ვიდრე პენსიები 700 ლარი არ გახდება, ხელფასების მომატებაზე კრინტი არავინ დაძრასო.

– თუ ფხიანად მოიქცევით, გამოსავალი ყოველთვის მოიძებნება.

– რას გულისხმობ?

– თუნდაც ახალი კანონების მიღებას. განა ცოტანი არიან ისეთები, რომლებიც მათთვის სარფიანი კანონის მისაღებად მილიონებს ჩამოვლენ?

– მასეთი განა რა კანონი უნდა მივიღოთ?

– აი, თუნდაც კანონი „სკამის შესახებ“. ხომ იცი, საქართველოში სკამი როგორ უყვართ. არც ერთი მაღალჩინოსანი არ დაიშურებს ფულს, თუ სკამს შეინარჩუნებს.

– რაღას შეინარჩუნებს, როცა უკვე დაკარგული აქვთ? ვერა ხედავ, ზოგმა სკამთან ერთად მილიონებიც დაკარგა და ციხის კედლებიც ლესა.

– მაშინ იმის შესახებ მაინც მიიღეთ კანონი, რომ სკამი, რომელზეც ჩინოვნიკი მთელი ცხოვრება იჯდა, შინ გაატანონ.

– რა ჯანდაბად უნდა?

– როგორ არ უნდა, მთელი სიცოცხლე მაგ სკამისთვის ბრძოლას შეალია და ასეთი რელიკვია სამსახურში რატომ უნდა დატოვოს? მით უფრო, რომ ახლებიდან ძველების სკამზე ჯდომა არავის უნდა.

– და შენ ფიქრობ, რომ ეს უხერხულობანი კანონმა უნდა მოაწესრიგოს?

– რა თქმა უნდა, კანონი „სკამის შესახებ“ ყოველგვარ გაუგებრობას აგვაცილებს.

– სწორი ხარ, – დამეთანხმა დეპუტატი, – ყველანაირი უფლება, რომელიც ადამიანის ღირსებას იცავს, კანონით უნდა იყოს ხელდასხმული.

– უფრო მეტსაც გეტყვი, თუ ღვაწლმოსილმა სკამოსანმა დატოვა ანდერძი, რომ სანუკვარ სკამზე დამჯდარს სურს განისვენოს საიქიოში, კანონმა ეს სურვილიც უნდა აუსრულოს.

– ეგეც გასათვალისწინებელია, – დამიქნია თავი, – განსვენებულსაც ვესიამოვნებით და ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, მიწასაც დავზოგავთ.

– ნამდვილი კანონშემოქმედი ხარ, – შევაქე მაჟორიტარი, – შენ კი თავი წაგებული გეგონა!

ოთარ ხუციშვილი.

მაია და გურამ ახალაიები, მანანა და თემურ ხარებავები, ლენა და თემურ კვარაცხელიები თანაუგრძნობენ ფერიდე ხიდეშელს და ანტონ ინგოროყვას დედისა და სიდედრის
ლული
კუკავა-ხიდეშელის
გარდაცვალების გამო.

საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანია „იტერას“ წარმომადგენლობა საქართველოში თანაუგრძნობს გაზის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტს დავით ინგოროყვას ბებიის
ლული
კუკავა-ხიდეშელის
გარდაცვალების გამო.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
გამომცემელი შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები.
მთავარი რედაქტორი **რუსლან რუსია.**
ნომრის მორიგე რედაქტორი **სპარტაკ ძოწულია.**

ინდექსი 66434, მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: **sakresp@gol.ge**
ვებ გვერდი: **www.open.ge/sakartvelos-respublika**